

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
ინსტიტუტი

# ტერმინი

IX

თბილისი  
2019

UDK(უაკ) 821.353.1.092[რუსთაველი შოთა]  
რ-939

### სარედაქციო საბჭო:

მაკა ელბაქიძე  
ირმა რაჭიანი  
გრივერ ფარულავა  
ელგუჯა ხინთიბიძე

### სარედაქციო კოლეგია:

ივანე ამირხანაშვილი (რედაქტორი)  
ლია კარიჭაშვილი (რედაქტორის მოადგილე)  
ნანა გონჯილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი)  
მარიამ კარბელაშვილი  
თამარ ხვედელიანი

### კომპიუტერული უზრუნველყოფა:

თინათინ დუგლაძე  
რედაქციის მისამართი: 0108, თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. 5  
ტელ. 99-53-00; E-mail: litinstituti@yahoo.com

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1  
1 Ilia Tchavchavadze Avenue, Tbilisi 0128  
Tel. 995 (32) 225 14 32, 995 (32) 225 27 36  
[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)

ISSN 15123081

# სარჩევი

## ტექსტი და კონტექსტი

### ელგუჯა წინთიბიძე

ბერძნული მითოსის კიდევ  
ერთი დამოწმება ვეფხისტყაოსანში.....7

### მარიამ კარბელაშვილი

ვეფხისტყაოსნის ჟანრული  
პოლიტიკურობა.....22

## სახისმეტყველება

### ნესტან სულავა

მზისა და ვარდის მეტაფორის  
ტრანსფორმაცია, როგორც  
„ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციის  
ერთ-ერთი საფუძველი.....52

### ლია წერეთელი

„უწყლოობა ჰელავს, წყალი სდის“  
„ვეფხისტყაოსნის“ პარადიგმული  
სახისმეტყველების ერთი ასპექტი).....70

## ესთეტიკური პარალელები

### ხვთისო ზარიძე

ქართული ჰელიოგრაფია  
და „ვეფხისტყაოსანი“  
(მცირე პარალელები).....78

### თინათინ ბიგანიშვილი

არისტოტელეს „პოეტიკისა“  
და რუსთაველის ესთეტიკური  
თეორიის პარალელების შესახებ.....90

<b>ივანე ამირხანაშვილი</b>	
ნიზამი და რუსთაველი:	
დრო და ესთეტიკური მრწამსი.....	109

## ისტორიული ტოპოსები

<b>ლია კარიჭაშვილი</b>	
კიდევ ერთხელ შოთა რუსთაველის შესახებ	
(გამოხმაურება ვლადიმერ ჭელიძის	
ნაშრომზე „ჰერეთის ერისთავი შოთა“	
(„რუსთველიანას“ კვალდაკვალ).....	129
<b>თეიმურაზ ქანტურიშვილი</b>	
„ვეფხისტყაოსნის“ ალეგორია.....	139

## პოეტიკის საკითხები

<b>მაია ცერცვაძე</b>	
რამდენიმე ხიაზმური კონსტრუქციის	
შესახებ „ვეფხისტყაოსნში“ .....	150

## ახალი თარგმანი

<b>ვაჟა ბერიძე</b>	
„ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე	
გადატანის მეშვიდე ცდა.....	159

## **Contents**

### **Text and Context**

#### ***E. Khintibidze***

- One More Reference to Greek Mythology  
in “*The Man in a Panther-Skin*” ..... 7

#### ***Mariam Karbelashvili***

- Genre Polyphony of  
*The Knight in The Panther’s Skin* ..... 22

### **Imagology**

#### ***Nestan Sulava***

- The Transformation of the Metaphorical  
Icons of the Rose and the Sun, as One  
of the Bases of the Composition of the  
“Knight in the Panther’s Skin” ..... 51

#### ***Lia Tsereteli***

- Lack of Water Slays, Water Flows ..... 70

### **Aesthetic Parallels**

#### ***Khvtiso Zaridze***

- Georgian Hagiography and  
the “Knight in the Panther’s Skin” ..... 78

#### ***Tinatin Biganishvili***

- Comparative Analysis of Aristotle’s  
„Poetics” and Rustaveli’s Aesthetic Theory ..... 90

*Ivane Amirkhanashvili*

- Nizami and Rustaveli:  
Time and Aesthetic Beliefs.....109

**Historical Toposes**

*Lia Karichashvili*

- Once Again about Shota Rustaveli  
(Review of Vladimer Chelidze's  
Work "Shota, Eristavi of Hereti"  
(Following "Rustveliana").....129

*Teimuraz Chanturishvili*

- Allegory of the "One In The Tiger's Skin" .....139

**Poetical Issues**

*Maia Tservadze*

- About Several Structures with Chiasmus  
in "The Knight in the Panther's Skin" .....150

**New Translations**

*Vaja Betaneli*

- The Seventh Attempt to Render  
"The Knight in the Panther's Skin"  
into the Russian Language.....159

# ტექსტი და კონტექსტი

ელგუჯა ხინთიბიძე

## ბერძნული მითოსის კიდევ ერთი დამოწმება გეფხისტყაოსანში

წინამდებარე სტატიის სათაურის მითითება იმის თაობაზე, რომ იგი ვეფხისტყაოსანში ბერძნული მითოსის კიდევ ერთ დამოწმებას შეეხება, ამთავითვე მოითხოვს სიტყვა ჩამოვაგდოთ იმაზე, თუ რა მიმართია მე რუსთველის პოემაში ბერძნული მითოსის პირველ დამოწმებად.

ორიოდე წლის წინ უურნალ ქართველოლოგის 25-ე ნომერში გამოქვეყნდა ჩემი გამოკვლევა (ხინთიბიძე 2016), რომელშიც განხილული იყო პოემის ერთი ძალზე ბუნდოვანი სტროფი:

ამ საქმესა მემოწმების დიონოსი, ბრძენი ეზროს:  
საბრალოა ოდეს ვარდი დაეთორთვილოს, და-ცა-ეზროს.  
ვის ბადახში არა ჰევანდეს და ლერნამი ტანად ეზროს.  
იგი სადმე გაღარიბდეს, სამყოფთაგან იაბეზროს.  
(რუსთველი 1966; სტროფი 178)

თუ ვინ უნდა იყოს ამ სტროფში ნახსენები ბრძენი ეზროს, ამის თაობაზე რუსთველოლოგიურ ნაშრომებში სხვადასხვა აზრია გამოთქმული, მაგრამ ყველა მათგანი მცდარადაა მიჩნეული. ჩემი თვალსაზრისით, პოემისეული ეზროს ბერძნული მითოლოგიის ეროსი უნდა იყოს. რამდენადაც, როგორც ბერძნული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონები, ასევე ზოგი სამეცნიერო ნარკვევიც მიუთითებს, რომ ეროსის (სიყვარული) ეტიმოლოგიას პლატონი უკავშირებდა სიტყვას ესროს//ეზროს, რომელიც მომდინარეობდა ზმისაგან ესრეი (ესრე). პლატონის აზრით, სიყვარული სულში თვალების გზით შემოედინებოდა („კრატილე“, 420 ab) (ბრეგვაძე 2002: 366; ლექსიკონი 1983: 697).

განსახილველი შესიტყვების ეზროს-ში ბერძნული სიტყვის ეროვნის ამოკითხვამ ჩემი ყურადღება იმთავითვე გადაიტანა არა ამ სიტყვის მნიშვნელობაზე – სიყვარული, არამედ ბერძნული მითოლოგიის სიყვარულის ღმერთზე – ეროსზე; რამდენადაც რუსთველის განაცხადი („ამ საქმესა მემონმების...“) იმთავითვე იმ პერსონაზე მიუთითებს, ვინც იქვე ჩამოყალიბებულ დებულებას ემონმება ანუ ეთანხმება.

ბერძნული მითოლოგიის ეროსზე მსჯელობა კი ანტიკურ წყაროებში ყველაზე ამომწურავად არის პლატონის დიალოგში ნადიმი. ჩემი ადრინდელი დაკვირვებით, პლატონის ნადიმი რუსთველისეული სიყვარულის კონცეფციის ერთი უცილობელი წყაროა; მე ყურადღებას ვამახვილებ იმ გარემოებაზე, პლატონის ნადიმისეული მტკიცებით ეროსი ბრძენია (ზინთიბიძე 2009: 507). ამ გზით დავრწმუნდი, რომ რუსთველი ბერძნული მითოლოგიის ბრძენ ეროსს იმონმებს („ამ საქმესა მემონმების დიონოსი ბრძენი ეზროს“) და ეჭვი შევიტანე იმავე ფრაზის ბრძენი ეზროსის წინა სიტყვის დიონოსის ავთენტურობაში, რამაც ამ სიტყვის ხელნაწერებისეულ იკითხვისშე – დევანოსი შეაჩერა ჩემი ყურადღება. ეს იკითხვისი ვეფხისტყაოსნის რამდენიმე – მათ შორის, XVII საუკუნის ხელნაწერებითაც დასტურდება (ზინთიბიძე 2016: 212-214). ჩემი მტკიცებით, რუსთველისეული დევანოსი ბერძნულ დემონს ნიშნავს. ტერმინი დევანოსი ნანარმოებია კლასიკური პერიოდის ძველ ქართულ მწერლობაში ბერძნული ტერმინების გადმოსაცემად ქართულ ტერმინთა კომპოზიციის და სიტყვათა წარმოების დამკვიდრებული წესით (ეფრემ მცირე, იოანე პეტრინი). კერძოდ, ბერძნული სიტყვის შესატყვისი ქართული ძირის შემდგომი აფიქსაციით (ზინთიბიძე 2016: 221).

რუსთველს, შუა საუკუნეების ქრისტიან მოაზროვნეს, ანტიკური სიტყვის დემონი ქართულად შეეძლო გადმოეტანა სამი შესაძლებელი ვარიანტით: ეშმაკი, ბოროტი, დევი. საქმე ისაა, რომ ქრისტიანობამ ანტიკური ღვთაებრივი პანთეონისადმი პოლემიკური დამოკიდებულებით ბერძნულ დემონსა და დემონურშიც უარყოფით ნიუანსებზე გაამახვილა ყურადღება და

ამიტომაა, რომ ბიზანტიური პერიოდის ძეგლებში ბერძნული დემონი უპირატესად განიმარტება ეშმაკად, სატანად, ბოროტ სულად. ქართულ ბიბლიურ ტექსტებში იგი ითარგმნება ეშმაკეულად. ეფრემ მცირეც დიონისე არეოპაგელის თხზულების (საღვთოთა სახელთათვის) დემონს ეშმაკად თარგმნის.

გასულ 2018 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე – „პლატონის ფილოსოფია ინტერდისციპლინურ კონტექსტში“ – იოანე პეტრიწის ფილოსოფიის ცნობილმა მკვლევარმა ლევან გიგინეიშვილმა თავის მოხსენებაში ვეფხისტყაოსნის კიდევ ერთი ბუნდოვანი ტაეპის („უბოროტო ვის ასმია რაცა კარგი საეშმაკო“ – 880) კარგი საეშმაკო ძველი ქართული ბიბლიური ტექსტების საფუძველზე დემონურ კარგად გაიაზრა (მოხსენების ინგლისური სათაური: „Good Demonic“ – an Apparent Oxymoron and Shota Rustaveli’s Platonic Vision of Eros) (გიგინეიშვილი 2018: 35). მკვლევარი, ბიბლიის დემონ/ეშმაკეულის ბოროტ სულად გააზრების კვალდაკვალ, რუსთველის კარგი საეშმაკოში ხედავს ორ ერთმანეთის საწინააღმდევო ოქსიმორონულ ზედსართავ სახელს და მსგავსი ტიპის ოქსიმორონზე მიუთითებს იოანე პეტრიწის კომენტარებში პროკლეს თხზულებაზე კავშირი ღვთისმეტყველებითნი: კერძოდ, ქვეთავზე – „ყოველი სული ღმრთაებრივი და ეშმაკებრივი გაიგონებს უკუც მიდმო-ცვალებით...“ (პროკლე დიადოხოსი 2016: 333-34), რომელშიაც საუბარია ღვთაებრივ და დემონურ-ეშმაკებრივ სულთა შემეცნების სპეციფიკაზე (იხ. იოანე პეტრიწი 1999: 161-62).

პირადად მე კი ვეფხისტყაოსნის ბუნდოვანი და ძნელად შესაცნობი ფრაზის „საეშმაკოს“ დემონურად გააზრებამ და ნეოპლატონური კონტექსტით ინტერპრეტირებამ რუსთველის მიერ ბერძნული მითოლოგის ეროსის დამოწმებასა და პლატონის ნადიმთან მიმართებასთან დამაბრუნა.

ეს აშკარად ენიგმური ფრაზა ავთანდილის მიერაა წარმოთქმული ტარიელის გონს მოსაგებად. ავთანდილმა ლომ-ვეფხის მორკინალი უგონო ტარიელი მოასულიერა. საწუთროზე გულაყრილსა და სიკვდილის მომლოდინეს გონიერებისაკენ

მოუწოდა. ცხოვრების ფილოსოფიისათვის თვალის გასწორება ურჩია. უქადაგა – ვარდი ეკალში იპოვებაო და ამას მოაყოლა ეს, ერთი შეხედვით, ოდიოზური სიბრძნე.

შუასაუკუნეების ტრადიციული გააზრებით, კარგი და საეშმაკო ერთმანეთის მიმართ იმდენად წინააღმდეგობრივი ლექსიკური ერთეულებია, რომ ამ გაუგებარი ფრაზის გასაგებად ჩასწორება პოემის თვით გადამნერლებს უცდიათ. ამ ჩასწორებებს პოემის ბევრი თანამედროვე გამომცემელიც გაჰყოლია (რუსთველი 1966: გვ. 289). „კარგი საეშმაკო“ რამდენიმე ხელნაწერში ჩასწორებულია ადვილად გასააზრებლი შესიტყვებებით – „რაცა არის/არი საეშმაკო“ და „რაცა საქმე საეშმაკო“. ეს უკანასკნელი შვიდიოდე ხელნაწერით დასტურდება, რომელთაგან ერთი XVII საუკუნისეულია (ოქსფ. 27), დანარჩენი XVIII-XIX საუკუნისა. პირველი მათგანი კი იკითხება – XVII საუკუნის ორ ხელნაწერში – S 2829 და Q 930. გამოცემათაგან „საქმე საეშმაკოს“ მხარი პირველად 1841 წლის გამოცემამ დაუჭირა. XX ს.-ის პირველ ათასწლეულებში – დ. კარიჭაშვილის, ს. კაკაბაძისა და კ. ჭიჭინაძის გამოცემებმა. შემდგომ კი – 1951 და 57 წლებში, პუბლიკაციებმა ბარამიძე, კეკელიძე, შანიძის რედაქტორობით. ხელნაწერთა აბსოლუტური უმრავლესობის და პირველი – ვახტანგისეული გამოცემის „კარგი საეშმაკოს“ რუსთველურობა ეჭვს არ იწვევს. 1966 წლის საიუბილეო გამოცემებიდან დაწყებული იგი უცვლელად აღსდგა.

გამოცემათა ვარიაციები და თავისუფალი ინტერპრეტაციებია გამოვლენილი პოემის თითქმის ყველა მთარგმნელსა და განმეორებელთან: ნ. ნათაძე: „საქმე, რომელზედაც ეშმაკს ხელი მიუწვდება, ამქვეყნიური საქმე“ (რუსთველი 2015: 264); ბ. ბრეგვაძე: „უბოროტო ვის ასმია, რაც საეშმაკო რიგისაა“ (რუსთველი 2013: 178); თ. ვასაძე: „ვის გაუგია ბოროტებისგან გამიჯნული და დაცული იყოს ეშმაკისთვის შესაშური დიდი ფასეულობა – სიყვარულის ბედნიერება“ (რუსთველი 2013: 161); დ. ძნელაძე: „ვის გაუგია [დიდ] ფასეულობას (=სიყვარულს) ეშმაკი არ მტრობდეს“ (რუსთაველი 2013: 243). მთარგმნელე-

ბი: III. Нуцубидзе: 881 – “Кто от дьявола спасается, если зло его бесплотно?”; M. Wardrop: 859 – “who hath ever heard of aught harmless that was the work of devilry?”; K. Vivian: “nothing good can come out of what is evil” (რუსთველი 1977: 129); R. Stevenson: “who ever heard of devil’s work without any harm in it?” (რუსთველი 1977:105).

ჩემი აზრით, ამ ფრაზის საეძმაკო (დემონური) უპირატესად დემონის ანტიკური გააზრების შემცველია. ანტიკურ მითო-ლოგიაში კი დემონი არ არის ბოროტი სული. ბოროტად არაა იგი გააზრებული პლატონის ნადიმში – ტრაქტატში, რომელიც რუსთველისეული სიყვარულის კონცეფციის ერთი უმთავრესი წყაროა.

ანტიკური ტექსტების დემონი ზოგჯერ განიმარტება რო-გორც ღმერთი, ქალღმერთი, ღვთაება, ზოგჯერ კი როგორც ღვთაებრივი ძალა, ნახევრად ღვთაებრივი სულიერი არსება; ზოგჯერ კეთილი გენია, ზოგჯერაც ბოროტი სული (ლექსიკონი 1983: 365-366). საკუთრივ პლატონის ნადიმის დემონი ინგ-ლისურ თარგმანში გადმოტანილია სულად (პლატონი 2001: 179), რუსულ თარგმანში კი გენიად (პლატონი 1970: 132). პლატონის ნადიმისეული დემონები მრავალნი არიან და თან მრავალგვარნი. ეროსი, ანუ სიყვარული, ერთ-ერთი მათგანია (სიმპოზიუმი, 203A); თუმცა – დიდი დემონი (202E)\*.

პლატონისეული ნადიმის თანამეინახენი ეროსში ყველაზე კაცომოყვარე ღმერთს ხედავენ: არისტოფანე (189D) – „ეროსი ხომ ყველაზე კაცომოყვარე ღმერთია უკვდავთა შორის, კაც-თა მეოხი და მკურნალი“ (პლატონი 1964: 33, გვ. 33)\*\*; აგათონი – ეროსი (სიყვარული) ყველა ღმერთთაგან უფრო ნეტარია, რადგანაც არის ყველაზე მშვენიერი და საუკეთესო (195A)\*\*\*.

\* «οὗτοι δὴ οἱ δαιμονες πολλοί καὶ παντοδαποί εἰσιν, εἷς δὲ τούτων ἔστι καὶ ὁ Ἔρως» – “Many and multifarious are these spirits, and one of them is Love” (17, p. 178-9). «Δαιμόνων μέγας, δὲ Σώκρατες» – “A great spirit, Socrates” (17, p. 178-9).

\*\* «... ἔστι γὰρ θεῶν φιλανθρωπότατος, ἐπίκουρός τε ὁν τῶν ἀνθρώπων καὶ ιατρὸς ...» – “He of all gods is most friendly to man; he succours mankind and heals....” (17, p. 134-5).

\*\*\* «...πάντων θεῶν εὐδαιμόνων ὄντων Ἔρωτα.....εὐδαιμονέστατον εἶναι ὀντῶν, κάλλιστων ὄντα καὶ ἅριστον». – “while all gods are blissful, Love... is the most blissful, as being the most beautiful and the best”. (17, p. 152-3).

ეს აძლევს რუსთველს საფუძველს, რომ მრავალგვარ დემონთაგან, ანუ გენიათაგან გამოყოს „დიდი გენია“, „ეროსი// სიყვარული – ყველაზე მშვენიერი და საუკეთესო“ – რუსთველის სახელდებით – „კარგი საეშმაკო“.

პლატონის ნადიმისეული ეროსი (სიყვარული), მიუხედავად იმისა, რომ მშვენიერების თაყვანისმცემელია, თავისთავად არც მშვენიერია და არც კეთილი (201E). უპირველეს ყოვლისა, უხეშია, უსუფთაო და მიუსაფარი (203C)\* – ეს განაცხადი მოსაუბრეთა აზრებს შორის ყველაზე ავტორიტეტულია, რამდენადაც იგი სოკრატესეულია და მისი მისტიფიცირებული თანამოსაუბრის – მოგვის ასულის დიოტიმას მტკიცებას ემყარება. სოკრატესა და დიოტიმას დიალოგით მტკიცდება, რომ ეროსი ანუ სიყვარული არ არის ღმერთი; იგი დიდი ზეციური სულია, გენიაა, რომელიც თავისთავად არც მშვენიერებაა და არც სიკეთე, რამდენადაც თავად ისწრაფვის მათკენ და ეტ-რფის მშვენიერებას, მაგრამ, რადგან იგი მშვენიერი და კეთილი არ არის, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მახინჯი და ბოროტი იყოს. დიოტიმა სოკრატეს მიმართავს (202B): „რაკი თვითონ აღიარე, ეროსი არც მშვენიერია და არც კეთილიო, ნუ იფიქრებ, თითქოს უთუოდ მახინჯი იყოს ის და ბოროტი. მიითვალე რაღაც საშუალოდ ამ ორთა შორის“ (პლატონი 1964: 50)\*\*.

პლატონის ამგვარი განმარტება თუ დახასიათება, ეროსის ანუ სიყვარულისა, რომელიც დიდი ზეციური სული, გენიაა (ანტიკური ბერძნული ტერმინით – დემონი) არის საფუძველი რუსთველისეული დებულებისა, რომ კარგ დემონში (გენიაში, ზეციურ სულში) ანუ ეროსში//სიყვარულში არის ბოროტებაც – „უბოროტო ვის ასმია, რაც-ა კარგი საეშმაკო.“

\* «...ώς οὕτε καλός εἴη κατὰ τὸν ἐμὸν λόγον οὕτε ἀγαθοῖς». – “that god was neither beautiful nor good” (17, pp. 174-5). «...καὶ ἄμα φύσει ἐραστής ὅν περὶ τὸ καλὸν ...πρῶτον μὲν πέντε ἀεί ἔστι, καὶ πολλοῦ δεῖ ἀπαλός τε καὶ καλός...» - “he is ... by nature a lover bent on beauty.... First, he is ever poor, and far from tender or beautiful...” (17, p. 180-1).

\*\* «Ἐρωτα ἐπειδὴ αὐτὸς ὁμολογεῖς μὴ εἶναι ἀγαθὸν μηδὲ καλόν, μηδέν τι μᾶλλον οἷον δεῖν αὐτὸν αἰσχρὸν καὶ κακὸν εἶναι, ἀλλὰ τι μεταξύ, ἔφη, τούτοις». – „Likewise of Love, when you find yourself admitting that he is not good nor beautiful, do not therefore suppose he must be ugly and bad, but something betwixt the two” (17, p. 176-7).

ვფიქრობ, საჭიროა სუმმირება ზემორე დისკურსისა. ვეფხ-ისტყაოსნის განსახილველი ენიგმური დებულების („უბოროტო ვის ასმია, რაც-ა კარგი საეშმაკო“) საეშმაკო ნიშნავს დემონს, ამ ცნების ანტიკურ-ბერძნული, პლატონისეული სემანტიკით – გენია, ზეციური სული. შესიტყვება „კარგი საეშმაკო“, ანუ კარგი დემონი (ზეციური სული) მითითებაა ეროსზე ანუ სიყვარულზე; რადგანაც პლატონის ნადიმის თანახმად ეროსი//სიყვარული „დიდი დემონია“, „საუკეთესოა“. ნადიმი რუსთველის სიყვარულის კონცეფციის ერთი უცილობელი წყაროა. ეროსი, როგორც სიყვარულის ზეციური სული, პოეტის მიერ ნადიმი-სეული დეფინიციით სხვა ადგილასაცაა დამოწმებული: ბრძენი დემონი ეროსი („დევანოსი ბრძენი ეზროს“ – 178). რუსთველის განაცხადი – კარგ დემონშიც (ზეციურ სულში) – სიყვარულ-შიც არის ბოროტი – სრულ თანხმობაშია პლატონის დებულებასთან: ეროსი//სიყვარული რაღაც საშუალოა კეთილსა და ბოროტს შორის.

ჩემი შემდგომი მსჯელობა, რუსთველის ამ ენიგმური ფრაზის ახლებური გააზრების სისწორის თაობაზე პროპადევტიკური განაცხადით უნდა დავიწყო. რუსთველის, შუასაუკუნეების ტრანსცენდენტური თეოლოგიის ადეპტის, ქრისტიანული კრეაციონიზმის აპოლოგეტის მიერ ანტიკური მითოლოგიის ღვთაების – ეროსის დამოწმება ხომ არ არის მსოფლმხედველობრივი ეკლექტიკა, განსხვავებული თვალსაზრისების აღრევა? – რა თქმა უნდა, არა! რუსთველი არ იმოწმებს ანტიკური მითოლოგიის ღვთაებას ეროსს! იგი იმოწმებს ანტიკური მითოლოგიის პერსონიფიცირებულ სიყვარულს – ეროსს. და რაც უმთავრესია, რუსთველის წყარო ანტიკურ ეროს-სიყვარულზე არის პლატონის ნადიმი, საზოგადოდ, ერთი უმთავრესი ფილოსოფიური წყარო რუსთველის სიყვარულის კონცეფციისა. ამ დიალოგის ერთი პრინციპული თეზა ეროსზე მსჯელობისას არის ის, რომ ეროსი არ არის ღმერთი – იგი დიდი დემონია – დიდი სულია, გენია. ამას უმტკიცებს სოკრატე თავის თანამოსაუბრე აგათონს (199c-201c) და ამას უმტკიცებდა დიოტიმა, პლატონის მისტიფიცირებული პერსონაჟი, სოკრატეს (202E):

„მაშ, რაღაა ეროსი?“ – შეეკითხა სოკრატე დიოტიმას. „დიდი დე-მონია იგი, სოკრატე, ხოლო ყოველივე დემონურს, ხომ საშუალო ადგილი უჭირავს ღმერთსა და კაცს შორის“ (პლატონი 1964: 51)\*.

ამრიგად, რუსთველი იმოწმებს („ამ საქმესა მემონმების...“) ანტიკური მითოლოგიის ეროსს არა როგორც ღვთაებას, არა-მედ როგორც პერსონიფიცირებულ სიყვარულს. ადამიანურ თვისებათა და ემოციათა პერსონიფიცირება გვიანდელი შუა-საუკუნეების ევროპულ საერო მწერლობაში ნათლად გამოვ-ლენილი ლიტერატურული ფაქტია. მაგალითად შემიძლია და-ვასახელო მე-13 საუკუნის პროვანსული სამიჯნურო პოემა ფლამენკა (ხინთიბიძე 2009: 680).

დავუბრუნდეთ განსახილველი ტაეპის „კარგი საეშმაკოს“. ეს ენიგმური შესიტყვება მითითებაა ანტიკური მითოლოგი-ის დემონზე – სიყვარულზე; დებულება, რომ სიყვარულში არის ბოროტებაც, ეფუძნება პლატონისეულ თვალსაზრისს – სიყვარული რაღაც საშუალოა კეთილსა და ბოროტს შორის. ფილოსოფოსის ეს თვალსაზრისი დასაბუთებულია მის დი-ალოგში ნადიმი, რომელიც როგორც არაერთგზის აღვნიშნე, რუსთველის სიყვარულის კონცეფციის ერთი უცილობელი წყაროა.

ამ ენიგმური ტაეპის ჩემეული გააზრების სისწორის და-დასტურება საჭიროებს, უპირველეს ყოვლისა, მის ინტერპრე-ტირებას პოემის სათანადო კონტექსტში. პოემის ეს ტაეპი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაწილია გონებამიბინდული ტა-რიელისადმი ავთანდილის შეგონებისა. სატრფოს სიყვარუ-ლით და მისი დაკარგვით გახელებული ტარიელი სიკვდილის პირასაა მისული; ნატრობს სიკვდილს, რომ მის სატრფოს იმ ქვეყნად შეხვდეს („აქა გაყრილი მიჯნურნი მუნამცა შევი-ყარენით“ – 883; „მისკე მივალ მხიარული“ – 884). სენი, რო-მელმაც ტარიელს ცნობა წაართვა, სიყვარულია. ამიტომა, რომ ავთანდილი ტარიელს უქადაგებს სიყვარულის ტანჯვის

\* «Τί οὖν ἄν, ἔφην, εἴη ὁ Ἔρως ... Δαίμονι μέγας, ὁ Σώκρατες· καὶ γὰρ πᾶν τὸ δαιμόνιον μεταξύ ἔστι θεοῦ τε καὶ θνητοῦ» - “What then, I asked, can Love be?.. A great spirit, Socrates: for the whole of the spiritual is between divine and mortal” (17, p. 178-9).

გაძლებას: „ვინ მიჯნური არ ყოფილა, ვის სახმილი არა სწვავსა?.. (875); „ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახმილნი სდებიან?“ (878). ავთანდილის დარიგების უმთავრესი არსი ისაა, რომ სიყვარულის ტანჯვას გაძლება სჭირდება და რომ ეს ტანჯვა სიყვარულის არსის უცილობელი ნაწილია, ამ სიბრძნის, ამ ფილოსოფიის დეკლარირებაა: „უბოროტო ვის ასმია, რაც-ა კარგი საეშმაკო?“ – ვის გაუგია, რომ კარგ გენიაში (დიდ ღვთაებრივ სულში) ბოროტებაც არ იყოს? – რომ ეროსში// სიყვარულში არ იყოს ბოროტება? განსახილველი ენიგმური ფრაზის ამგვარი გააზრება არა მხოლოდ ბუნებრივია სათანა-დო კონტექსტისთვის; არამედ სიყვარულის არსის ამგვარი ფილოსოფიური ინტერპრეტირების გარეშე ავთანდილის მთე-ლი შეგონების მხატვრული არქიტექტონიკა დაკარგავდა იმ სიბრძნისეულ სიღრმეს, რაც მის არტისტულ სიდიადეს ქმნის.

შემდეგი ეტაპი ამ ენიგმური ფრაზის ჩემეული გააზრების სისწორის შემოწმებისა, არის ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლ-მხედველობითი სისტემის ზოგად კონტექსტში გააზრება აქ ჩა-მოყალიბებული დებულებისა – სიყვარულში არის ბოროტება.

რუსთველის პოემის მიჯნურობის ზოგადი სახე ნათლად მეტყველებს, რომ იგი არაა აღმოსავლური ნირვანა და არც სატრფოთა უდარდელი დროსტარება. რუსთველისეული „მიჯ-ნურობა სენია“ (839); ადამიანთა დამწველია (287). ვეფხის-ტყაოსნის სიყვარული ადამიანის მტანჯველ ემოციაში ჩა-სახლებული ღვთაებრივი სულია, რაც დასტურდება როგორც ტარიელის ტრაგიზმამდე მისული დრამატული თავგადასავ-ლით, ისე ცალკეული რუსთველისეული შეგონებებით: „რო-მე კაცსა მიჯნურობა ატირებს და გააფრდილებს“ (715); „მიჯნურობა საჭიროა მით სიკვდილსა მიგვაახლებს“ (915).

კიდევ ერთი მიმართულებით სჭირდება პოემის საერთო კონტექსტში შემოწმება განსახილველ დებულებას. რამდენა-დაა მისაღები ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობითი სის-ტემისათვის დებულება – კარგ გენიაში, ზეციურ სულში არის ბოროტიც? საჭიროა ამ დებულების ინტერპრეტირება რუს-თველის მსოფლმხედველობით სამყაროსთან, ვეფხისტყაოსნის

ფილოსოფიურ პოსტულატებთან მიმართებით. ეს დებულება ამბობს არა იმას, რომ კარგში არის ბოროტი; არამედ იმას, რომ კარგ გენიაში (ანტიკური ტერმინით – დემონში) არის ბოროტი. ამ თეზისის ზოგად-ფილოსოფიური საფუძველი სავსებით შეესატყვისება ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობით პოსტულატებს, კერძოდ, ანტიკური ფილოსოფიიდან მომდინარე და გვიანდელი შუასაუკუნეების აზროვნებაში უაღრესად პოპულარულ, რუსთველის ეთიკური მსოფლხედვის ერთ უმთავრეს კონცეფციას – საუკეთესო საშუალის დოქტრინას. ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა საუკეთესო ქმედებანი, მორალურ-ზნეობრივი სრულქმნილების ყოველი გამოვლენა საშუალია ორ უკიდურესობას შორის (ხინთიბიძე 2009: 392-418). კარგი გენის გააზრება საუკეთესო საშუალად ორ უკიდურესობას – სიკეთესა და ბოროტებას შორის სრულად შეესატყვისება რუსთველის ეთიკურ მსოფლხედვას.

ასე რომ, ავთანდილისეული შეგონება – სიყვარულში არის ბოროტებაც (კარგ გენიაშიც არის ბოროტება) – სრულ შესაბამისობაშია როგორც ვეფხისტყაოსნისეულ სიყვარულის კონცეფციასთან, ასევე, ზოგადად რუსთველის ეთიკურ მსოფლხედვასთანაც.

კიდევ ერთ ნიუანსს უნდა მიექცეს ყურადღება. ვეფხისტყაოსნისეულ დებულებაში, რომელიც ანტიკური მითოლოგიის ბაზაზეა შექმნილი და უშუალოდ პლატონის ნადიმის ეროსის//სიყვარულის დეფინიციას ეფუძნება, აშკარად იგ-რძნობა ავტორის შუასაუკუნეობრივ-ქრისტიანული პოზიცია და ბიბლიური ქართული მენტალიტეტი. მითოლოგიის დემონს – სიყვარულს, რომელიც ანტიკური ფილოსოფიის ინტერპრეტაციებით ზეციური სული ანუ გენიაა, ამ დებულებაში რუსთველი მოიხსენიებს შუასაუკუნეობრივი მენტალიტეტით გააზრებული დემონის სახელით. და, ამასთან ერთად, ქართულ ბიბლიაში დემონის სათარგმნელად მოხმობილი ტერმინით – საეშმაკო. ავტორის ეს პოზიცია იმითაცაა ინსპირირებული, რომ დებულებაში (ეროს//სიყვარულში ბოროტებაცა) აქცენტი გადატანილია ანტიკური მითოლოგიის ეროსში სი-

კეთის საპირისპიროს – სატანისეულის არსებობაზე. სხვა შემთხვევაში კი რუსთველი სხვა დატვირთვით დამოწმებული პლატონის ნადიმისეული პერსონაჟის – ეროსის ქართულად სახელდებისათვის სხვა ტერმინს ქმნის („დევანოსი, ბრძენი ეზროს“).

ამგვარად, ვეფხისტყაოსნის ოქსიმორონული წყვილი – „კარგი საეშმაკო“ ანტიკური მითოლოგიის ეროსს//სიყვარულს აღნიშნავს და მის არსში ძველი ბერძნული ფილოსოფიის თანახმად, სიკეთის გარდა ბოროტების არსებობასაც მიუთითებს: „უბოროტო ვის ასმია, რაც-ა კარგი საეშმაკო“. ეს ფილოსოფიური სენტენცია მოხმობილია სიყვარულით გონებადაბინდული ტარიელის შეგონებად.

აქ უკვე ჩემი ნარკვევი წერტილის დასმას საჭიროებს, მაგრამ მე ვამჯობინებ ერთი მეთოდოლოგიური ხასიათის შენიშვნით დავასრულო. ვეფხისტყაოსნის ზოგი რთულად განსამარტავი დებულების, მხატვრული სახისა თუ ცალკეული გამონათქვამის (მათ შორის ენიგმური კარგი საეშმაკოს) კომენტირება არატრადიციულ და ნაკლებად ცნობილ შეხედულებებზე დაფუძნებით თანამედროვე მენტალიტეტის პოზიციიდან არაა ადვილად სარწმუნო. ასევე არც იმ პოზიციიდანაა ადვილად მისაღები, რომელიც ქართული შუასაუკუნეების აზროვნებას მხოლოდ ქრისტიანული იდეოლოგიისა და დოგმატიკის ზოგად-ორთოდოქსული გააზრების დონეზე აღიქვამს. ჩვენ ვერ ვაქცევთ სათანადო ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ჩვენამდე მოღწეული ადრინდელი შუასაუკუნეების ქართული მწერლობა ძირითადად ეკლესია-მონასტრებში შექმნილი, გადაწერილი და იქვე შემონახული წიგნებითაა მოღწეული. იყო კი გარდასულ ეპოქათა თაობების მენტალიტეტი მხოლოდ იმ ტიპისა, რაც ამ ლიტერატურითაა ჩვენამდე შემონახული? მე ამჯერად ყურადღება გადამაქვს ჩვენს საერო საზოგადოებაზე, მეფეთა და დიდებულთა გარემოცვასა და სამხედრო არისტოკრატიაზე. რუსთველი ამ ეპოქის და ამ საზოგადოების წევრია. თამარის სამეფო კარის ქართველ პოეტთა მენ-

ტალიტეტის და ინტელექტუალური ორიენტაციის ყველაზე სარწმუნო სურათს ჩვენამდე მოღწეულ ლიტერატურულ ქმნი-ლებათაგან, ალბათ, ჩახრუხაძის „თამარიანი“ წარმოადგენს (რა თქმა უნდა, გარდა ვეფხისტყაოსნისა). ჩახრუხაძის ინ-ტელექტუალური ორიენტაცია კი არაორაზროვნად ანტი-კურ ბერძნულ და ელინისტური ეპოქებიდან მომდინარე შუასაუკუნეების ფილოსოფიისაკენ – ნეოპლატონიზმისა და არისტოტელიანიზმისკენაა მიმართული: მოვუსმინოთ ჩახრუხაძეს:

მო, ფილოსოფოსნო, სიტყვითა არსნო, თამარს ვაქებდეთ გულის ხმიერსა! დიონისისგან, ვით ენოსისგან სრული ქებანი ამ ძძლეთ ძლიერსა! სოკრატ სიბრძნითა, სარამარ გრძნითა ვიყვნეთ, ვერა ვიქმთ სანადიერსა. უმიროს, პლატონ სიტყვა დამატონ, თვით ვერა მიხვდენ შესატყვიერსა. არისტოტელი, ბრძენთა ტომელი, თუ არ, რა შესძლებს ენა ძლიერსა? ათინას თქმულა, სილრმით დანთქმულა: ვერა ვინ სრულ ჰყოფს მას მეცნიერსა.

მხოლოდ თამარიანი არ მეტყველებს ამ ეპოქის ქართული სა-ერო საზოგადოების საგანგებო ინტერესზე ანტიკური ფილო-სოფიისა და ლიტერატურისადმი. იმავეს მეტყველებს ძველი ქართული საისტორიო მწერლობა: ცხოვრება მეფეთ-მეფე და-ვითისი, ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი. უამთააღმნერე-ლი (ასათიანი 1996: 126-136). უფრო მეტიც, ანტიკური ფილოსო-ფიისა და მის საფუძველზე აღმოცენებულ არისტოტელიზმსა და ნეოპლატონიზმზეა ორიენტირებული ამ პერიოდის ევროპის ქრისტიან ინტელიგენტთა მსოფლმხედველობაც. საკმარია და-ვასახელოთ დანტე ალიგიერი. მიჩნეულია, რომ მისი ფილოსო-ფიური მსოფლხედვის ძირითადი ორიენტირები სწორედ არის-ტოტელე და დიონისე არეოპაგელია.

ვეფხისტყაოსანში აშკარად იკვეთება უშუალო მიმართე-ბა რენესანსის წინარე ეპოქაში უაღრესად პოპულარულ არისტოტელეს ეთიკურ მოძღვრებასთან, მეგობრობისა და პიროვნების ზნეობრივი სრულქმნილებისა და სულის დეფი-

ნიციის კონცეფციებთან (ხინთიბიძე 2009: 361-438; 306-337; 550-582); დიონისე არეოპაგელის ბოროტის სუბსტანციური არ არსებობს და უზენაესი არსების წართქმით-უკუთქმითი სახელდების თეორიებთან (ნუცუბიძე 1976). პლატონის სახელგანთქმულ თხზულებებთან – სახელმწიფო და ნადიმი“ (ხინთიბიძე 2009: 474-496); აგრეთვე სხვა დიალოგებთან, კერძოდ, ტიმეოსთან (ბრეგვაძე 2002); რუსთველის ე.ნ. პოეტიკის კონცეფცია პრინციპულ მიმართებას ამჟღავნებს პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებებთან (ხინთიბიძე 2018).

ამ დონეზე აღარ უნდა იყოს საეჭვო, რომ რუსთველი ანტიკური ფილოსოფიის, ლიტერატურის და მითოსის ბაზაზეც ქმნის მხატვრულ სახეებს და ფილოსოფიურ სენტენციებს, რომელთაგან ზოგი მათგანი ჩვენი მსოფლებელვის პოზიციიდან ენიგმურია, ამოსაცნობია. ამათ შორისაა ანტიკური მითოსის ეროსი/სიყვარული. ძნელად ასახსნელი იქნებოდა, რომ ვეფხისტყაოსანი – სიყვარულის უნიკალური ძეგლი, რუსთველი – სიყვარულის ახალი კონცეფციის ავტორი, არ ეხმიანებოდეს ჩვენი ცივილიზაციის მითოსის, ლიტერატურის და ფილოსოფიის ყველაზე ცნობილ პერსონიფიცირებულ სიყვარულს – ეროსს.

შუასაუკუნეების ქრისტიანული რწმენისა და მსოფლებელის პოეტი პლატონის ნადიმისეული ეროსით ოპერირებისას ანტიკური ეროსის ქრისტიანული გააზრების ნიუანსებსაც ითვალისწინებს: როცა ეროსს (პერსონიფიცირებულ სიყვარულს) დადებითი კონტექსტით იმოწმებს, გაურბის მისი ვინაობა-რაობის განმსაზღვრელ ქართულ ბიბლიურ ტექსტებში დამკვიდრებულ სახელს – ეშმაკეული („ამ საქმესა მემონმების დევანოსი ბრძენი ეზროს“); ხოლო ქართულ ბიბლიურ ტექსტებში დამკვიდრებულ მის ბოროტ ბუნებაზე მიმათითებელ სახელს მაშინ მოიხმობს, როცა პოემაში ეს პერსონიფიცირებული სიყვარული თავისი უარყოფითი ნიუანსით ფიგურირებს: „უბოროტო ვის ასმია, რაც-ა კარგი საეშმაკო“.

## დამოცვებანი:

**ასათიანი 1996:** ასათიანი გ. ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1996.

**ბრეგვაძე 2002:** ბრეგვაძე ბ. „პლატონი და რუსთაველი“: პლატონი, პარმენიდე (ბ. ბრეგვაძის თარგმანი და კომენტარები). თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2002.

**გიგინეიშვილი 2018:** Gigineishvili L., “‘Good Demonic’ – an Apparent Oxymoron and Shota Rustaveli’s Platonic Vision of Eros”: პლატონის ფილოსოფია ინტერდის-ციპლინურ კონტექსტში (საერთაშორისო კონფერენციის თემისები). თბილისი: 2018.

**იოანე პეტრინი 1999:** იოანე პეტრინი. განმარტება პროკლე დიადოხოსის „მღრთისებულების საფუძლებისა“ (თანამედროვე ქართულზე გადმოღუ-ბული დამანა მელიქიშვილის მიერ). თბილისი: 1999.

**ლექსიკონი 1983:** *A Greek-English Lexicon (Compiled by Henry George Liddell and Robert Scott)*. “Clarendon Press”, Oxford 1983.

**ნუცუბიძე 1976:** ნუცუბიძე შ. „რუსთაველის მსოფლმხედველობა“. შრომები, IV. თბილისი: 1976.

**პლატო 2001:** Plato. *Symposium* (English translation by W.R.M. Lamb): *The Loef Classical Library*, Plato III. „Harvard University Press“, London: 2001.

**პლატონი 1964:** პლატონი. ნადიმი (ბ. ბრეგვაძის თარგმანი). თბილისი: გამომ-ცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964.

**პლატონი 1970:** Платон, Сочинения в 3 томах. Том 2. “Мысли”, Москва 1970.

**პროკლე დიადოხოსი 2016:** პროკლე დიადოხოსი. პლატონური ფილოსოფოსი, კავშირის დმრთისმეტყველებითნი. თარგმანი, წინასიტყვაობა და განმარტება იოანე პეტრინისა, II (დამანა მელიქიშვილისა და ნათია მიროტაძის გამოცემა). თბილისი: 2016.

**რუსთაველი 1966:** შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. ტექსტი ძირითადი ვარიანტებით. ა. შანიძისა და ა. ბარამიძის გამოცემა. თბილისი: 1966.

**რუსთაველი 1977:** Shota Rustaveli. *The Knight in Panther Skin* (A free translation in prose by Katharine Vivian), London 1977.

**რუსთაველი 1977:** Shota Rustaveli. *The Lord of the Panther-Skin*. A Georgian Romance of Chivalry (Translated by R. H. Stevenson), New York: 1977.

**რუსთაველი 2013:** შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია. თბილისი: 2013.

**რუსთველი 2013:** შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. კომენტირებული ტე-ქსტი თამაზ ვასაძისა. თბილისი: 2013

**რუსთველი 2013:** შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. ტექსტი პნეარედული განმარტებებით დავით ძნელაძისა. თბილისი: 2013.

**რუსთველი 2015:** შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. სასკოლო გამოცემა ნოდარ წათაძისა. თბილისი: 2015.

**ხინთიბიძე 2009:** ხინთიბიძე ე. ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობი-ლი სამყარო. „ქართველოლოგი“, თბილისი: 2009.

**ხინთიბიძე 2016:** ხინთიბიძე ე. „ვის იმონმებს და რატომ იმონმებს რუსთავე-ლი?“. ქართველოლოგი, 25, თბილისი: 2016.

**ხინთიბიძე 2018:** ხინთიბიძე ზ. „შაირობის რუსთველური თეორია“. ვეფხისტყ-აოსნის კომპოზიცია და პოეტიკის ანტიკური ტრადიცია. თბილისი: გამომცემ-ლობა „ლოგოსი“, 2018.

*E. Khintibidze*

## One More Reference to Greek Mythology in “The Man in a Panther-Skin”

### Summary

This article concerns to an ambiguous line of “The Man in a Panther-Skin”: „uboroto vis asmia rac-a kargi saeSmako“, which can be translated in this way: Who has heard devilry good without evil.

In the relevant episode of “The Man in a Panther-Skin” Rustaveli speaks about love, based on Plato’s The Symposium, where Love (Greek Eros) is defined as a good demon. In Byzantine Christian literature ancient demon is considered as a devil spirit and therefore in Georgian Bible is translated as “eSmakeuli”(devilry). From my point of view, Rustaveli’s devilry good indicates Love. According to this, Avtandil tells to Tariel that there is evil in the love: Who has heard devilry good without evil.

## **მარიამ კარბელაშვილი**

### **ვეფხისტყაოსნის უანრული პოლიფონიურობა**

ისტორიული პოეტიკის ფუძემდებელმა ა. ვესელოვსკიმ წამოაყენა დებულება ლიტერატურულ შემოქმედებაში მზა ფორმულათა არსებობის შესახებ, რომლებიც უძევს საფუძვლად ლიტერატურული პროცესის განვითარებას; თავის დროზე ეს პრობლემა მან კითხვის სახით დასვა: „განა დასაშვები კია, რომ ამ სფეროში დაისვას საკითხი ტიპიური სქემების შესახებ, სქემებისა, რომელნიც თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც მზა ფორმულები, რომელთაც შესწევთ უნარი გაცოცხლდნენ ახალი განწყობილებებით, გამოიწვიონ ახალი წარმონაქმნები?“ (ვესელოვსკი 1940: 2). მისი წინასწარგანჭვრეტა „ტიპიურ სქემათა“ და „მზა ფორმულათა“ შესახებ პერსპექტიული აღმოჩნდა ეპიკური თხზულებების კვლევის სფეროში. კარგა ხანია, ამ მხრივ ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა შუასაუკუნეობრივი რომანის – სარაინდო რომანის მიმართ. რუსთველოლოგის სამასწლოვანი ისტორია შესანიშნავ მასალას შეიცავს ამ თვალსაზრისით კვლევისთვის; დაგროვილ მასალას ანალიზი და განზოგადება ესაჭიროება ტიპოლოგიურ კვლევათა ასპექტში.

სარაინდო რომანის ფორმირების პროცესში გადამწყვეტი როლი შესარულა როგორც საგმირო ეპოსმა, ისე ზღაპრებმა – კონკრეტულად, ჯადოსნურმა ზღაპარმა, რომელმაც განსაზღვრა მისი სტრუქტურა, მისი შინაგანი აღნაგობა, რომელიც საოცარ იდენტურობას ამჟღავნებს როგორც ანტიკურ, ბერძნულ რომანში, XII-XIII ს-ის დასავლეთ ევროპულ რომანსა და ვეფხისტყაოსანში. ამ საკითხის კვლევა ისტორიული პოეტიკის სფეროს განეკუთვნება, თუმცა თავისთავად თეორიული პოეტიკის შემადგენელია.

სარაინდო რომანის უანრის შესწავლისთვის, ჩემი აზრით, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვ. პროპის გამოკვლევას ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურის შესახებ,

რომელსაც მან „ზღაპრის მორფოლოგია“ უწოდა (ფრჩხილებში შევნიშნავ, რომ ტერმინი „მორფოლოგია“ რომანის მიმართ გამოყენებული იქნა მკვლევარ კ. ტიანდერის მიერ XX საუკუნის დასაწყისში: 1909 წელს მის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომს „რომანის მორფოლოგია“ ჰქვია).

ვ. ი. პროპის გამოკლევას თეორიული აზრის სილრმითა და ნოვატორობით თეორიული ლიტერატურათმცოდნეობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მან ფაქტობრივი მასალით დაასაბუთა, რომ ჯადოსნური ზღაპარი ზღაპართა საერთო ფონდიდან გამოიყოფა არა ჯადოსნურობის, მისნურობის პრიმატით (რასაც განსაზღვრება „ჯადოსნური“ გულისხმობს), არამედ თავისი მწყობრი და მყარი კომპოზიციით, კონკრეტული სტრუქტურული ნიშნებით, სპეციფიკური, მისთვის დამახასიათებელი სინტაქსით. აღმოჩნდა, რომ ეპიკის საერთო სისტემაში ჯადოსნური ზღაპარი ერთ-ერთი ყველაზე მოწესრიგებული ქვესისტემაა. ვ. პროპის ცნობილ პოსტულატებზე დაყრდნობით ი. რევზინის გამოკვლევამ ეპიკურ ტექსტთა დინამიკური წყობის შესახებ საყურადღებო დასკვნები ნარმოადგინა, რომელთა გათვალისწინება სასარგებლოა ისტორიული პოეტიკის თვალსაზრისით. ი. რევზინმა სიმბოლური ლოგიკის ტერმინოლოგიის მიხედვით პერსონაჟს ტერმი უწოდა, ხოლო ფუნქციას – პრედიკატი და პროპის ცნობილ პოსტულატთა საფუძველზე ეპიკურ სისტემაში ტექსტთა ოთხი სახეობა გამოყო:

1. **ტერმთა** მაქსიმალური სიმარტივე და პრედიკატთა მაქსიმალური მოწესრიგებულობა – ასეთებია ჯადოსნური ზღაპარი და თანამედროვე დეტექტივი;

2. **ტერმთა** მაქსიმალური არასიმარტივე (ანუ სიმრავლე) და პრედიკატთა დიდი მოწესრიგებულობა – ასეთებია პომეროსის ეპოსის ტიპის ტექსტები;

3. **ტერმთა** მაქსიმალური არასიმარტივე და **პრედიკატთა** მაქსიმალური მოუწესრიგებლობა – ასეთია ჯოისის „ულისე“;

4. **ტერმთა** მაქსიმალური სიმარტივე და პრედიკატთა ნაკლებმოწესრიგებულობა – ასეთებია ზოგიერთი რელიგიურ-მის-

ტიკური ტექსტი (რევზინი 1975: 78-91). ეპიკურ თხზულებათა ეს კლასიფიკაცია მრავალმხრივ საინტერესოა, ხოლო რაც შეეხება პირველ სახეობას, რომელიც ჯადოსნური ზღაპრის კომპოზიციასთან არის დაკავშირებული, უნდა უთუოდ აღინიშნოს, რომ თვით ვ. პროპი სარაინდო რომანს ჯადოსნური ზღაპრის დერივატად თვლიდა.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში ისეთი ტერმინის შემოტანის შესახებ, როგორიცაა პოლიფონია (პოლიფონიურობა, პოლიფონიზმი).

მუსიკის თეორიაში არსებული სპეციფიკური ტერმინი პოლიფონია მრავალმიანობას აღნიშნავს, როდესაც რამდენიმე თავისი მნიშვნელობით დამოუკიდებული და თანაბარუფლებიანი მუსიკალური ხმა ერთდროულად ჟღერს და ერწყმის ერთმანეთს. ეს ტერმინი ლიტერატურათმცოდნეობაში პირველად მ. ბახტინმა შემოიტანა ჯერ ფ. დოსტოევსკის, შემდეგ კი ფ. რაბლეს რომანების გარკვეული სპეციფიკის დასახასიათებლად (ბახტინი 1963). ფ. დოსტოევსკისადმი მიძღვილ თავის ორიგინალურ გამოკვლევაში მ. ბახტინმა მისი რომანი დაახასიათა, როგორც „პოლიფონიური“ იდეოლოგიური რომანი, ხოლო რაბლეს რომანი, როგორც ნაწარმოები, რომელშიც მან გამოიყენა შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქის ხალხური „კარნავალური“ კულტურის პრინციპები. მ.ბახტინის ტერმინს შემდგომში ლიტერატურის თეორიის სხვა მკვლევარებმაც მიმართეს (ვ. კოშინოვმა, ა. მიხაილოვმა, ლუსმა და სხვ.). „პოლიფონიურობას“, როგორც ტერმინს, სხვადასხვა შინაარსით ავსებდნენ, მაგრამ არსებითად მ. ბახტინს იგი მიაჩნდა გასაღებად, რომლითაც შეიძლება გაიხსნას რომანის წარმოშობა და არსი მის მთლიანობაში. თხრობით ხელოვნებაში ეპიკური პერიოდის რომანი, სრული სიზუსტისთვის – სარაინდო რომანი, romance – ცვლის და იკავებს მის ადგილს. რომანმა, როგორც ახალმა უანრმა, ჩამოყალიბების გრძელი გზა განვლო და მასში დროთა განმავლობაში შემოქმედებითად იქნა გადამუშავებული წინამავალი უანრული ფორმები, რაც თეორიულ გააზრებას მოითხოვს.

ცალკე უნდა განვიხილოთ ვეფხისტყაოსნის რუმიუნლ ენაზე მთარგმნელის ვ. კერნბახის მოსაზრება ვეფხისტყაოსნის ჟანრული რაობის შესახებ, რომელიც მან 1962 და 1963 წლებში გმოთქვა, სადაც სხვათაგან განსხვავებით, სრულიად ოპიექტურად არის მინიშნებული, რომ ვეფხისტყაოსანში სხვადასხვა ჟანრების გარჩევა შესაძლებელი: „ვეფხისტყაოსანი“ არ განეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ ერთ რომელიმე ჟანრს – მასში ერთმანეთშია გადახლართული სხვადასხვა ჟანრები, რომელთა შორის გაპატონებული მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ეპოსს უჭირავს“ (კერნბახი 1978: 218). ისმის კითხვა: კონკრეტულად რომელ ჟანრს გულისხმობს ამ სიტყვების ავტორი? პასუხს ნაშრომში ვპოულობთ – ვ. კერნბახი გულისხმობს ეპოსს ამ ტერმინის კლასიკური გაგებით, რადგან რუსთაველის მასწავლებლად ასახელებს ისეთ დიდ ეპიკოსებს, როგორებიცაა ჰომეროსი და ფირდოუსი, რითაც ხაზს უსვამს ვეფხისტყაოსანში დასავლური და აღმოსავლური კლასიკური კულტურის შერწყმას: „რუსთაველის მასწავლებელი იყო როგორც ბერძენი ჰომეროსი, ისე სპარსელი ფირდოუსი“ (კერნბახი 1978: 242). ვეფხისტყაოსნის ჟანრობრივი რაობის განსაზღვრაში მთარგმნელის ეს მოსაზრება კონკრეტულ სახეს იღებს: „ვეფხისტყაოსანი“ უპირატესად დიდი ეპიკური ნაწარმოებია, კონსტრუირებული, როგორც დიდებული სარაინდო რომანი“ (კერნბახი 1978: 218). ვ. კერნბახის მოსაზრება ცხადია: ვეფხისტყაოსანში „გადახლართულია“ ეპოსი – ამ სიტყვის კლასიკური გაგებით – და სარაინდო რომანი, ე.ი. ვეფხისტყაოსანი ამ ლიტერატურულ ჟანრთა შერწყმის შედეგს წარმოადგენს.

რომელია ის „სხვადასხვა ჟანრები“, რომელთაც ვეფხისტყაოსანში „გაპატონებული მდგომარეობა“ არ უკავიათ, წინა-სიტყვაობიდან ცხადად არ ჩანს.

მიუხედავად ამისა, თავად ზოგადი დებულება ვ. კერნბახისა, რომ რუსთაველის ჰომები „ერთმანეთშია გადახლართული სხვადასხვა ჟანრები“ საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ჰომის მთარგმნელმა იგრძნო ვეფხისტყაოსნის სიუჟეტური პოლიფონიურობა, თუმცა საკითხს არ ჩაღრმავებია და ეს არც შეად-

გენდა მის მოვალეობას. ჩვნს მიერ მოყვანილი მისი მოსაზრებებიდან სავსებით მართებულია დებულება ვეფხისტყაოსანში სხვადასხვა ლიტერატურულ ჟანრთა არსებობის შესახებ, მაგრამ, თუ მკაცრად მეცნიერულ დეფინიციას მივმართავთ, მიუღებელია ტერმინი „გადახლართულია“, რადგან „გადახლართვა“ გარკვეული აზრით შემთხვევითობის მომენტთან არის დაკავშირებული, მაშინ როდესაც ვეფხისტყაოსანში სხვადასხვა ჟანრთა თანაარსობა, ვეფხისტყაოსნის ჟანრული პოლიფონიურობა მკაცრ ლოგიკურ პრინციპს ექვემდებარება და პოეტიკის განვითარების თანამედროვე დონეზე მეცნიერული ანალიზის სრულ შესაძლებლობას უზრუნველყოფს. შეა საუკუნეთა ლიტერატურამ – ამჯერად აქცენტებს ვაკეთებ ქრისტიანულ კულტურაზე ამოზრდილ საერო ლიტერატურაზე – წარმოიშვა ისეთი ფენომენი, როგორიცაა სარაინდო რომანი, განსაკუთრებით განვითარებული საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, რომლის ტიპოლოგიურ პარალელს საქართველოში შექმნილი ვეფხისტყაოსანი წარმოადგენს; ე.ი. როგორც კათოლიკურ საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, ისე მართლმადიდებლურ საქართველოში (მართლმადიდებლური სამყაროდან მხოლოდ საქართველოში! – ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს) შეიქმნა ე.ნ. romance (სარაინდო რომანი) სპეციფიკური ჟანრი, რომელმაც გარდამტეხი როლი შეასრულა ევროპული ლიტერატურის შემდგომ განვითარებაში. ბუნებრივად ისმის კითხვა: როგორ მოხდა, რომ ერთმანეთისგან გეოგრაფიულად დაშორებულ ტერიტორიებზე, სადაც ყოველგვარი კონტაქტები ისტორიულად გამორიცხულია – ერთის მხრივ უკიდურესი დასავლეთი (საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი), მეორე მხრივ კი უკიდურესი აღმოსავლეთი (საქართველო) ლიტერატურის განვითარების ერთსადაიმავე ეტაპზე აღმოჩნდა და ტიპოლოგიის თვალსაზრისით თავისი ზოგადი არსით არა უბრალოდ მსგავსი, არამედ იგივეობრივი ახალი საერო ლიტერატურა შექმნა? სწორედ აქ იჩენს თავს ჟანრის გენეზისის შესწავლის აუცილებლობა, რადგან დასავლეთ ევროპული სარაინდო რომანი გარკვეული ნიშნებით, სპეციალურ გამოკვლევათა მიხედვით თუ ვიმ-

სჯელებთ, ისეთივე უანრული პოლიფონიურობით ხასიათდება, როგორითაც ვეფხისტყაოსანი (მიხაილოვი: 1976: 15-47).

ამგვარ ვითარებაში ლოგიკურად ისმის კითხვა: რა ფაქტორი განაპირობებს სარაინდო რომანის ამგვარ პოლიფონიურობას?

ცნობილ მკვლევარს მ. ბახტინს, ლიტერტურულ ტექსტებზე დაკვირვებისა და მათი ფილოსოფიური ანალიზის ცდის შედეგად გამოტანილი აქვს ერთი უმნიშვნელოვანესი დასკვნა, რომლის თანახმად ნებისმიერი კონკრეტული ტექსტი „თავისებური მონადაა, რომელიც თავის თავში ასახავს მოცემული აზრობრივი სფეროს (საზღვრებში არსებულ) ყველა ტექსტს (ბახტინი 1976: 125).

სარაინდო რომანის უანრული პოლიფონიურობის საკითხის-თვის მ. ბახტინის ამ დასკვნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პრობლემაში კონკრეტულად გარკვევის თვალსაზრისით. მისი ხსენებული ნაშრომის წაკითხვამ და დამუშავებამ მომცა ნამდვილი გეზი, რომ ჩემი მხრით გარკვეული დასკვნები გამომეტანა სარაინდო რომანის უანრული მრავალფეროვნების სტრუქტურაში გარასრუევად, სადაც გარკვეული გადამწყვეტი როლი, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, ბიოლოგიაში აღმოჩენილმა ე.წ. ბიო-გენეტიკურმა კანონმა შეასრულა. თითქოს უცნაური უნდა იყოს ფილოლოგიისა და ბიოლოგიის – ამ ორი სრულიად განსხვავებულ მეცნიერული დარგის – დაკავშირება, მაგრამ, როგორც ადრეც მაქვს აღნიშნული, ფაქტები მოწმობს, რომ საბოლოო ჯამში ყველა მეცნიერება ფარულ თუ ცხად ურთიერთკავშირში იმყოფება და ცოდნის ერთან, მთლიან სისტემას ქმნის. მეცნიერების ერთ დრგში მოპოვებული მიღწევანი – ემპირიული მასალის ღრმა ანალიზის შედეგად მიღებული თეორიები და ამოცნობილი კანონზომიერებანი – შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული მეცნიერების სხვა დარგში, რადგან იგი უკვე არსებულის ასპექტში იქნება გააზრებული. უნდა ითქვას, რომ მეცნიერებათა სხვა დარგებს, განსაკუთრებით კი საბუნებისმეტყველო ნაშრომებს, არაერთი ფილოლოგი მიმართავს: მაგალითად ვ. ი. პროპმა თავისი მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომი „ზღაპრის მორფოლოგია“ გოეთეს ორგანულ არსებულ

ბათა მორფოლოგიის ანალოგიით შექმნა – მისი შთამაგონებელი გოეთეს იდეები იყო, რომელნიც ეპიგრაფთა სახით წაუმძღვარა „ზღაპრის მორფოლოგიის“ ცალკეულ თავებს, რომ აღარაფერი ვთქვათ თვით ტერმინზე „მორფოლოგია“; ასევე, მ. ბახტინი საკარნავალო ფორმების მორფოლოგიურ კვლევებში ეყრდნობა გოეთეს სტატიას – „რომანული კარნავალი“, რომელსაც თავად ვაიმარელი ბრძენი თავის ადრინდელ ნაშრომთან „მცენარეთა მეტამორფოზასთან“ ანათესავებდა. კიდევ ერთი მაგალითი: დ. ს. ლიხაჩივი თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ტექსტოლოგია“ ხელნაწერთა ფორმალური და ისტორიული კლასიფიკაციის დასადგენად კარლ ლინეის ბიოლოგიურ სისტემას იმოწმებს და წერს: „ამ მეცნიერებაში კლასიფიკაციის საკითხები უკეთაა დამუშავებული, ვიდრე ფილოლოგიაში და გარკვეული აზრით უფრო მარტივიცაა, ამიტომ მისი გამოცდილების გათვალისწინება სასარგებლოა“ (კარბელაშვილი 1984: 11).

ამ დიდ მეცნიერთა მაგალითისამებრ, მეც მივმართე ბიოლოგიის მეცნიერებაში ერთ-ერთ ფუნდამენტურ კანონს – ბიო-გენეტიკურ კანონს, რათა სარაინდო რომანის უანრულ სპეციფიკა-ში გავრკვეულიყავი. წინასწარ უნდა ვთქვა, რომ ჩემთვის ეს გზა მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა, როდესაც ვეფხისტყაოსნის უანრის რაობის გამო გამოთქმულ მრავალგვარ და განსხვავებულ შეხედულებათა მიღმა მკაცრად ჩამოყალიბებული ლოგიკური სისტემა დავინახე, რომელმაც ვეფხისტყაოსნის – შესაბამისად კი სარაინდო რომანის – უანრობრივი პოლიფონიური მექანიზმი განმარტა.

\* \* \*

რა არის ბიო-გენეტიკური კანონი? – მას ორი შემადგენელი აქვს: ონტოგენეზი და ფილოგენეზი. ბიო-გენეტიკურ კანონს განმეორების თეორიასაც უწოდებენ (ფილოსოფიური 1961: 88), მის ავტორებად ასახელებენ ფრიც მიულერს და ერნსტ გეკელს ან მხოლოდ ერნსტ გეკელს. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: „ფილოგენეზი (filon – გვარი, სახე და genesis – წარმოშობა),

ორგანიზმთა (ტაკსონა) ზოგიერთი სისტემატიური ჯგუფის ფორმირების პროცესია. ტერმინი შემოღებულია 1866 წელს ე. გეკელის მიერ ორგანული სამყაროს ჩამოყალიბების პროცესის აღსანიშნავად მის მთლიანობაში.

ეგრეთ წოდებული ბიო-გენეტიკური კანონი, ე. გეკელის მიერ 1866 წელს დაფორმულებული, ამტკიცებდა, რომ ორგანიზმი თავისი ინდივიდუალური განვითარების მსვლელობაში გადის იმ სტადიებს, რომელნიც მისმა წინაპრებმა გაიარეს ფილოგენეზში (მაგ.: ადამიანის ჩანასახი გადის ფაზებს, რომლებიც მოგვაგონებს თევზს, ამფიბიას, რეპტილიას, შემდეგ პრიმიტიულ ძუძუმწოვრებს, მაიმუნს და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს საკუთრივ ადამიანურ სახეს). ფილოგენეზის პროცესი და ონტოგენეზთან მისი თანაფარდობის დიალექტიკა ადასტურებს მთელისა და ნაწილის, ზოგადისა და ცალკეულის ერთიანობის პრინციპს და გვაძლევს მარტივიდან რთულისკენ და ასევე სპირალური განვითარებისას მაღალ ეტაპებზე დაბალი სტადიების ზოგიერთ ნიშანთა განმეორების კონკრეტულ მაგალითებს (ფილოსოფიური 1989: 694).

ბიო-გენეტიკური კანონის პრინციპის საფუძველზე ყველა ის ჟანრი, რომელიც მრავალრიცხოვან რუსთველოლოგიურ ნაშრომებშია დასახელებული, თავის ადგილს იკავებს და ვიღებთ მწყობრ სისტემას: მითი  $>$  ზღაპარი  $>$  ეპოსი  $>$  სარაინდო რომანი, რაც საერთოა XII საუკუნის სარაინდო რომანისთვის როგორც დასავლეთ ვეროპაში (კრეტიენ დე ტრუა, ვოლფრამ ფონ ეშენბახი), ისე საქართველოში (შოთა რუსთაველი).

ამრიგად, გაირკვა კლასიკური სარაინდო რომანის სტრუქტურის ძირითადი საკითხი, ხოლო ამ სტრუქტურაზე და-რდნობით ამა თუ იმ რომანის მხატვრული კონსტრუქცია უკვე ცალკეულ შემოქმედთა იდეურ-მხატვრული და იდეოლოგიური კონცეფციით არის განსაზღვრული.

\* \* \*

უძველეს მითთა სტრუქტურა – იქნება ეს მითი სოლარული თუ კალენდარული – სამწევრიანი პარადიგმული სისტემით ხასიათდება: ესაა „დაკარგვა – ძებნა – პოვნა“. ვეფხისტყაოსნის

სიუჟეტთან დაკავშირებით ამ სისტემას XX საუკუნის ერთ-ერთი შესანიშნავი რესთველოლოგი გაიოზ იმედაშვილი სარაინდო რომანს უკავშირებს: „ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი, აგებული შეყვარებულთა განშორება – ძებნა – პოვნის ნასკვზე, რაინდული რომანის მხატვრულ კონსტრუქციაში საერთო ტრადიციაა ფაბულის ზოგადი სქემით, სასიყვარულო თავგადასავლით, დაბრკოლებებითა და ბედნიერი დასასრულით“ (იმედაშვილი 1968: 242). მკვლევარი მას უწოდებს „ტიპიურ ფაბულას“, რომელიც, „ძველთაგანვე სტერეოტიპად ქცეული“, „ყველა დროისა და ხალხის ეპიკური შემოქმედების მუდმივი თეზაა, მისი უანრის თემატური სპეციფიკა და ვეფხისტყაოსანშიც არ არის შეცვლილი“ (იმედაშვილი 1968: 242).

ძველი ეპოსის მკვლევარი პ. ა. გრინცერი ძველი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის – იქნება ეს შუმერი (გილგამეშის ეპოსი), ინდოეთი („მაჰაბარატა“, „რამაიანა“) თუ საბერძნეთი („ილიადა“, „ოდისეა“) ეპოსთა მსგავსებას ამ მითოლოგიური სუბსტრატის განვითარების პოულობს, რითაც აიხსნება მათი მსგავდება. კარგა ხანია უარყოფილია გამოჩენილი ასირიოლოგის პ. იენსენის გახმაურებული თეორია, თოთქოს თოთქმის ყველა ძველებრაული და ბერძნული მითები და ეპიკური სიუჟეტები საწყისს მესოპოტამიიდან იღებენ (გრინცერი 1971: 135). მკვლევარს მოჰყავს სხვადასხვა მითები, რომლებიც საბოლოო ჯამში ე. წ. კალენდარული, სეზონური მითების ციკლს მიეკუთვნებიან: „უმეტესობა მითებისა, რომელთაგან მაგალითებიც ჩვენ მოგვყავდა, კალენდარული, სეზონური ციკლის მითებს მოკვდავი და მკვდრეთით აღმდგარი მცენარეულობის ღვთაების მითებს მიეკუთვნება“ (გრინცერი 1971: 160), ამიტომ „ცოლის მიტაცების, მისი ძებნისა და პოვნის თემა, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, რომელიმე ერთი ხალხის საკუთრებას კი არ წარმოადგენს, რომელმაც იგი სხვა ხალხთა ეპიკურ პოეზიას გადასცა, არამედ საერთო მემკვიდრეობაა“ (გრინცერი 1971: 177). მკვლევარის ინტერესის სფეროს მითისა და ძველი ეპოსის ურთიერთმიმართება წარმოადგენს და ამ პრობლემას იგი საერთო კომპოზიციური მოდელის განსაკუთრებულ კონსერვატიულობას უკავშირებს

და აკეთებს საინტერესო შენიშვნას: „... მითოლოგიური კომპოზიციური სქემის შეღწევა ლიტერატურაში ეპიკური პოეზიის მიღმაც ხდება. ეს სქემა არსებობს სხვადასხვა სახის ფოლკლორულ უანრებში, კერძოდ კი ჯადოსნურ ზღაპარში და წერილობით ძეგლებშიც“ (გრინცერი 1971: 181); საყურადღებოა, რომ ეპოსში მკვლევარი გამოყოფს კეთილსა და ბოროტს შორის კონფლიქტის თემას (გრინცერი 1971: 195).

მითის და ეპოსის ურთიერთმიმართების კვლევისას თავს იჩენს ისეთი მოვლენა, ეპიკური ტექნიკა, სადაც ცალკეული ელემენტები ასევე ამჟღავნებენ მსგავსებას. ამგვარ ელემენტთა რიცხვს ასევე მიეკუთვნება ეპიკური მოტივები და სიუჟეტები, რომელიც საგმირო ეპოსის მკვლევართა უმეტესობის მიერ არის გამოყოფილი; მაგალითად ასეთებია გმირის უჩვეულო ძალ-ღონე, სასწაულებრივი ცხენი ან ირალი, დაძმობილება და სხვა. მკვლევარი მათ უკავშირებენ ზღაპრულ ან ზღაპრის მონათესავე მითოლოგიურ წარმოდგენებს, ასევე, წეს-ჩვეულებებსა და უძველესი დროის საზოგადოებრივ ურთიერთობებს (გრინცერი 1971: 157). კავშირი მითთან ჩანს ისეთ მოტივშიც, როგორიცაა მისთვის ნაყოფიერების ღვთაების სიკვდილი, რათა შემდეგ კვლავ აღსდგეს (კალენდარული მითი), მაგრამ ეპოსში ეს მოტივი რეალიზებულია გარკვეული ტრანსფორმაციით: გმირის ნაცვლად იღუპება სხვა, უმეტეს შემთხვევაში მისი უახლოესი მეგობარი ან ძმა ანუ გმირის სუბსტიტუტი. ასეთივე კონვენციური მოტივია გმირის ჩასვლა ქვესკნელში ან მისი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მაგალითად, გველთან. ასეთი ბრძოლა ასოცირებულია სიკვდილთან ანუ სიკვდილთან ბრძოლასთან (გრინცერი 1971: 166-167), რათა გამოიხსნას მოტაცებული საცოლე ან ცოლი. „ამრიგად – დაასკვნის პ. ა. გრინცერი – ეპოსი მითის მიმღები, „წამხდარი ან გადააზრებული მითი კი არ არის, არამედ, როგორც მითი, ერთი და იგივე კომპოზიციური სქემის რეპრეზენტაცია; მაგრამ მითში მისი არსის ძალით ეს სქემა უფრო სუფთა სახითაა შემონახული, ამიტომაც თავს უფლება მივეცით, მისთვის მითოლოგიური გვენოდებინა“ (გრინცერი 1971: 179). თვალ-

საჩინეობისთვის ავტორს მოჰყავს მითისა და ეპოსის შეპირისპირების სქემა, რაც სრულიად აშკარას ხდის, რომ ორივე ერთი კომპოზიციური მოდელის დერივატია (გრინცერი 1971: 177-179) და, ამრიგად, მითიც და ეპოსიც ერთი კომპოზიციური სქემის რეპრეზენტაციაა.

ცნობილი მკვლევარი ი. მ. დიაკონოვი გილგამეშის ეპოსის შესახებ მრავლისმეტყველ დასკვნებს აკეთებს: „გილგამეშის შესახებ პოემის მასალად მითოლოგიური მოტივებია გამოყენებული..., პოემის ჭეშმარიტ შინაარსს წარმოადგენს ადამიანის ბედი, რომელიც არა მითოლოგიურ, არამედ ლიტერატურულ-ფილოლოგიურ პლანშია გადაწყვეტილი“. პ. ა. გრინცერი ანზოგადებს ამ მართებულ შეხედულებას და მნიშვნელოვანი დასკვნა გამოაქვს: „შესაბამისი შესწორებებით ეს გამონათქვამი შეიძლება გავიმეოროთ ძველი დროის ყველა სხვა კლასიკური ეპოსის მიმართ“ (გრინცერი 1971: 197).

პ. ა. გრინცერის ეს ნაშრომი თუმცა ძველი დროის ეპოსს ეხება, თავისი არსით ეხმაურება ჩვენთვის საინტერესო საკითხს, რადგან ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის უანრული პოლიფონიურობა მოიცავს მითსაც და ეპოსსაც, რომელმაც რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში სათანადო ასახვა ჰპოვა; მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ რუსთველოლოგიაში დიდი ხნის წინ გამოთქმული მოსაზრება: „საგულისხმოა, რომ უკვე პირველი მსოფლიო ეპოსის გილგამეშის ერთი მთავარი მოტივია სწორედ კეთილ და ბოროტ ძალთა შეჭიდება, პერსონიფიცირებული თვით გილგამეშისა და ურჩხულის ხუმბაბას შებრძოლების ეპიზოდში, იგივეა საქვეყნოდ ცნობილი მოტივი წმ. მხედრის ბრძოლისა ურჩხულთან, და რაღაც გზებით, შესაძლოა, იმავე მოტივის – ადამიანის ურჩხულთან ბრძოლის მოტივის თავისებური გამოხატულება იყოს ტარიელის შებრძოლება ლომ-ვეფხვთან, თუკი სარწმუნოა მ. წერეთლის შენიშვნა იმის შესახებ, რომ „გაჭრა ტარიელისა ნესტანის საძებნელად, ცხოვრება მისი მხეცებთან, ვეფხისტყაოსნობა, ლომ-ვეფხის ხოცვა, კვება ნადირის ხორცით – ეს ხომ გილგამეშის საქმეც იყო“ (გ. იმედაშვილი 1968: 226).

როგორც გ. იმედაშვილი აღნიშნავს: „ყოველ შემთხვევაში, გილგამეშიანიდან ჩანს წამოსული მსოფლიო ფოლკლორსა და მწერლობაში, სხვა მრავალ მოტივებსა და სახეებთან ერთად, კარგად გავრცელებული ადამიანის მხეცთან შეჭიდების მოტივი, რომელმაც ქართულ ზეპირსიტყვიერებასა და მწერლობაშიც ჰპოვა გამოხატულება. გმირის შებრძოლება მხეცებთან ამირანისა და ტარიელის სახეს გილგამეშს ამსგავსებს და გზას გვიხსნის ზოგი საგულისხმო დაკვირვებისა და დასკვნისაკენ... ეროვნული შთაგონებისა და განწყობისათვის აქ აღარა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ ამირანი მითოსიდან მოდის, ტარიელი ლიტერატურული ეპოსის პერსონაჟია, ვახტანგ გორგასალი კი, რომელსაც მატიანე მრავალ გოლიათურ გმირობას მიაწერს, ისტორიული პიროვნებაა – ისინი ერთნაირად არიან აღჭურვილი ეპოსისთვის დამახასაითებელი ფიზიკურ-სულიერი პიპერბოლირებული თვისებებით“ (იმედაშვილი 1968: 270, 271). გარდა ამისა, არაერთი რუსთველოლოგი დაინტერესდა ვეფხისტყაოსნის და ჰომეროსის ეპოსის საკითხებით, რაც კიდევ უფრო მეტად აფართოებს ტიპოლოგიურ კვლევათა არეალს.

\* \* \*

ვეფხისტყაოსნის ქართულ მითოსთან კავშირი დიდი ხანია საგანგებო გამოკვლევათა საგნად იქცა.

რუსთველისეული ნესტან-დარეჯანის მხატვრული სახე სე-მანტიკურად ფოლკლორულ მზეთუნახავს უკავშირდება, რომელიც თავის მხრივ ქართული მითოსიდან იღებს დასაბამს. ქართული ეთნოგრაფიული გადანაშთი მასალის მიხედვით მზე-თუნახავი მზისა და მზის ქალღვთაებათა კულტის საფუძველზე აღმოცენებული ზღაპრული სახეა, რომელიც ნაყოფიერების ქალღვთაების – ბუნების დიდი დედის – ნანას ფოლკლორულ ორეულს წარმოადგენს: მზე > მზექალი > დღე დღესინდელი > პირომზე // ბარბოლი// ბუნების დიდი დედა ნანა /მზეთუნახავი (ბარდაველიძე 1957: 4-5, 12, 105-109). ჰიპოთეზურად მზეთუნახავისა და ნაყოფიერების ქალღვთაების ერთგვარი იდენტურობა ადრევე იყო შენიშნული (ფრანკ-კამანეცკი: 1932: 53-55), მაგ-

რამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოაბა, რომ ამ იდენტურობის საფუძველი ქართულ ეთნოგრაფიულ მასალაში შეიძლება იყოს მოძიებული. აქ კი, ჩემი აზრით, სრულიად გან-საკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გადანაშთ ეთნოგრაფიულ მასალაში დადასტურებულ ისეთ უნიკალურ იდეას, როგორიც არის სპეციფიკური ქართული ნარმოდებენა „ნაწილიანის“ შე-სახებ (ბარდაველიძე 1957: 110-111). „ნაწილიანი“ პიროვნება სინათლის, შუქის, ასტრალური – მზის, მთვარის, ვარსკვლავის – ნიშნით არის ალბეჭდილი და ნათება, შუქის მოფენა მისი ატ-რიბუტია. ამგვარ „ნაწილიან“ პიროვნებებს მიეკუთვნება ქარ-თული ფოლკლორის მზეთუნახავი, რომელიც მზის სემანტიკით არის ალბეჭდილი (ბარდაველიძე 1957: 111). ზემოთქმულის მი-ხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფოლკლორული „ხელ-მწიფის ქალი“ ანუ ქართული ტერმინოლოგით მზეთუნახავი ადრეულ საზოგადოებრივ ფორმაციათა ასპექტში თავისი გან-ვითარების ყველა ეტაპზე ტიპოლოგიურად ნაყოფიერების ქალღვთაების მითოლოგიურ სემანტიკას შეიცავს, ხოლო საბო-ლოო გაფორმებას კი სოლარული მითოლოგიის საფუძველზე იღებს: (კარბელაშვილი: 1981: 16). ზემოთქმულს ადასტურებს ქართული მზიური მითოსის შესანიშნავი ნიმუში:

ქაჯებ მზე წყალში შაადგეს,  
წყალს მისცეს დგან-დგარებითა,  
წყალმა იბრძოლა იწყალა,  
გაიგდო ქანქარებითა;  
წყალში რომ გველნი დაუხვდნენ,  
ბადე ბადეს აქვთ გაბმითა,  
შავმა გველმა თქვა: შავჭამოთ,  
წითელმა უქშინა ავითა,  
თეთრმა გველმა თქვა: ნუ შავჭამთ,  
ტარიელის მზე არისა.

ცხადია, ნესტან-დარეჯანის მხატვრული სახე მითოლოგიური ნარმომავლობისაა და მის მიღმა მზე და მისი მთავარი მი-

თოლოგიური ჰიპოსტასი – ნაყოფიერების ქალღვთაება იაფ-რება. სემანტიკური მწვრივით – მზე > ნაყოფიერების ქალღვთაება > მზეთუნახავი – ჯადოსნური ზღაპრის ინვარიანტში „გველი იტაცებს მეფის ასულს“ (პროპი 1984: 158), (შრდ.: „ნაწილიანს“ გველი სდევნის, რათა ნაწილი წაართვას), რასაც მითოსურ დონეზე შეესაბამება ფორმულა „გველი იტაცებს მზეს“ – მზის სადღელამისო თუ სეზონური მზებრუნვის ციკ-ლია ასახული.

სოლარულ მითოლოგიაში მზის „წასვლა“ და „დაბრუნება“ იგივეა, რაც მცენარეულობის „სიკვდილი“ და „აღდგომა“ კა-ლენდარულ მითში. ამრიგად, მითის სემანტიკამ მასზე და-ფუძნებულ მხატვრულ ნაწარმოებთა კომპოზიციურ აღნაგო-ბაში ჰპოვა პრაქტიკული გამოხატულება – ესაა კლასი-კური სქემა „დაკარგვა – ძებნა – პოვნა“. კალენდარული მითის კომპოზიციურმა სქემამ განვითარების რთული გზა განვლო. ჯადოსნური ზღაპრის ვ. პროპისეული ფორმულა თა-ვის სინქრონიაში ამ სამწევრიანი პარადიგმის განვრცობაა ფუნქციათა დონეზე.

ამგვარად, ვეფხისტყაოსნის უანრულ პოლიფონიურობაში საფუძველს ქმნის მასში დაშიფრული ხსენებული მითოლოგე-მა, რომლის სტრუქტურა საერთოა სოლარული, კალენდარული და ესქატოლოგიური მითოსისთვის; მათ შორის განსხვავება მხოლოდ ფუნქციონალურია.

ამ მითოლოგების ფორზე ნესტან-დარეჯანის ქაჯეთში ტყვეობა სემანტიკურად „ქვესკნელში ჩასვლას“ ანუ „სიკვ-დილს“ ნიშნავს. ქაჯეთის ციხის ფარული მითოლოგიური არ-სი ხთონური სამყაროა – ქვესკნელის, სიკვდილის სამეფო, სადაც „ქაჯი“ სემანტიკურად და ფუნქციონალურად გველის ტოლფარდია, რაც ტროპული სიზუსტით არის გამოხატული ვეფხისტყაოსანში:

რა საბრალოა გავსილი მთვარე, ჩანთქმული გველისა! (1230)

ამ მითოსური მოდელის მიხედვით ნესტან-დარეჯანის „დაწინდვა როსან ცოატი ყმისადა“ ქვესკნელის მეუფესთან

ნაყოფიერების ქალღვთაების ნაძალადევი ქორწინებაა: გავიხ-სენოთ მრავალ ანალოგიასთან ერთი, დაფიქსირებული „ქარ-თლის ცხოვრებაში“: „ვითარ პლუტონ პერსეფონისათვის“ (ქართლის 1959: 36).

რუსთაველის მეტეფორებს არქაულ მითოლოგიურ სახეთა კონკრეტულობა ახასიათებთ; ქაჯთაგან დატყვევებული ნეს-ტან-დარეჯანის ტროპიკაა „მზე წარხდომილი“:

ადეგ, წავიდეთ საძებრად მის მზისა წარხდომილისად (1350),  
რათგან მიჰხვდა დაკარგული ლომი მზესა წარხდომილსა.  
(1459)

ეს მეტაფორა მითოლოგიურ დონეზე პირდაპირ და არა გა-დატანით შინაარსს შეიცავს მზებრუნვის ციკლის შესაბამისად.

სოლარული მითის კონტექსტში ტარიელის „ტირილი“ ნესტან-დარეჯანის დაკარგვის გამო სხვა სემანტიკურ დატ-ვირთვას იღებს: ესაა მისტერიული, რიტუალური ტირილი – ნაყოფიერების ღვთაების „წასვლის“ ანუ „სიკვდილის“ საკულ-ტო დატირება. საყურადღებო ანალოგის სახით ამგვარივე მისტერიულ-რიტუალური ხასიათისა უნდა იყოს ქართულ ფოლკლორში შემონახული უნიკალური „გვრინი“, რომელიც ერთი მხრივ მთიბლურ სიმღერას წარმოადგენს, მეორე მხრივ კი მიცვალებულის დატირებას, „ნატირალს“.

ტარიელის „ხელობა“, „ველთა გაჭრა“, „მხეცთა ხლება“ მი-თოსურ ასპექტში მისი სიკვდილის მეტაფორაა, ხოლო ბრძო-ლა ლომ-ვეფხვთან – სიკვდილთან ბრძოლა და სიკვდილის დათრგუნვაა.

ავთანდილი პოემაში შემოდის, როგორც ტარიელის სუბსტი-ტუტი და შემწე, რომელიც ენაცვლება ძმადნაფიცს ნესტან-დარეჯანის ძებნაში. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილია, გმირის სუბსტიტუტის და „ძმობილის“ მოტივები მჭიდრო ურთიერთიბაშია.

კალენდარული და სოლარული მითოლოგიის ასპექტში ნა-ყოფიერების ქალღვთაება აღმდგარი, ამწვანებული ბუნების

მითოლოგიური სიმბოლოა. ამ ასპექტში შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მწვანე ფერის სამოსელი ნესტან-დარეჯანის ერთ-ერთი მყარი გარეგნული ატრიბუტია:

ფარდაგსა შინა მჯდომარე, შესამოსლითა მწვანითა (408),  
მითვე მწვანითა უებრო მიწოლით ტახტსა მჯდომელი (521),  
თავსა რიდითა შავითა, ქვეშეთ მოსილი მწვანითა (1131).

ამ კონტექსტში, ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ ქა-  
ჯეთის ციხიდან ნესტან-დარეჯანის გამოსახსნელად გმირები  
მიდიან მაშინ, როდესაც

მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნად ამოსლვა მწვანისა (1328).

მითოლოგიურ ასპექტში ქაჯეთის ციხის დამხობა „სიკვდი-  
ლის“ დამარცხება და სიცოცხლის „აღდგომაა“, „მზე წარ-  
ხდომილის“ გათავისუფლება ხთონური სამეფოს ტყვეობიდან.

მითოლოგიურსავე კონტექსტში იღებს ახლებურ ინტერპრე-  
ტაციას ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ქორწილი: „მკვდრე-  
თით აღმდგარი“ ღვთაების ეს ქორწილი საგაზაფხულო ქორწი-  
ნებაა, ნაყოფიერების მითოსური და ფოლკლორული სიმბოლო.

ამრიგად, მითს სრულიად განსაკუთრებული აგდილი უკა-  
ვია ვეფხისტყაოსნის ჟანრულ სიტემაში: იგი მისი სიუჟეტის  
წარმომექმნელი საფუძველია, რაც სავსებით კანონზომიერია  
ლიტერატურის თეორიის თვალსაზრისით. მაგრამ აქ ერთი  
მნიშვნელოვანი თავისებურება იჩენს თავს: იგი ნესტან-ტა-  
რიელის რკალის სპეციფიკაა და არაორგანულია თინათინ-ავ-  
თანდილის რკალისთვის. რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში  
„დაკარგვა – ძებნა – პოვნის“ ფორმულას თინათინ-ავთანდილის  
რკალთანაც აკავშირებენ, მაგრამ პოემის სიუჟეტურ დონეზე  
განხილვისას სრულიად ცხადია ტარიელისა და ავათანდი-  
ლის მხატვრულ სახეთა პრინციპული განსხვავება: ტარიელი  
ტრადიციული გმირია თავისი მითოლოგიურ – ფოლკლორულ  
– ეპიკური გენეალოგიით, მაშინ, როდესაც ავთანდილი **XII**

საუკუნის ლიტერატურსთვის სრულიად უცნობი გმირია, ახალი ეპოქის პირმშო და იდეალია, რომელსაც პირდაპირი წინაპარი არ ჰყავს და მთლიანად მომავლისკენაა მიმართული. ავთანდილის მხატვრული სახე უნიკალურია XII საუკუნის როგორც ქართულ, ისე ევროპულ ლიტერატურაში: დასავლეთ-ევროპულ სარაინდო რომანს მსგავსი გმირი არ ჰყავს.

\* \* \*

რუსთაველის პოემის ხალხურობა – როგორც მას რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში უწოდებენ – ქართულ ფოლკლორთან არის დაკავშირებული. საკითხს სამსაუკუნოვანი მეცნიერული ისტორია აქვს: რუსთველოლოგის ფუძემდებლის – ვახტანგის ანალიტიკური აზროვნების ერთ-ერთ შესანიშნავი ნიმუშს მის მიერ ვეფხისტყაოსნის ფაბულის ფოლკლორული პირველსაფუძლის მიგნება და ზუსტად მითითება წარმოადგენს.

ფოლკლორი მხატვრული ლიტერატურის მასაზრდოებელი წყაროა, რომელსაც მრავალი სხვადასხვა განშტოება აქვს. ფოლკლორული ტრადიციის მნიშვნელობა ინდივიდუალურ შემოქმედებაში, სადაც ხელოვნება განუმეორებელი გენიოსის შემოქმედების სფეროდ იქცევა, რომელსაც „ისე შევცქერით, როგორც მიუწვდომელი სასწაულის გამოვლინებას“ (პროპი 1984: 45), საყოველთაოდ (ცნობილი ფაქტია. XIX ს-ის მიწურულს და XX საუკუნის დამდეგს გავრცელებული ე. წ. „სესხებათა თეორიის“ არსებითი გადაფასება სწორედ იმან გამოიწვია, რომ ა.ნ. ვესელოვსკიმ თანდათანობით წინ წამოსწია და გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა კაცობრიობის ადრინდელი კულტურული გამოცდილების, კერძოდ კი ფოლკლორის შემოქმედებით ათვისებას მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში. ამავე დროს, ეს საკითხი პირდაპირ კავშირშია ვეფხისტყაოსნის ორიგინალურობის ვახტანგისეულ თეზასთან. მეცნიერების პროგრესმა დაადასტურა ვახტანგის თეზის ჭეშმარიტება: XX საუკუნის მიწურულს ალექსანდრე ხახანაშვილის მიერ აღძრული პრობლემა ვეფხისტყაოსნის კავშირისა ფოლკლორთან – საკითხის მცდარი ინტერპრეტაციის მიუხედავად – უაღრესად

ნაყოფიერი აღმოჩნდა, რომლის შესწავლაში არაერთმა მკვლევარმა შეიტანა თავისი წვლილი. ვ. ი. პროპის ფუნდამენტური ნაშრომის „ზღაპრის მორფოლოგიის“ ასპექტში ვეფხისტყაოსნის სტრუქტურის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ რუსთაველის პოემის სიუჟეტს ჯადოსნური ზღაპრის ინვარიანტი უძევს საფუძვლად და ვეფხისტყაოსნის კომპოზიცია, მისი „მზიდი კონსტრუქცია“ ჯადოსნური ზღაპრის სიუჟეტის მოდიფიკაცია გენიალური შემოქმედის იდეურ მხატვრული ჩანაფიქრის შესაბამისად (კარბელაშვილი 1984: 741-743). ვახტანგის „თარაგმანში“ ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალთაგან ერთს გამოვყოფ, რომელიც თვალსაჩინოდ ავლენს ვეფხისტყაოსნის უშუალო კავშირს ხალხურ ზღაპართან. რუსთაველის პოემის იდეურ-მხატვრული ანალიზისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოტივს, რომელიც გამოხატულია სიტყვებით: „სჯობს საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია“ (377,2); ვახტანგმა თავის კომენტარში პირდაპირ მიუთითა ამ მოტივის, როგორც კონსტრუქციული ელემენტის, წყარო: „და იმ ქალებმა (იგულისხმება თინათინი და ნესტან-დარეჯანი – მ. კ.) თითო სამსახური დაადებინა, რომ თუ ხელმწიფობის ღირსიაო, გამოაცდევინა“. ეს მართლაც შესანიშნავი მიგნებაა, რამდენადაც იგი ჯადოსნური ზღაპრის „ერთ-ერთი უსაყვარლესი ელემენტი“ – მეფის ასულის მიერ ზღაპრის გმირისთვის მიცემული „ძნელი დავალებაა“ (პროპი 1984: 101-103), რომელიც ვეფხისტყაოსანში თინათინის მიერ ავთანდილისთვის უცხო მოყმის ძებნისა და პოვნის, ნესტან-დარეჯანის მიერ ხატაელთა დამორჩილებისა და ხვარაზმელი სასიძოს მოკვლის, ფატმანის მიერ ავთანდილისათვის ჭამნაგირის მოკვლის დავალებით არის რეალიზებული, და, ხუთჯერ სხვადასხვა ვარიაციით განმეორებული, პოემის კომპოზიციაში წარმმართავი ფუნქციის მნიშვნელობას იძენს. ამრიგად, ფოლკლორული ზღაპრის მიხედვით ვახტანგმა ზუსტად დაასახელა პოემის სიუჟეტის დინამიზმის ნამდვილი საფუძველი, მეორე მხრივ კი გამოკვეთა ქალის როლი, როგორც ამ დინამიზმის სულისჩამდგემლისა.

მითოსი – ისევე, როგორც ეპოსი – თავისი კლასიკური ფორმით არ იცნობს ორ გმირს: იგი, როგორც წესი, ერთგმირიანია, ერთ გმირი ჰყავს. მითოსისა და ეპოსისგან განსხვავებით, ჯადოსნური ზღაპარი ორგმირიანიც შეიძლება იყოს. მედი-ევისტიკაში უდავოდ ითვლება დებულება, რომ კლასიკური სარაინდო რომანი ერთგმირიანი თხზულებაა. ამ თვალსაზრისით ვეფხისტყაოსნის მხატვრული კონსტრუქცია მართალც ძირფესვიანად გასხვავდება კრეტიკ დე ტრუას („ერიკი და ენი-და“, „კლიუესი“, „ივეინი ანუ ლომაინი რაინდი“, „ლანსელოტი ანუ ურმიანი რაინდი“, „პერსევალი ანუ გრაალის ამბავი“) და ვოლფრამ ფონ ეშენბახის („პარციფალი“) რომანებისგან, რომლებიც, წესისამებრ, ერთგმირიანია. საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს რუსთველოლოგიური ლიტერატურა ამ თავლსაზრისით შესწავლისას. აკად. ალ. ბარამიძეს შოთა რუსთაველის შესახებ დაწერილ ფუნდამენტურ მონოგრაფიაში გატარებული აქვს აზრი, რომ ვეფხისტყაოსნის მთავარი გმირი არის ტარიელი, ე. ი. ვეფხისტყაოსანი ერთგმირიანი ნაწარმოებია, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ გამოჩენილი რუსთველოლოგი ამავე დროს პოემაში არსებული „ორი ამბის“, „ორი წრის“, „ორი რკალის“ შესახებ არაერთხელ საუბრობს (ბარამიძე 1975: 67, 81, 100-111): „ვეფხისტყაოსანში აღწერილია ორი ამბავი – ამბავი არაბეთის და ამბავი ინდოეთისა. პოემაში შესაფერისად გამოყვანილია გმირთა ორი წრე“; „პოემაში მოთხრობილია ამბავი (ინდოეთის და არაბეთის გმირებისა)“; „ვეფხისტყაოსანში აღწერილია ორი რკალის საკმაოდ მსგავსი ამბავი (არაბეთის ამბავი, ინდოეთის ამბავი), შესაფერისად ორი რკალისანი არიან პერსონაჟებიც (ტარიელი, ავთანდილი, წესტანი, თინათინი)“. ქართული და დასავლეთ-ევროპული რომანების ანალიზმა სრულიად ცხადად გვიჩვენა, რომ ვეფხისტყაოსანი ორგმირიანი ნაწარმოებია, მას ორი მთავარი გმირი ჰყავს, ამასთან „ორგმირიანი რომანის სტრუქტურა გულისხმობს არა ორი ერთგვაროვანი გმირის არსებობას (ეს გარკვეული ტიპის დუბლირება იქნებოდა და შემოქმედებით მიღწევად ვერ ჩაითვლებოდა), არამედ ორ განსხვავებულ ხასიათს, რაც საფუძვლად უძევს რუსთველის

პოემის ორდერძიან კომპოზიციას, რომლის გათვალიწინებით ვეფხისტყაოსანი ახალი დროის მსოფლიო ლიტერატურაში პირველი ორგმირიანი თხზულებაა, რადგან მას ორი თანაბარ-უფლებიანი მთავარი გმირი ჰყავს – ტარიელი და ავთანდილი“ (კარბელიშვილი 1986: 437-440).

იდეა ჯადოსნური ზღაპრისა და XII საუკუნეში შექმნილი სარაინდო რომანის უშუალო სტრუქტურული კავშირის შესახებ ვ. ი. პროპმა წამოაყენა, რომელმაც ამავე დროს ზღაპრის მითოსთან კავშირიც აღნიშნა: „თუ ამ კლასის ზღაპრებს ისტორიული თვალსაზრისით განვსაზღვრავთ, მაშინ მათ **მითოსური** ზღაპრების ძველებური, მაგრამ ან უკვე უარყოფილი სახელწოდება უფრო შეეფერებათ... ასეთივე აღნაგობას ამჟღავნებს მთელი რიგი ძველი მითებისა, ხოლო ზოგიერთი მითი კი ამ წყობას საოცრად ხალასი სახით იძლევა. ეს, ეტყობა, ის სფეროა, საიდანაც მოდის ზღაპარი. მეორე მხრივ, იგივე აღნაგობას ამჟღავნებს ზოგიერთი სარაინდო რომანიც. ეს კი, აღბათ, უკვე ის სფეროა, რომელიც თვითონ მომდინარეობს ზღაპრიდან. გამოწვლილით მათი შედარებითი შესწავლა მომავლის საქმეა“ (პროპი 1984: 143).

ამგვარად, ჯერ კიდევ 1929 წელს, როდესაც გამოვიდა „ზღაპრის მორფოლოგიის“ პირველი გამოცემა, უკვე იყო გააზრებული მითის, ჯადოსნური ზღაპრისა და სარაინდო რომანის ურთიერთმიმართება.

\* \* \*

საგანგებო ყურადღებას მოითხოვს ვეფხისტყაოსნის ეპოსთან მიმართების საკითხი, რადგან ვეფხისტყაოსნის არაერთი მკვლევარი უწოდებს მას „ეპოსს“, „ქართულ ნაციონალურ ეპოსს“, „ლირიკულ ეპოსს“ და ა. შ. ამ შემთხვევაში ძნელია ზუსტად დაკვალიფიცირდეს, ავტორი გულისხმობს ეპოსს მისი კლასიკური გაგებით (მაგალითად „ილიადა“ და „ოდისეა“), თუ ეპიკურ ნაწარმოებს, რომელსაც, ეპოსისგან განსხვავებით თავისი სპეციფიკა აქვს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით რუსთველოლოგიაში ბევრი

რამ მოითხოვს დაზუსტებას, მაგალითად, განსაზღვრება ვეფხისტყაოსნისა ფორმულით „ნაციონალური ეპოსი“. ეს საკითხი იმდენად არის საყურადღებო, რამდენადაც იყო ვრცელი პერიოდი რუსთველოლოგიაში, როდესაც ვეფხისტყაოსნის სიუჟეტს განიხილავდნენ ალეგორიის ასპექტში, რაც ისტორიულ ალეგორიას გულისხმობს და პოემის პროტოტიპებს რუსთაველის თანამდეროვე საქართველოში პოულობდნენ. ამ თვალსაზრისს გამოხატავდნენ დ. ჩუბინაშვილი, მ. ბროსე და შემდგომში არაერთი სხვა პირი ჩვენ დღეებამდეც კი. მაგალითისთვის მოვიყვან დ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას 1842 წელს გამოქვეყნებული სტატიიდან: „თუ შევადარებთ დედოფლის ცხოვრებას პოემაში აღნერილ ამბებს, ვნახავთ საოცარი მსგავსების ნიშნებს, რომლებიც გვაძლევენ საფუძველს ვიფიქროთ, რომ მთავარი გმირი ქალის ნესტან-დარეჯანის სახელის ქვეშ იმალება თვით თამარი. მივუთითოთ ამ მსგავსების ზოგიერთი პუნქტი. ნესტან-დარეჯანი იყო ერთადერთი ასული გიორგი მესამისა. ნესტან-დარეჯანის აღზრდა ფარსადანმა დაავალა თავის დას დავარს, თამარის აღზრდა დაგალებული ჰქონდა გიორგი მესამის დას რუსუდანს... თუ ქართველ მემატიანეებს დავუჯერებთ, ხორეზმის შაპი ეძიებდა თამარის ხელს და ისეთივე უარი მიიღო, როგორც მისმა წინამორბედმა ნესტანისგან... პოემაში მოხსენიებლი ქაჯთა ციხე... მდებარეობს იმერეთში, ახალციხის მხარეში“ (ჩუბინაშვილი 1988: 198-199). რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში პოემის „ალეგორიული განმარტებისთვის“ ისტორიულ პირთა თუ ფაქტთა მოხმობის უამრავი მაგალითია, რის შესახებ კ. კეკელიძე სავსებით სამართლიანად შენიშნავდა – „ის პოეტია და არა ისტორიკოსი“ (კეკელიძე 1958: 154), თუმცა ეს ტენდენცია იმდენად მძლავრი აღმოჩნდა, რომ „ზოგჯერ კ. კეკელიძეს მითითებული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებისა თუ სიტუაციების კონკრეტულ ისტორიულ პარალელებზე“ (ბარამიძე 1980: 143); აქ აღარაფერია სათქმელი პ. ინგოროვა-სეულ „ისტორიულ შიფრზე“ ვეფხისტყაოსანში, რომელიც ლალი ფანტაზიის ნაყოფია და ამგვარი „ისტორიული ანალოგიების“ ძიება XX საუკუნის მიწურულსაც კი გაგრძელდა. ვეფხისტყა-

ოსნის სიუჟეტის „ალეგორიუელი განმარტების“ მიხედვით ისე გამოდის, რომ ვეფხისტყაოსანი ისტორიული რომანი ყოფილა, რაც სრული ანაქრონიზმია. ამიტომაც სავსებით მართებულია ა. ბარამიძის მიერ ამგვარი ხასიათის ნაშრომთა შეფასება: „ამ-რიგად, ჩვენ საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ის-ტორიულ-ალეგორიული ინტერპრეტაციის ვერც ეს ცდა იძლევა დამაჯერებელ შედეგს, ისტორიული სინამდვილე და ალეგორია ერთმანეთს არ ემთხვევა, ვღებულობთ ნაძალადევ ისტორიულ ინტერპრეტაციას“ (ბარამიძე 1980: 147).

\* \* \*

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ რუსთაველის თხზულების საფუძველს სარაინდო რომანისთვის ტრადიციული ტრიადა წარმოადგენს: სოლარული მითი („დაკარგვა – ძებნა – პოვნა“), ჯადოსნური ზღაპარი (პერსონაჟთა ფუნქციები) და საგმირო ეპოსი. ამავე ტრადიციაზე აგებული კრეტიენ დე ტრუასა და ვოლფრამ ფონ ეშენბახის რომანები, რომელთა სტრუქტურაშიც იკვეთება სამივე კომპონენტი, სადაც *Chanson de gestes*-ს თავისი მყარი ადგილი უკავია. მაგრამ როგორიც უნდა იყოს ეს მემკვიდრეობითი ელემენტები, სარაინდო რომანი სრულიად ახლებური მოვლენაა საერო ლიტერატურის განვითარების რთულ გზაზე. მაინც რა არის ის უმთავრესი, რაც მას განასხვავებს წინამორბედთაგან? – ესაა გამონაგონი, ფიქცია, იმაგინაცია, მხატვრული ფანტაზია, რომელიც ქმნის სიუჟეტს. 1957 წელს ნიუ-იორკში გამოიცა გამოკვლევა „კრეტიენ დე ტრუა – თანამედროვე რომანის გამომგონებელი“, სადაც განვითარებულია დებულება, რომ კრეტიენ დე ტრუას (1130-1190) ხუთივე რომანის ერთმანეთისგან განსხვავებული სიუჟეტები – ე. წ. არტურის ციკლის რომანები – მთლიანად ავტორის მხატვრული გამონაგონია (გაიერი 1957). სწორედ ამან განსაზღვრა ის უმნიშვნელოვანესი ფაქტი, რომ ლიტერატურაში მხატვრული ფიქციის შემოტანის გამო კრეტიენ დე ტრუას თანამედროვე რომანის გამომგონებლის, თანამედროვე რომანის მამამთავრად აღიარების პატივი ერგო: რომანი მხატვრული გამონაგონის

გაგებით მხოლოდ ევროპული ტიპის მხატვრული შემოქმედების სპეციფიკაა, მხოლოდ იქ განვითარდა საუკუნეთა მანძილზე და წამყვანი უანრის ადგილი დაიკავა.

XII საუკუნის საქართველოში ზუსტად ანალოგიური ვითარებაა: აქ ევროპისგან დამოუკუდებლად იშვა რომანის ახალი სახეობა – ვეფხისტყაოსანი, მაგრამ ფრანგული რომანისგან განსხვავებით ურთულესი ორგმირიანი კომპოზიციით, როგორც შოთა რუსთაველის მხატვრული გამონაგონის, ფიქციის, მხატვრული ფანტაზიის ნაყოფი – ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტია არა მხოლოდ ვეფხისტყაოსნის კვლევისთვის, არმედ ქართული პროზის ისტორიული განვითარების თვალსაზრისითაც.

\* \* \*

ვეფხისტყაოსნის უანრობრივი რაობის შესახებ არსებული მრავალგვარი განსაზღვრებანი, რომელიც უმეტესწილად სუბიექტურია, არაა დასაბუთებული მეცნიერულად და არ ფლობენ ტერმინოლოგიურ სიზუსტეს, ნათელს კი არ ფენენ, პირიქით, აბუნდოვნებენ საკითხს და არავითარ პოზიტიურ როლს არ თამაშობენ მართლაც მნიშვნელოვანი პრობლემის გამოკვეთაში. აქ შესაფერისი იქნება მივმართოთ შუა საუკუნეთა ცნობილი ფილოსოფოსის ვილიამ ოკამის (1300-1350) პრინციპს, რომ „არ არის საჭირო არსთა გამრავლება აუცილებლობის გარეშე“ ანუ ცნობილ „ოკამის სამართებელს“ და ვეფხისტყაოსნის უანრობრივ განსაზღვრას ჩამოვაცილოთ ყველა ის არაარსებითი დეფინიციები, რომლებიც შემთხვევით ხასიათს ატარებენ და დავტოვოთ მხოლოდ ის, რაც მართლაც შეესაბამება მის ჭეშმარიტ რაობას. დღეისთვის რუსთველოლოგიაში სამი ასეთი განსაზღვრა არსებობს:

1. „რომანტიკულ-გმირული პოემა“;
2. სარაინდო რომანი;
3. ფილოსოფიური რომანი.

როგორც ადრეც აღვნიშნე, ცაგარელი-ბარამიძის ფორმულა „რომანტიკულ-გმირული“ პოემა თავისი შინაარსით სრულად ემთხვევა სარაინდო რომანის არსს – იგი მისი აღნერილობითი

ფორმულაა, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ალ. ბარამიძის მიერ მის განვრცობილ დახასიათებას: „ვეფხისტყაოსნის იდეულ-შინაარსობრივ თავისებურებას ეს ფორმულა უფრო სწორად გამოხატავს. ვეფხისტყაოსანში არაჩვეულებრივი ჰარმონიულობით ერწყმის და ექსოვება ერთმანეთს სიყვარული და ძმობა-მეგობრობა, რომანტიკა და ჰეროიკა“ (ბარამიძე 1975: 116). „სიყვარული“, „ძმობა-მეგობრობა“, „ჰეროიკა“ სწორედ სარაინდო რომანის არსებითი და განმსაზღვრელი კომპონენტებია, აქედან კი ლოგიკურად ის დასკვნა გამოდის, რომ „რომანტიკულ-გმირული პოემა“ და „სარაინდო რომანი“ ტოლთარდი განსაზღვრებებია; საერთოდ, ალ. ბარამიძის ნაშრომიდან ჩანს, რომ იგი ყოველნაირად ეწინააღმდეგება ვეფხისტყაოსნის სარაინდო რომანის ჟანრის ნაწარმოებად მიჩნევას, და ცნობიერად თუ არაცნობიერად გააზრებული ჰქონდა, რომ სარაინდო რომანი არ ფლობს იმ მარადიულ ღირებულებას, რაც სცილდება მისი ეპოქის ფარგლებს, ხოლო ცხოვრებამ კი დაამტკიცა, რომ ვეფხისტყაოსანმა გადალახა დრო.

ზემოთქმულიდან შემდეგ დაგვრჩა ვეფხისტყაოსნის ორი კვალიფიკაცია:

1. სარაინდო რომანი;
2. ფილოსოფიური რომანი.

უნდა ითქვას, რომ შალვა ნუცუბიძისეულ კვალიფიკაციას რუსთველოლოგიაში რატომღაც დუმილით ექნა გვერდი ავლილი: არც ცხადი მიღება, არც ცხადი უარყოფა, და, რაც მთავარია, არც კრიტიკული განხილვა.

გამონაკლისის სახით ერთადერთი „რუსთაველის ესთეტიკის“ ავტორი გიორგი ნადირაძე აღმოჩნდა, რომელმაც გაიზიარა შ. ნუცუბიძისა აზრი, რომ ვეფხისტყაოსანი ფილოსოფიური რომანია, და, რამდენიმე ათწლეულის შემდეგ მე, როდესაც შ. ნუცუბიძის არგუმენტებისგან განსხვავებით საკუთარი არგუმენტები წამოვაყენე იმის დასასაბუთებლად, რომ ვეფხისტყაოსანი ფილოსოფიური პოემაა (კარბელაშვილი 1988: 22). ერთი მხრივ სარაინდო რომანი და მეორე მხრივ – ფილოსოფიური რომანი – ეს ორი კვალიფიკაცია ერთი შეხედვით შეუთავსებელი

ჩანს, მაგრამ აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ქართულ მწერლობაში ვეფხისტყაოსანს ინტუიციით ტრადიცულად ყოველთვის ფილოსოფიურ თხზულებად მიიჩნევდნენ (მაგალითად: „რუსთაველი სიბრძნის ტბა არის“), ამიტომაც დიდი ხნის წინ ვწერდი: „ვეფხისტყაოსნის გმირთა სამიჯნურო-რომანტიკული განცდები მხოლოდ ის მომხიბლავი ფასადია, რომლის მიღმა მორალური, იდეური, ფოლოსოფიური და პოლიტიკური მსოფლმხედველობა იფარება, და სწორედ ესაა ის უმთავრესი, რაც ვეფხისტყაოსანს კაცობრიობის ინტელექტუალური და მორალური განვითარების გზაზე მსოფლიო მნიშვნელობის ნიშანსვეტად აქცევს“ (ევდომევილი 1991: 137).

ამრიგად, ორივე ფორმულა – სარაინდო რომანი და ფილოსოფიური რომანი – ერთმანეთს ავსებს, რათა რეალური სურა-თი წარმოვიდგინოთ: ვეფხისტყაოსანი სარაინდო რომანის ფორმით დაწერილი ფილოსოფიური პოემაა და ესაა მისი მარადიულობის საიდუმლო\*.

სარაინდო რომანის ფორმით ფილოსოფიური რომანის შექმნა ლიტერატურის ისტორიაში მსოფლიო მნიშვნელობის ორი შედევრით არის ცნობილი: ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალით“ და სერვანტესის „დონ-კიხოტით“. ორივე ეს რომანი კათოლიკურ სამყაროშია შექმნილი, პირველი – რუსთველის ეპოქის ახლო ხანებში – 1200-1210 წწ., სარაინდო რომანის ზეობის პერიოდში, მეორე კი 1605-1615 წლებში, როგორც სარაინდო რომანის პაროდირება, მაგრამ უნდა დავეთანხმოთ ლიტერატურათმცოდნეებს, რომ თუმცა „დონ-კიხოტში“ სერვანტესი დასცინის რაინდობას, ამავე დროს მანვე არაჩვეულებრივი ბრნყინველებით განასახიერა რაინდობის იდეალი.

ცნობილი და აღიარებული ლიტერატურათმცოდნე იური ლოტმანი, რომელიც უმბერტო ეკოს გახმაურებულ და უპოპუ-

\* ამის შესახებ იხ. მარიამ კარბელაშვილი. „ვეფხისტყაოსანი როგორც ფილოსოფიური რომანის ჟანრის თხზულება“. „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ადგილი მსოფლიო მნერლობაში. თანამედროვე ინტერპრეტაციები. საერთაშორისო კონფერენცია. მასალები. გამომცემლობა „საარი“, 2016. გვ. 271-301.

ლარულეს რომანს („ვარდის სახელი“) დაურთო ბოლოსიტყვა-ობა სათაურით „გამოსასვლელი ლაბირინთიდან“, წერს: „ავ-ტორი მკითხველს ერთდროულად თითქოს ორ კარს უდებს, რომლებსაც ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით მიჰყავს: ერთ კარს აწერა: დეტექტივი, მეორეს – ისტორიული რომანი“ (ლოტმანი 1989: 469). ავტორის შემდგომ მსჯელობებს, უაღ-რესად საინტერესოს, ახლა არ გავყვები, ვიტყვი მხოლოდ, რომ რუსთაველმა ამ ხერხს 800 წლის წინათ მიმართა, როდესაც მკითხველს ასევე ორი კარი გაუღო, რომელთაგან ერთს აწე-რია „სარაინდო რომანი“, გნებავთ, „სათავგადასავლო რომანი“, მეორეს კი – ფილოსოფიური რომანი, რაც მან სრულიად ცხა-დად, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე გვითხრა მკითხვე-ლებს პოემის პროლოგშივე:

შიარობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი (12),

რაც ნიშნავს, რომ პოეზია – ფილოსოფიურია, რაც სრულ თან-ხმობაშია არისტოტელეს „პოეტიკის“ ცნობილ დებულებასთან.

ფილოსოფიურ რომანს, როგორც ლიტერატურათმცოდნე-ობით ტერმინს, ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს: ერთი მხრივ ესაა საკუთრივ ფილოსოფიური ხასიათის თხზულება, რომელსაც ავტორი შეგნებულად აძლევს მხატვრულ ფორმას ემოციური აღქმის გასაძლეერებლად; ასეთი რომანები დამა-ხასიათებელია ევროპული განმანათლებლობის ეპოქისთვის – ვოლტერის, მონტესკიეს, დენი დიდროს რომანები და სხვ. ასეთ რომანებს მხატვრული პირობითობის იერი აქვს: ამ-გვარი რომანის გმირი დამოუკიდებელი ხასიათი არ არის, არა-მედ ავტორის იდეათა გადმოცემის მიზანს ემსახურება და ამიტომაც სიუჟეტი და კონფლიქტის გადაწყვეტა გარკვეულ ავტორისეულ კონცეფციას ექვემდებარება და მხატვრულობის თვალსაზრისით არ ფლობს იმ უშუალობას და მომხიბვლელო-ბას, რაც საკუთრივ მხატვრულ ნაწარმოებს უნდა ახასიათებ-დეს – მასში ემოციას ინტელექტი სძლეეს.

ფილოსოფიური რომანის მეორე ტიპს საკუთრივ მხატვრული ნაწარმოებები წარმოადგენენ – მაგალითად, სერვანტესის „დონ-კიხოტი“, სტენდალის „შავი და ნითელი“, დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“, ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“. ამ შემთხვევაში ამგვარ რომანთა შემოქმედნი, უდიდეს ფილოსოფოსთა მსგავსად, აყენებენ ადამიანის ყოფიერების უმთავრეს ფილოსოფიურ პრობლემებს, მგრამ ეს რომანები, უპირველეს ყოვლისა, მთლიანად მხატვრული ნაწარმოებებია, და სწორედ ამაში მდგომარეობს მათი სიდიადე და წარუვალი ღირებულება.

ასეთ მარადიულ რომანთა რიცხვს მიეკუთვნება შოთა რუსთაველის ფილოსოფიური რომანი ვეფხისტყაოსანი, რაც მას XII საუკუნის ლოკალში კი არ კეტავს, არამედ იმ ნაწარმოებთა რიგში აყენებს, რომელნიც კაცობრიობის უსასრულო პროგრესს უწყობენ ხელს.

თავდაპირველად რენესანსის საკითხი ივანე ჯავახიშვილმა აღძრა, რომელსაც რატომდაც არ ახსენებენ, შემდეგ კი შალვა ნუცუბიძემ. ვეფხისტყაოსანის უანრული პოლიფონიურობის, და რაც მთავარია, მისი ფილოსოფიური ხასიათის ჩაღრმავებული შესწავლა გაცილებით მეტ საფუძვლიანობას შესძენს ქართული რენესანსის შესწავლას.

#### **დამოცვებანი:**

**ბარამიძე 1980:** ბარამიძე ა. ქართული მწერლობის პრობლემები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1980.

**ბარდაველიძე 1957:** Бардавелидзе В. В. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тбилиси: 1957.

**ბახტინ 1963:** Бахтин, М. Проблемы поэтики Достоевского. Москва: 1963.

**ბახტინ 1965:** Бахтин, М. Творчество Франсуа Рабле и народная культура средневековья и Ренессанса. Москва: 1965.

**ბახტინ 1970:** Бахтин, М. Проблемы текста. Опыт философского анализа. ჟ. Вопросы литературы, 1970, № 10.

**გაიერი 1957:** Guyer F. E. Chretoen de Troyes – Inventor of the Modern Novel. New York: 1957.

**გრინცერი 1971:** Гринцер, П. А. Эпос древнего мира. Типология и взаимосвязи литературы древнего мира. Москва: издательство «Наука», 1971.

**ევდომშვილი (კარბელაშვილი) 1992:** ევდომშვილი მ. (კარბელაშვილი მ.). „არ, უთქმელობა არ ვარგა...“. ჟურნ. ლაშარი, 1992, №2.

**ვესელოვსკი 1940:** Веселовский, А. Историческая поэтика. Ленинград: 1940.

**იმედაშვილი 1968:** გ. იმედაშვილი. ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1968.

**კარბელაშვილი 1980:** კარბელაშვილი მ. ხალხური ვეფხისტყაოსნის სტრუქტურა და ტიპოლოგია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 97, № 3, 1980.

**კარბელაშვილი 1981:** კარბელაშვილი მ. ტერმინი „მზეთუნახავი“ უძველეს ქართულ სარწმუნოებათა ასპექტში და მისი ზოგადფოლელორული მნიშვნელობა. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, XI სამეცნიერო სესია. თბილისი: 1981.

**კარბელაშვილი 1984:** კარბელაშვილი მ. ვლადიმერ იაკობის ძე პროპი და მისი „ზღაპრის მორფოლოგია“. თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო მარიამ კარბელაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1984.

**კარბელაშვილი 1986:** კარბელაშვილი მ. ვეფხისტყაოსნის კომპოზიციის საკითხისთვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 122, №2, 1986.

**კარბელაშვილი 1988:** კარბელაშვილი მ. ვეფხისტყაოსანი პლატონის „სახელმწიფოსა“ და არისტოტელეს „პოლიტიკის“ ასპექტში. საქართველოს მეცნიერებათა აცადებითა. ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო; შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. სამეცნიერო სესია XXII. მუშაობის გეგმა და თეზისები. თბილისი: 1988.

**კარბელაშვილი 2016:** კარბელაშვილი მ. „ვეფხისტყაოსანი როგორც ფილოსოფიური რომანის ჟანრის თხზულება. „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ადგილი მსოფლიო მნერლობაში. თანამედროვე ინტერპრეტაციები. საერთაშორისო კონფერენცია. მასალები. თბილისი: გამომცემლობა „საარი“, 2016.

**კეკელიძე 1958:** კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია. ძველი ლიტერატურა. II. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1958.

**კერნბახი 1959:** კერნბახი ვ. „ვეფხისტყაოსნის“ რუმინული თარგმანის მეორე გამოცემის წინასიტყვაობა“. რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში. II, თსუ გამომცემლობა, თბ., 1978; ქართლის ხცოვრება. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: 1959.

**ლოტმანი 1989:** Лотман, Ю. *Выход из лабиринта*. Умберто Эко. *Имя розы*. Москва: 1989.

**მიხაილოვი 1976:** Михайлов, А. Д. *Французский рыцарский роман и вопросы типологии жанра в средневековой литературе*. Москва: издательство «Наука», 1976.

**პროპი 1984:** პროპი ვ. ზღაპრის მოწვევლებია. თარგმნა და ნინასიტუვაობა დაურთო ციალა კარბელაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1984.

**რევზინი 1975:** Ревзин И. К общесемиотическому истолкованию трех постулатов Проппа. *Типологические исследования по фольклеру*, Москва: 1975.

**ტიხაია-ცერეტელი 1931:** М. Г. Тихая-Церетели. Женский образ mzetunaqav грузинских сказок. *От героини любви феодальной Европы до богини матриархальной Афревразии*. Москва-Ленинград: 1932.

**ფილოსოფიური ლექსიკონი 1961:** Философский словарь. Для научных библиотек. Сокращенный перевод с немецкого. Изд. Иностранный литературы. Москва: 1961.

**ფილოსოფიური ენციკლოპედიური ლექსიკონი 1989:** Философский энциклопедический словарь. Москва: 1989.

**ფრანკ-კამენეცკი 1925:** Франк-Каменецкий И. *Грузинская параллель к древнеегипетской повести «О двух братьях»*. Яфетический сборник. Ленинград: 1925.

*Mariam Karbelashvili*

## Genre Polyphony of *The Knight in The Panther's Skin*

### Summary

The decisive role in the process of forming romance was played by heroic epos as well as fairy tale which determined its structure and internal concept revealing surprising identity in Greek romance, XII-XIII century West European romance and in *The Knight in the Panther's Skin*.

Coexistence of various genres in *The Knight in the Panther's Skin*, its genre polyphony obeys strict logical principle and provides thorough possibility to carry out scientific analysis at the modern level of development of poetics.

To understand genre specificity of the romance the author of the paper addressed one of the fundamental laws of biological sciences – law of biogenetics. On the base of this principle all genres which were mentioned in multiple Rustvelological works have occupied their place and created an ordered system: myth > fairy tale > epos > romance, which is common for West European XII century romance (Chretien de Troyes, Wolfram von Eschenbach) as well as for Georgia (Shota Rustaveli).

The author selects two from three main genre definitions of The Knight in the Panther's Skin existing in Rustvelology: 1. romance and 2. philosophical novel. In Georgian literature The Knight in the Panther's Skin has always been considered intuitively a philosophical work (e.g. "Rustaveli is a lake of wisdom"). Amorous and romantic feelings of heroes of The Knight in the Panther's Skin are just the attractive façade, beyond which the basic idea, moral, philosophical, and political world outlooks are hidden and namely this is the core, which makes The Knight in the Panther's Skin a milestone of the global significance on the way of intellectual and moral progress of humanity.

Thus, both formulas - romance and philosophical novel fill each other in order to imagine real picture: The Knight in the Panther's Skin is a philosophical poem written in the form of romance and this is the secret of its eternity.

Shota Rustaveli's philosophical work The Knight in the Panther's Skin belongs to eternal novels, it is not locked in the space of the XII century; it is in the row of works, which contribute to the infinite progress of humanity.

# სახისმეტყველება

---

## ნესტან სულავა

**მზისა და ვარდის მეტაფორის ტრანსფორმაცია,  
როგორც „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციის  
ერთ-ერთი საფუძველი**

„ვეფხისტყაოსანში“ ასახული ეპიზოდები, მხატვრული სახეები ერთმანეთს ენაცვლება და პოემის სიუჟეტურ მსვლელობას დაძაბულობით, მოულოდნელობებით აღავსებს, რის საფუძველზეც იკვრება თბზულების კომპოზიციური ღერძი და იქმნება ჰარმონიულობა, რაც გაუნელებლად ზრდის მყითხველის ინტერესს. ცნობილია, რომ მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციას უანრობრივი თავისებურება და მისი ესთეტიკური მოთხოვნები განაპირობებს; იგი სიუჟეტის ცალკეულ ელემენტებს, ეპიზოდებს, გმირთა თავგადასავლებს ერთმანეთთან აკავშირებს, რომელთაგან თითოეულს მხატვრული ნაწარმოების მთავარ იდეას უხამებს და უქვემდებარებს. კომპოზიციას თავისი მკაცრად რეგლამენტირებული წესები და ელემენტები წარმართავს. „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციამ წინარელიტერატურული ტრადიციებისაგან ბევრი რამ იმემკვიდრა, მაგრამ მისგან მაინც მკვეთრად განსხვავდება, რაც ეპოქის ლიტერატურულ-ესთეტიკურმა მოთხოვნებმა განაპირობა, რადგან, ფაქტობრივად, სეკულარული ცხოვრების, შესაბამისად, სეკულარული იდეოლოგიის დამკვიდრებამ ახალი, საერო ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ლიტერატურული პრინციპები შემოიტანა.

სამეცნიერო ლიტერატურაში პოემის კომპოზიციის წრიულობის შესახებ ხვთისო ზარიძემ საგულისხმო მოსაზრება გამოთქვა (ზარიძე 2002), რომელიც კიდევ მოითხოვს დაკვირვებასა

და კვლევას. ყოველი კომპოზიციური ელემენტი პოემის მთავარი სათქმელის ასახვას, ძირითადი მიზნის განხორციელებას უწყობს ხელს. პოემაში კომპოზიციის წრიულობა მრავალი ეპიზოდის, მხატვრულ სახეთა სისტემის, გამომსახველობითი ხერხებითა და სხვადასხვა კომპონენტის საშუალებით ვლინდება. ერთ-ერთია არეოპაგიტული მოძღვრება სიკეთის არსებობისა და ბოროტის უარსობის შესახებ, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის განვითარების საღვთისმეტყველო და ფილოსოფიურ საფუძვლად გვევლინება და რომელიც შოთა რუსთველის პოემის კომპოზიციას განსაზღვრავს//წარმართავს. კომპოზიციური თვალსაზრისით სიკეთისა და ბოროტების მიმართების არეოპაგიტული სიბრძნე რომ უაღრესად მნიშვნელოვანია, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ პოემის დასაწყისში თინათინის მიერ დასმულ კითხვას კეთილის მარადიულობისა და ბოროტის უარსობის შესახებ – „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?“ – პოემის დასასრულს პასუხი ბიბლიურ-ევანგელიური სწავლებისა და არეოპაგიტული სიბრძნის საფუძველზე ავთანდილმა გასცა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ (1361). სიკეთის მარადიულობისა და ბოროტების უარსობის არეოპაგიტული მოძღვრებით თინათინისა და ავთანდილის სულიერი ერთიანობაა წარმოდგენილი, რაც ამ პერსონაჟთა სახე-ხასიათების გახსნას ემსახურება. ამ საკითხზე იმიტომ შევაჩერე ყურადღება, რომ სიკეთისა და ბოროტის ურთიერთმიმართებას, მათს არსობა-უარსობას უკავშირდება მზისა და ვარდის სიმბოლური და მეტაფორული წარმოსახვა „ვეფხისტყაოსანში“.

შოთა რუსთველის პოემის პერსონაჟთა ჰარმონიულობა, მათ თვისებათა ჰარმონიული შესამება ის იშვიათი მთლიანობაა, რაც იმ დროისა და უფრო გვიანდელი ეპოქის აღმოსავლურ და დასავლურ ლიტერატურულ ტრადიციებში არ შეინიშნება. ფაქტობრივად, ანალოგი ვერ ეძებნება. ეს ფაქტი პოემის კომპოზიციის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ. კომპოზიციის შემკვრელი მეტაფორული სისტემის ამ ტიპის ელემენტები საკმაოდ მრავლად არის „ვეფხისტყაოსანში“, კერძოდ: სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართება, მზისა

და ვარდის სიმბოლური და მეტაფორული გააზრება, მთვარის მეტაფორა, ზაფხულისა და ზამთრის, სიცივის//ყინვისა და სითბოს, დროისა და სივრცის მეტაფორული გააზრება, სიკვდილისა და სიცოცხლის ურთიერთმიმართების მხატვრული ასახვა და სხვ.

**მსჯელობა.** ამ სტატიაში ყურადღებას შევაჩერებ მზისა და ვარდის მხატვრულ სახეებზე, როგორც სიუჟეტისა და კომპოზიციის მეტაფორულად წარმმართველ მეტად საგულისხმო ხატ-სახეებზე. შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ მზისა და ვარდის მხატვრულ ხატ-სახეებს მითოპოეტურ სახეთა შორის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. ამ თვალ-საზრისით პოემის სიუჟეტს წარმართავს დამჭნარი ვარდის ახალი ვარდით შეცვლის მეტაფორა და სიმბოლური გააზრება, რაც სამყაროსა და საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებს მოასწავებს, და ალუზიებით, სომბოლოებით დატვირთული მზის მეტაფორა, რომლებიც პოემის კომპოზიციური სიმწყობრის მომწესრიგებლად გვევლინება. დასაწყისშივე როსტევან მეფის მიერ წარმოთქმული ბრძნული აზრი ცხოვრების წარმავლობისა და დაუდგრომლობის თაობაზე ვარდისა და მზის სიმბოლიკითა და მხატვრული გააზრებითაა ნასაზრდოები („რა ვარდმან მისი ყვავილი...“; „მზე ჩაგვისცნდა...“), რაც პოემის დასასრულს პერსონაჟთა ცხოვრებაში ვარდის გაფურჩქვნის მეტაფორა-სიმბოლოსა და მზის ეტლის ცვალების მხატვრული სახით ეპოქალური სიახლის მაუწყებელ მხატვრულ ასახვად წარმოგვიდგება („ვარდის ფურცლობის ნიშანი...“; „ეტლის ცვალება მზისაგან...“).

მზისა და ვარდის მხატვრული სახის, მეტაფორის, სიმბოლოს, ალეგორიის, ალუზიისა და ენიგმის გათვალისწინება გვმართებს „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ პერსონაჟთა გარეგნობის, მათი შინაგანი სამყაროს, მძაფრი სულიერი განცდების სრულყოფილად გასააზრებლად მათი ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე. პოემის დასასრულს ვარდის მხატვრული ფუნქცია განსაკუთრებულად ჩანს, ვინაიდან გაზაფხულზე, ქვეყნით მწვანის ამოსვლის უამს ვარდის ფურცლობა ახალი სამყაროს

დასაწყისადაა მოსააზრებელი, მის გაშლას უკავშირდება გარდატეხა პოემის გმირთა ცხოვრებაში, რომელიც ამიერიდან ბოროტისაგან განძარცვულია და სიკეთის დასაბამადაა მიჩნეული. ასევეა მზის მხატვრული სახეც ღრმა საზრისით დატვირთული, რომლის ეტლის ცვლა ეპოქალური სიახლის დასაბამადაა მიჩნეული. მთავრდება ძველი, პატრიარქალური ეპოქა და იწყება ახალი, მზით განათებული ეპოქა, ხოლო მზე მითოპოეტური გააზრებითაც და საღვთისმეტყველო საზრისითაც ღმერთის სიმბოლოა, მეტიც, ქრისტიანულმა მწერლობამ მზეთა მზე და მზე მამა ღმერთად ძე ღმერთად აღიქვა და მოიაზრა; ვარდის მხატვრული სახის, მისი ტროპული მეტამორფოზის, მზის ცვალებადობის მეტაფორული არსის გამოყენებამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა შოთა რუსთველის აზროვნების მასშტაბურობა, სიდიადე, სიღრმე და მხატვრული ოსტატობა.

მზისა და ვარდის მეტაფორულმა და სიმბოლურმა გააზრებამ ქართულ მწერლობაში, ისევე როგორც ფოლკლორში, უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა, მაგრამ განსაკუთრებულია მზისა და ვარდის მეტაფორა, მათი სიმბოლური გააზრება „ვეფხისტყაოსანში“, რომელშიც ირეკლება წინარე მითოლოგიური, ფოლკლორული, რელიგიური თუ ლიტერატურული ტრადიციები და რომელიც მომდევნო ხანის ქართული პოეზიისათვის თავად გვევლინება ამოურნება საუნჯედ. ამავე დროს მზისა და ვარდის მხატვრული სახეები პოემის კომპოზიციის ერთ-ერთ საფუძვლად მოიაზრება. მხატვრულ აზროვნებაში მზე და ვარდი ძირითადად მიჯნურს, სატრფოს უკავშირდება, მის გარეგნობას, ყველა იმ სულიერ განცდას ასახავს, რაც სიყვარულთან მიგვაახლებს. ესენია: სიყვარულით გამოწვეული სიხარული და ვნება, გრძნობის მუდმივობა ან წარმავლობა, გრძნობისავე ცვალებადობა, თვით მიჯნურთა სიმორცხვე და თავმოწონება, სიამაყე, სიმკაცრე, მიუკარებლობა.

რუსთველის ესთეტიკური ფენომენის კვლევისას ვარდის მეტაფორული სახის შესახებ გიორგი ნადირაძემ აღნიშნა:

„ვეფხისტყაოსანში ვარდის სიმბოლიკას დაკისრებული აქვს მაღალი იდეებისა და ემოციების გამოხატვა. ვარდში, ამ მინიატურულ ესთეტიკურ ფენომენში, ასახულია რუსთაველის მსოფლმხედველობა... ვეფხისტყაოსანში ვარდის სიმბოლიკას დავალებული აქვს გამოხატოს ხან სატრფოს მთლიანი მომხიბვლელი სახე, ხან მისი ქალწულებრივი სილამაზე, პირისასის, ბაგეებისა და ღანვეების სიტურაჟე, ხან ესა თუ ის სულიერი განცდა, ძლიერი ვნებათა ღელვა ან მაღალი იდეა. მთელი ეს მასალა რუსთაველის პოემას აქცევს მსოფლიო პოეზიის მიერ მოპოვებული ვარდის სიმბოლოების რეზერვუარად“ (ნადირაძე 1956: 352-353). გურამ ასათიანმა „ვეფხისტყაოსნის“ ვარდის სიმბოლიკა, ერთი მხრივ, აღმოსავლურ პოეტიკას დაუკავშირა, მეორე მხრივ, აღნიშნა, რომ ვარდის ალეგორიული გააზრება ტიპიური მოვლენაა აგრეთვე დასავლეთის რაინდული პოეზიისათვის“ (ასათიანი 2002: 101), რისთვისაც დაიმოწმა გიორგ დე ლორისის „ვარდის რომანი“. მზის რელიგიურ-ფილოსოფიური წარმოსახვისა და მხატვრული სახის მრავალ-მხრივი გააზრება განხილული ვიკტორ ნოზაძის მონოგრაფიაში „ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველება“ (ნოზაძე 1957). უნდა აღინიშნოს, რომ მზისა და ვარდის მხატვრულ სახეთა საკმაოდ საფუძვლიანი განხილვის მიუხედავად, სამეცნიერო ლიტერატურაში „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციის წარმართვაში ამ სახეთა მხატვრული ღირებულება არაა განსაზღვრული.

მზისა და ვარდის მეტაფორების განხილვა წარმოაჩენს პოემის კომპოზიციის სიმეტრიულობას, რასაც დასაწყისში ძველი და ახალი თაობის საპირისპირო სახეები, მზის ჩასვენებისა და მზის ამობრწყინების სიმბოლური სახეები, დამჭნარი ვარდისა და ახლად გაფურჩქნული ვარდის სიმბოლიკა, ხოლო პოემის დასასრულს მზისა და ვარდის სისარულე/სისავსე კი პერსონაჟთა ტანჯვის დასასრულსა და ბედნიერ მომავალს მიუთითებს. ამიტომ მზისა და ვარდის მხატვრული სახეები, რომელთა საშუალებით პოემის პერსონაჟები უკეთ წარმოჩნდებიან, კომპოზიციური თვალსაზრისითაცაა დატვირთული.

შოთა რუსთველი ვარდს აკისრებს ღრმა და რთული ფილო-სოფიური აზრის გამოხატვის ფუნქციას, კერძოდ მშვენიერი ვარდის ყვავილის გახმობა-დაჭნობითა და ახალი ვარდის გა-შლით „ვეფხისტყაოსანში“ აისახება სამყაროს, როგორც მთე-ლის, ერთიანის, ისე მისი შემადგენელი ნაწილების, ელემენტე-ბის მარადმედინობა:

რა ვარდმან მისი ყვავილი, გაახმოს, დაამჭნაროსა,  
იგი წახდების, სხვა მოვა ტურფასა საპალნაროსა (36/35)\*.

შოთა რუსთველმა ეს სიტყვები, მართალია, კონკრეტული შემთხვევის გამო წარმოთქვა, კერძოდ, როსტევან მეფის სურ-ვილთან დაკავშირებით თავად როსტევანს ათემევინა, მაგრამ იგი პოლისემანტიკური მნიშვნელობისაა, ზოგადად თაობათა ცვლას შეეხება. ძველი თაობის წარმომადგენელი როსტევანი თავისი სამეფოს მომავალზე ზრუნავს და თავის ერთადერთ ასულს, თინათინს ამეფებს, ე. ი. ძველი მეფე ახალ თაობას უთ-მობს გზას. ახალმა თაობაშ კი სიახლე უნდა დაამკვიდროს, ახალ ზენობაზე, ახალ თვისებრიობაზე დამყარებული საზოგადოება და ქვეყანა უნდა ჩამოაყალიბოს. ის, რაც არაბეთისათვის ჭეშ-მარიტებაა და რასაც როსტევანი ტრადიციის დაცვით, ამავე დროს, სიახლის მოლოდინით ამკვიდრებს, ინდოეთის სამეფო კარზე სხვაგვარად განისჯება, თაობათა ცვლა სხვაგვარად წარმოიდგინება, რადგან იქ არაა ის სიბრძნე დამკვიდრებული, რაც არაბეთშია, კერძოდ, „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ (40) და „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა“ (48), მიუხედავად იმისა, ვეფხისტყაოსნური „ძე“ ვაჟია თუ ქალი, რადგან „ძე“ პოემაში ტახტის მემკვიდრის მნიშვნელობით გამო-იყენება; შესაბამისად, თინათინის „ძედ“ ხსენება მოწმობს, რომ იგი ტახტის მემკვიდრეა. „ტურფასა საბალნაროსა“ სხვის მოს-ვლას, ახალი ვარდის გაშლას ეძღვნება მთელი „ვეფხისტყაოს-

\* ტექსტი მითითებულია შემდეგი გამოცემით: შოთა რუსთველი, ვეფხის ტყაოსანი, I, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებით და ლექსიკ-ონითურთ, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით. თბ., 1966

ანი“. მის სიუჟეტსა და კომპოზიციას, სხვა მრავალ ფაქტორთან, იდეასთან და მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებთან ერთად, წარმართავს მზისა და ვარდის ურთულესი ტროპიკა, რომელშიც ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ზემოხსენებულ შეგონება-სიბრძნეს ენიჭება. „ვეფხისტყაოსანს“ საფუძვლად უდევს ადამიანის უსაზღვრო გონებრივ და სულიერ შესაძლებლობათა რჩმენა, სამყაროსა და მის შემადგენელ ნაწილთა სრული ჰარმონია, წონასწორობა. ამიტომ პოემის დასაწყისში წარმოთქმული სიბრძნის დაფარულობა გაცხადდება მის დასასრულს მთელი სამყაროს ჰარმონიულად ჩამოყალიბებით: „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“ (1595), რაც, თავის მხრივ, ბიბლიური სიბრძნეა, ესაია წინასწარმეტყველის მიერ გამოთქმულ სიბრძნეს არეკლავს.

ილია ჭავჭავაძე რუსთველის ვარდის სიმბოლური გააზრების მომცველ სიტყვებს სხვადასხვა პრობლემის განხილვისას ხშირად მიმართავდა თავისი მოსაზრებების განსამტკიცებლად. უწინარეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძემ შოთა რუსთველის ზემოხსენებული სიტყვები ეპიგრაფად წაუმდღვარა „აჩრდილს“ და პოემის დედააზრად სამყაროს მარადიული განახლების იდეა დასახა, რითაც ის ნათელი, მზიანი ოპტიმიზმი გამოხატა, რა შინაარსიც თავად პოეტმა ჩააქსოვა და ჩააწნა მასში. სტატიაში „საქართველოს მოამბეზედ“, „ვეფხისტყაოსანის“ ზემოთ მოყვანილი სიტყვები კი შემდეგნაირად განმარტა: „გული სხვარიგად სცემს, როცა დედამიწაზედ ზამთრის შემდეგ მზე ამოხეთქავს მწვანე ბალახსა და უფრო სხვაგვარადა სცემს მაშინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი, ახალის აზრისა... მით უფრო მშვენიერია ეგ ყვავილი, თუ ცხოვრობს, მაინც ისე არ გაძუნნდება, რომ სხვა არ აღმოშობოს, იმ სხვამ კიდევ სხვა და ეგრეთ არ შეადგინოს ისტორიულ ყვავილთა გრეხილი, რომელსაც მომდევარი წინადმსვლელზედ ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერი“ (ჭავჭავაძე 1991: 121). მართალია, აქ ილია ჭავჭავაძეს საზოგადოებრივი აზროვნების განვითარება ჰქონდა მხედველობაში, მაგრამ მასში შეიძლება დავინახოთ ზოგადად დიალექტიკური მოძრაობის

არსი, საზოგადოდ განვითარებადობა ბუნებასა და საზოგადოებაში, გარესამყაროსა და პიროვნებაში, ვინაიდან გრძნობადი სინამდვილის, ხილული სამყაროს „უთვალავი ფერის“ ყოველი ნაწილი, ყოველი წევრი მარადმედინობის უნივერსალურ კანონზომიერებას ექვემდებარება.

ამ უკვდავ მეტაფორაში ჩაქსოვილია დიდი სიბრძნე, რომ აქვეყნიური ცხოვრება არის ცვალებადი და წარმავალი, მაგრამ, ამავე დროს, მარადიული და უბერებელი, ვინაიდან სამყარო, ღვთისაგან შექმნილი ხილული თუ უხილავი, მარადიულად მი-ისწრაფვის სისრულისა და განახლებისაკენ, რათა მან ღმერ-თისაგან მინიჭებული მშვენიერება შეინარჩუნოს. სამყაროს მშვენიერება კი მის განახლებადობაშია, მარადიულ ცვალება-დობაშია, ხოლო სამყაროს განახლებისათვის მცდელობა და სიახლისაკენ სწრაფვა ახალი ცხოვრებაა.

შოთა რუსთველის ეს სიტყვები მხოლოდ დიდაქტიკური ალეგორია არ არის. გურამ ასათიანის სიტყვით, „ეს არის ამა-ვე დროს უმძაფრესი პოეტური შთაგონებით მოპოვებული, შემოდგომის მზისა და ნაწვიმარი მინის სუნთქვით გაჟღენთი-ლი ცოცხალი პოეტური სახე, რომელსაც გარდა გადატანითი მნიშვნელობისა, თავისი საკუთარი დამოუკიდებელი მხატვრუ-ლი სიცოცხლეც გააჩნია“ (ასათიანი 2002: 108).

მზისა და ვარდის მეტაფორას შოთა რუსთველი თავისი პო-ლიტიკურ-სოციალური მრწამსის გამოსახატავადაც იყენებს, რასაც როსტევანის მიერ თინათინისათვის ნათქვამი სიტყვები მოწმობს:

ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,  
დიდთა და წვრილთა წყალობა, შენმცა ნუ მოგეწყინების.  
(50/49)

შოთა რუსთველის ეს სიტყვებიც ევანგელური სწავლების გამოძახილია: „მზე მისი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილ-თა, და წვიმს მართალთა ზედა და ცრუთა“ (ზ. 5, 45). ეს პარა-ლელი მიუთითა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კა-

ლისტრატე ეკაშვილმა (ცინცაძე) თავის სამეცნიერო ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისათვის“ (ეკაშვილი 1966: 248).

„ვეფხისტყაოსანში“, ერთი მხრივ, ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს, მეორე მხრივ, ავთანდილსა და თინათინს მათი ამბის დასაწყისში ავტორი სრულყოფილებით წარმოაჩენს, მათი ვარდი გაშლილია და თავზე მზის ნათელი ადგათ. თინათინისა და ავთანდილის ქორნინებას არაფერი უშლის ხელს, მაგრამ ავთანდილი ქორნინებამდე ჯერ უნდა გამოიცადოს, რისთვისაც რთული საქმის აღსრულება და ამისთვის განკუთვნილი დროის უხინჯოდ გავლაა საჭირო. რაც შეეხება ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ქორნინებას, დიდი დრო დასჭირდა, ვიდ-რე ინდოეთიდან გადაკარგული მიჯნურები ერთმანეთს იპოვიდნენ და შეხვდებოდნენ. მათი ცხოვრების თანამდევია დამჭნარი ვარდისა და გაშლილი ვარდის მხატვრული სახეები, რითაც მათი ცხოვრებისეული პერიპეტიებია წარმოჩენილი.

ასევეა მზის მეტაფორა და სიმბოლოც გასააზრებელი.

უბინოების, უმანკოების, ქალწულებრივი სილამაზისა და მომხიბვლელობის სიმბოლო ვარდი „ვეფხისტყაოსანში“ თინათინის სრულყოფილ სახეს აჩვენებს:

კოკობი და უფურჭვნელი ვარდი დაგხვდე დაუმჭნარი (133).

ვარდი ჩემი არ დაჭნების, შუქი შენი იეფადა (136).

მიჯნურისაგან დავალების აღსასრულებლად წასული ვარდის სახით წარმოდგენილი ავთანდილი მზესთან გაყრის მეტაფორით წარმოჩნდება: „ვარდი მის მზისა გაყრილი უფრო და უფრო ჭნებოდა“ (181). ეს მეტაფორა არაერთგზის გამეორდება პოემაში, უმეტესად – ტარიელის სახის უკეთ შესაცნობად:

ჰედავთ, ვარდსა უმზეობა როგორ ადრე დააჩნდების! (719).

მზისა შუქთა ვერ მჭვრეტელი ია ხმების, ვარდი ჭნების (795).

მაგრა ვარდსა უმზეობა გაახმობს და ფერსა აკლებს (922).

უმზეო, დათრთვილულ, დამჭნარ ვარდს უპირისპირდება მზიანი და დაუმზრალი, სავსე და გაშლილი, მზის შუქით გავსილი და დამშვენებული ვარდი:

მზე რა ვარდსა შემოადგეს, დაშვენდენ და შუქი არნენ (1420).

ვარდი და მზე ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის სიმბოლურ სახეებად მოიაზრებიან; ეს სიტყვები ხომ ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ არის ნათქვამი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის შესახებ, როდესაც მათი შეხვედრა შოთა რუსთველმა მუშთარზუალის შეყრად და ვარდზე მზის სხივთა გარდაფენად წარმოაჩინა, რითაც სიყვარულის ღვთაებრიობა, უძლეველობა, მარადიულობა, სასოება იქადაგა. ქაჯთა ტყვეობიდან გათავისუფლებული ნესტან-დარეჯანის მიერ ზღვათა სამეფოში ნათქვამი – „მზემან შუქი შემომადგნა, ვარდი მით ვარ არ-დამზრალი“ (1435) – იმვიათი პლასტიურობით ხატავს პერსონაჟის თავს დატეხილ უბედურებას, მის მიერ გადატანილ მძაფრ განცდებს და მოპოვებულ სიმშვიდეს, სისავსეს, ბედნიერებას. და კომპოზიციაც შეკრულია, მზის შუქით გავსებული ვარდი სიმბოლურობის ნიშნით აღიბეჭდება და პერსონაჟთა ბედნიერ მომავალს განაპირობებს.

შოთა რუსთველი ვარდისა და ეკლის სიმბოლიკით ვარდის ღრმა მხატვრული და საღვთისმეტყველო გააზრების საშუალებას იძლევა. „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საღვთო სახელებით ან ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიული წმინდანის აღმნიშვნელი ხატით პოემის მთავარი გმირები აისახებიან (სულავა 1977: 134). ერთ-ერთი ასეთია მეტაფორა-სიმბოლო „ვარდი ეკალთა შორის“, რომელიც ტარიელს, როგორც ცხოვრებისაგან გატანჯული, ნაწამები და საღვთო გზაზე დამდგარი ჰიროვნების დასახასიათებლადაა გამოყენებული. როდესაც როსტევანს არაბეთს მობრუნებულმა ავთანდილმა ვეფხვის ტყავით მოსილი მოყმის შესახებ უამბო, ტარიელი წამებულის მეტაფორით შეამკო (მკითხველს უთუოდ გაახსენდება წმ. აბო თბილელის შესახებ იოვანე საბანის ძის ნათქვამი – „ქრისტემან ვითარცა ვარდი ეკალთაგან გამოგარჩია“):

ვარდი დამჭნარი ეკალთა შუა, შორს მყოფი, ახ, ის ა! (690).

ტარიელის ყოფას, მდგომარეობას ავტორი თავის თხრობაში, სხვა პერსონაჟები – ფრიდონი და ავთანდილი თავიანთ საუბრებში ხშირად ადარებენ დამჭნარ, დამზრალ ვარდსა და შუქნაკლულ მზეს, თავადაც ასე უწოდებს საკუთარ თავს, საიდანაც მისი მძაფრი სულიერი განცდები, შინაგანი სამყაროს სირთულე, მძიმე და ტანჯული ყოფითი ცხოვრება გამოსჭვივის. მაგრამ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ვარდი დამჭნარიც ვარდია, მზე დამზრალიც მნათობია და ესთეტიკურად ორივე მაინც მშვენიერია, რადგან მათში გარდასული დიდების ექო გამოსჭვივის. ტარიელის წარმოსახვა როსტევანის წინაშე მეტაფორა-სიმბოლოთი „ვარდი დამჭნარი ეკალთა შუა“ ვეფხისტყაოსას მოყმეს წარადგენს ესთეტური სახით, რაც დროის პოეტიკასაც ითვალისწინებს, ვინაიდან მასში უპირველესად ტარიელის წარსული მშვენიერებაც იგულისხმება და ისიც, რამ მიიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ იგი მიჩნეულ იქნას „ვარდად დამჭნარად ეკალთა შუა“. ტარიელის ამგვარად აღმქმელი ავთანდილიც უდიდესი ესთეტია, ვინაიდან მას საგანთა და მოვლენათა მიღმა შეუძლია ძირითადი არსის ჭვრეტა ისე, რომ მშვენიერების შეგრძენების უნარი შეინარჩუნოს. მკითხველს თვალწინ წარმოუდგება თვალწარმტაცი მოყმე თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით, ვინაიდან ვარდში უთუოდ იხილვება მისი მომავალი ზეობაც.

ვარდის სიმბოლო ღრმა მხატვრულ დატვირთვას იძენს „ვეფხისტყაოსანში“ ახალი ეპოქის, ახალი დროის, ახალი ცხოვრების მოახლოების აღსანიშნავად. რუსთველმა ვარდი და ვარდის ფურცლობა მოიხმო ღრმა ფილოსოფიური აზრის ასახსნელად. გავიხსენოთ ავთანდილის ნათქვამი ტარიელთან საუბრისას გამოქვაბულში, როდესაც ნესტან-დარეჯანის საძებრად მიმავალმა უკან დაბრუნების დრო დაუთქვა და მასში სიმბოლურად ჩააქსოვა დროის კონცეპტები:

ამა უამსა ნიშნად მოგცემ, დროსა ამას ვარდ-იეფსა;  
ვარდთა ნახვა გაგაკრთობდეს, მართ ვითა-მცა ძალლი ყეფსა.  
(937/936).

მითითებულია გაზაფხული, კერძოდ, ვარდის სიმრავლის  
დრო – „ვარდ-იეფსა“ (ალსანიშნავია, რომ შოთა რუსთველი  
სახელდებით წელიწადის მხოლოდ ორ დროს, ზამთარსა და  
ზაფხულს ასახელებს).

ნესტან-დარეჯანის ამბის შეტყობის შემდეგ ავთანდილს ტა-  
რიელისთვის მიაქვს სატრფოს წერილი და რიდის გადანაკვე-  
თი. შოთა რუსთველი გულანშაროდან, ანუ ვარდთა ქალაქიდან  
მომავალი ავთანდილის სახეს, მის მიერ უძნელესი საქმის აღ-  
სრულებას იშვიათი ლირიზმით აღსავსე სტრიქონებით ხატავს,  
სადაც ყოველი სიტყვა თავის პირველად მნიშვნელობასთან  
ერთად ახალი აზრითა და გაგებით, მხატვრული სიღრმითა და  
ფილოსოფიური ჭვრეტითაა დატვირთული. ავტორი, ერთი  
მხრივ, კონკრეტულ დროს – გაზაფხულის მიწურულს, ზაფხუ-  
ლის მოახლოებას მიუთითებს, მეორე მხრივ, აქ კონკრეტული  
დროის მიღმა ეპოქათა ცვალებადობა იგრძნობა; დრო აბსტ-  
რაქტულობას იძენს, რაც იშვიათი მეტაფორულობითა და ალე-  
გორიულად გააზრებული სახეებით წარმოისახება:

მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა,  
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,  
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა.  
სულთქვნა, რა ნახა ყვავილი მან, უნახავმან ხანისა (1328).

აქ წარმოსახულ სურათში ყოველი მხატვრული სახე დაფა-  
რულ აზრს მოიცავს, გადატანითი მნიშვნელობითაა გასააზრე-  
ბელი. მასში ვარსკვლავთმეტყველებისა და ფერთამეტყველე-  
ბის სიმბოლოებით ახალი ეპოქის დასაწყისია მონიშნული. აქვე  
შევნიშნავთ, ამ ეპიზოდს თავისთავადი, დამოუკიდებელი, უშუ-  
ალო მხატვრული ლირებულებაც ენიჭება, ვინაიდან ავთანდილი  
ცოცხალ ვარდებს ხედავს, ხოლო ვარდი, ერთი მხრივ, ტარი-

ელთან შეხვედრის დათქმულ დროს შეახსენებს, და მეორე მხრივ, მას აგონებს მიჯნურს, რომელთან შეხვედრაც უკვე მოახლოებულია, რადგან ნესტან-დარეჯანის გზა-კვალი უკვე მიგნებული და ცნობილია, ეს ქაჯეთის ციხიდან მისი გამოხსნის აუცილებლობას წინასწარ მიანიშნებს. არც ის უნდა დაგვავინყდეს, რომ ავთანდილს, როგორც თავად სიცოცხლის მოყვარულსა და მოტრფიალეს, როგორც ბუნების შილს, როგორც ბუნებისადმი ლალი დამოკიდებულებით აღსავსეს, ახარებს ბუნების განახლება, გაზაფხულის შეგრძნება, აღორძინებული ბუნების ხილვა.

ყველაფერი, რაც ზემოთ ციტირებულ სტროფშია გადმოცემული და რომელიც მრავალმხრივი ანალიზის საფუძველს ქმნის, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ ქსოვილში სიახლეს მოასწავებს და ლენის, ანუ „ტკბილის“ დავანებას გულისხმობს. ქაჯეთის ციხეში ნესტანის მიერ დაწერილი წერილის მიხედვით, ტარიელი მზის წილია. მზის წილი გმირები მაისის წვიმით არიან განბანილნი, ამიტომ „ვეფხისტყაოსანში“ „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ არის, ერთი მხრივ, ტარიელთან, ვითარცა მზის წილთან, შეხვედრის ნიშანი. მეორე მხრივ, „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ მიტევებაა ღმერთისაგან, ღმერთთან მოსალოდნელი შეხვედრის ნიშანი, რაც ადამიანის სულიერი აღორძინებით, გარდასახვით, პიროვნების ზნეობრივი განსრულებით, განწმენდითა და საბოლოოდ განლმრთობით გვირგვინდება. „ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა“ ეპოქის ცვლას მიანიშნებს, ძველი იცვლება ახლით, ტრადიციულზე დამყარებული ახალი ჰარმონია მკვიდრდება. თავის მხრივ, მხატვრული აზრის გამოხატვა ზოდიაქოს ნიშნებზე აქცენტირებით რენესანსულია. ზაფხულის მონურვა-მოახლოება, მიწით მწვანის ამოსვლა, ვარდის ფურცლობის დრო – ყოველივე ეს ახალი ეპოქის, ახალი დროის დასაწყისია ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის, ავთანდილისა და თინათინის ცხოვრებაში; ესაა განახლებული სულიერი ცხოვრების დასაწყისი. ეს „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა ახალი თაობის სასიკეთო ქმედების დროის დადგომას მოასწავებს, ესაა ორად გახლეჩილი სამყაროს გამთლიანების მოახლოების დრო. ისინი ბუნების გამოღვიძება-განახლებას

ემთხვევა, რაც უთუოდ სულიერი ქორწინებით უნდა დასრულდეს. იშვიათი მეტაფორული სახეები ამავე დროს სიმბოლურია, ალუზიურია, რაც შამბნარში მყოფ ტარიელთან ავთანდილის საუბრისასაც იჩენს თავს:

ეტყოდა: „ვცანო ამბავი, შენ რომე გეამებოდა,  
ან გაახლდების ყვავილი, ვარდი აქამდის ჭნებოდა“ (1337).

უცხოდ ყოფნის, საფარველდადებულობის, ვეფხისტყაოსნობის პერიოდი მთავრდება და „ვეფხისტყაოსნის“ პერსონა-ჟი-გმირები ახალი მეობის მოპოვების შემდეგ, მარადიულ ღირებულებათა გათავისების შემდეგ სულიერი ქორწინებისა და ღმერთათან შერთვის, ღმერთათან ზიარების ღირსნი ხდებიან.

მზის შემობრუნება „ვეფხისტყაოსნის“ გმირებისაკენ მათი სულიერი მომავლის, ღვთაებრივი გზით სვლის დასაწყისია. ქრისტიანული მსოფლმხედველობის, ქრისტიანული სახისმეტყველების მიხედვით, მზე საღვთო სახელია, ღმერთის ერთ-ერთი მიუცილებელი ატრიბუტია (იხ. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის „საღმრთოთა სახელთათვის“). საგანგებოდ შერჩეული დრო – „მოწურვილ იყო ზაფხული“, „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ და „ეტლის ცვალება მზისაგან“ მოწმობს იმას, რომ იგი არაა ოდენ კონკრეტული შინაარსის მომცველი, რადგან, რუსთველის სწავლებითა და მეტაფორული აზროვნების თანახმად:

ზამთარი ვარდსა გაახმობს, ფურცელნი შთამოსცვივიან,  
ზაფხულის მზისა სიახლე, დასწვავს, გვალვასა ჩივიან,  
მაგრა მას ზედა ბულბულნი ტურფასა ხმასა ყივიან, –  
სიცხე სწვავს, ყინვა დააზრობს, წყლულნი ორჯერვე  
სტკივიან (1347).

ვარდი „ვეფხისტყაოსანში“ მზესთანაა დაკავშირებული. ვარდი უმზეოდაა, ვიდრე ნესტან-დარეჯანი და ტარიელი საწუთროსაგან გაყრილნი არიან; ასეთ შემთხვევებში იგი სატრფოს-თან განშორების სიმბოლოა. „ჰედავთ, ვარდსა უმზეობა რაგვარ

ადრე დააჩნდების!“ (719/717); „მზისა შუქთა ვერ-მჭვრეტელი ია ხმების, ვარდი ჭნების“ (795/793); „მაგრა ვარდსა უმზეობა გაახმობს და ფერსა აკლებს“ (832/830). შოთა რუსთველი ავ-თანდილს ათქმევინებს – „მზისა შუქთა მომლოდინე ვარდი სამ დღე არ დაჭნების“ (904), რომელშიც კვლავ სიმბოლური აზრია ჩადებული. ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის შეყრა მზისა და ვარდის შეყრასთანაა შედარებული და მეტაფორულად გადმო-ცემული, რაც, ამავე დროს, ღრმა სიმბოლურ და ალეგორიულ შინაარსსაც იძენს. „მზ რა ვარდსა შემოადგეს, დაშვენდენ და შუქნი არნენ“ (1420/1421): „მზემან შუქნი შემომადგნა, ვარდი მით ვჩან არ-დამზრალი“ (1435/1436). უმზეო ვარდი და მზიანი ვარდი ისეთივე ბინარული ოპოზიციაა, როგორც ვარდი უეკ-ლო და ვარდი ეკლიანი, ვარდი კოკობი და ვარდი დამჭნარი. მზისა და ვარდის შეხვედრა, როგორც ტარიელისა და ნეს-ტან-დარეჯანის შეხვედრა, „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სული-ერი განახლების, განწმენდისა და ღვთის ნების აღსრულების გამოხატულებაა, რაც სიყვარულის ყოვლისმომცველობის, მა-რადიულობის, სიკვდილზე სიყვარულის გამარჯვების დასტუ-რია. რაც მთავარია, მზისა და ვარდის მეტაფორით, სიმბოლო-თი და ალეგორიით პოემის კომპოზიცია იკვრება.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სახეთა სისტემაში მზესა და ვარდს, როგორც მეტაფორას, სიმბოლოს, მხატვრულ სახეს, ალეგორიას, ალუზიასა და ენიგმას, უმნიშვნელოვანე-სი ადგილი უჭირავთ. პოემის სიუჟეტს წარმართავს დამჭნარი ვარდის ახალი ვარდით შეცვლის, დამზრალი მზის ნათლით შეცვლის სიმბოლიკა, რაც სამყაროსა და საზოგადოებაში მიმ-დინარე ცვლილებებს შეესაბამება. ამიტომ მზისა და ვარდის მეტაფორით, სიმბოლური და ალეგორიული გააზრებით აისახე-ბა მთავარ პერსონაჟთა გარეგნობა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე და მათი შინაგანი სამყარო, მძაფრი სულიერი განცდე-ბი. პოემის დასასრულს მზისა და ვარდის მხატვრული ფუნქცია სრულიად განსაკუთრებულია, ვინაიდან გაზაფხულზე, ქვეყ-ნით მწვანის ამოსვლის უამს ვარდის ფურცლობა და მზის შესვ-ლა ლომის ზოდიაქოში ახალი სამყაროს დასაწყისად მოიაზრება,

მას გარდატეხა შეაქვს პოემის გმირთა ცხოვრებაში, რომელიც ამიერიდან ბოროტისაგან განძარცვულია და სიკეთის დასაბამ-ადაა მიჩნეული. მთავრდება ძველი, პატრიარქალური ეპოქა და იწყება ახალი, მზით განათებული ეპოქა, ხოლო მზე ღმერთის სიმბოლოა; მზისა და ვარდის მხატვრული სახის, მისი ტროპული მეტამორფოზების გამოყენებამ პოემის კომპოზიციური დერძის შემკვრელის მხატვრული ფუნქციაც იკისრა და კიდევ ერთხელ წარმოაჩინა მისი მხატვრული სიდიადე.

#### **დამოწმებანი:**

**ასათიანი 2002:** ასათიანი გ. თხზულებანი. ტ. IV. თბილისი: 2002.

**ეკაშვილი 1966:** ეკაშვილი კ. „ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისათვის“. კრებ.: შოთა რუსთველი. ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოცემა. თბილისი: 1966.

**ზარიძე 2002:** ზარიძე ხ. ვეფხისტყაოსნის კომპოზიცია. თბილისი: 2002.

**ნადირაძე 1956:** ნადირაძე გ. რუსთაველის ესთეტიკა. თბილისი: 1956.

**ნოზაძე 1957:** ნოზაძე ვ. ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველება. სანტიაგო დე ჩილე: 1957.

**რუსთველი 1966:** შოთა რუსთველი. ვეფხის ტყაოსანი. I. ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებით და ლექსიკონითურთ, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით. თბილისი: 1966.

**სულავა 1977:** სულავა ნ. რუსთაველი და ძველი ქართული სასულიერო პოეზია. დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ხელნაწერის უფლებით. თბილისი: 1977.

**ჭავჭავაძე 1991:** ჭავჭავაძე ი. თხზულებანი. თბილისი: 1991.

## **The Transformation of the Metaphorical Icons of the Rose and the Sun, as One of the Bases of the Composition of the “Knight in the Panther’s Skin”**

### **Summary**

Artistic images of the rose and sun occupy a significant place in Shota Rustaveli’s “The Knight in the Panther’s Skin”. The story of the poem, along with other artistic images, leads to the symbolism of the replacement of a withered rose with a new one, which heralds ongoing changes in the world and the society, and the metaphor of the sun, which appears as a settler of the harmony of the composition of the poem.

At the beginning of Rustaveli’s poem, the King Rostevan has a wide idea regarding the vanity of life, which is given by the symbol of Rose and the artistic comprehension of the sun as artistic image (“What made the rose stale its flower”... “the sun has gown down”...). The comprehension of the rose’s metaphor, which is beginning to grow and blossom, and the sun changes its zodiac place in the sky, show that a new epoch has begun, that is, an epochal novelty, change, which brings happiness await the characters (“the sign of the rose’s flowering”; wisdom at the end of the poem in the life of the characters is given by showing the symbol of blossoming the rose and changes of the sun’s cab and it is given for the innovated epoch (“the sign of the rose flowering”; “change the chariot from the sun”).

The symbol, allegory, allusion and enigma should be considered throughout the different stages of life to understand completely the main characters in the “Knight in the Panther’s Skin”, their inner world, intense spiritual sense, the artistic images of the sun and the rose, as well as metaphor. At the end of the poem, the artistic function of a rose is special, since in the spring, the emergence of the green in the country, the burst into leaf of the rose is considered the beginning; it brings the sudden change in the lives of the characters of the poem, who are now stripped of evil and are

considered as the commencement of the good. The artistic image of the sun is similar, loaded with deep conception whose change of the chariot is considered as the commencement of the novelty. The old, patriarchal epoch ends and a new, sun-illuminated epoch begins, while the sun is a symbol of God; The use of the artistic image of the rose, its tropological metamorphosis, the metaphorical essence of the inconstancy of the sun has once again demonstrated the depth, range and artistic mastery of Shota Rustaveli's thinking, which requires the sixth sense in order to access it, see and realize.

## **ლია წერეთელი**

**„უწყლოობა ჰქონდავს, წყალი სდის“  
„ვეფხისტყაოსნის“ პარადიგმული სახისმეტყველების  
ერთი ასპექტი )**

რუსთველის მხატვრული სააზროვნო სისტემა და ესთეტიკური წარმოსახვა ეფუძნება რეალისტურ გააზრებას. ყოფით-მატერიალური საგნები და ბუნების სურათები, ხელშესახები და კონკრეტული მოვლენები ცოცხლად იხატება და იმავდროულად მეტაფორულ გააზრებას იძენს, ემოციურ განცდას აღრავს და პარადიგმად ცხადდება.

სამყაროსა და ცოცხალი გარემოს არსებობის განმსაზღვრელი, სასიცოცხლოდ აუცილებელი წყალი რუსთველის პოემაში რეალისტური გააზრებიდან სახისმეტყველებად არის ქცეული. რუსთველს აგიოგრაფიის, ჰიმნოგრაფიისა და პოეტური მეტყველების მიერ უკვე მზა-ფორმულებად დახვდა ქართული ენის მდიდარ საგანძურში წყლის ფართო სემანტიკური ველი: წყალობა, საწყალი, წყალუხვი, წყალწყალა, საწყალობელი, წყალჯავარი და ა.შ. ასევე სიმბოლური მნიშვნელობის ცნებანი: წყალი-ცრემლი, წყალი-ძვირფასი თვალი, წყალი-თვალი და ა.შ. ქართული მითოსური აზროვნებით წყალი სიციცხლის მომნიჭებელია, განმაცხოველებელი, „უკვდავების წყარო“ და განმკურნებელი, იგი საკრალურია და მისი სიწმინდე დაცვას მოითხოვს, რადგან მტერი წყლებს ეპატრონება, ნამღავს, ან კეტავს ადამიანთათვის. იგი გველეშაპის სახით ან დევად ცხადდება ზღაპრებსა და თქმულებებში, რომელსაც ამარცხებს მზეჭაბუკი, წმიდა გიორგი, ან საყმოს რჩეული ...

„ვეფხისტყაოსანში“ არის ერთი სტროფი, რომელიც, ვფიქრობთ, მეტად საინტერესოა (წყალი-წყურვილი-ცრემლის) პარადიგმული სახისმეტყველების თვალსაზრისით, მეტაფორული აზროვნების სილრმითა და ბიბლიური სიმბოლიკით.

რუსთველი ეფუძნება ქართული აგიოგრაფიის, საისტო-რიო მწერლობის, აღმოსავლური და დასავლური პოეტური აზ-როვნების ტრადიციებს და რენესანსულად სრულქმნის პოემის რაინდ პერსონაჟებს, რომელთაც ადარებს ვისისა და რამინს, თუ ბიბლიურ სახეებს, მაგრამ ყოველთვის არ ასახელებს და სა-სისმეტყველურად სრულქმნის. ასეთ შემთხვევაში კონტექსტი ფარულ შედარებას, ალუზის გულისხმობს.

დავით აღმაშენებლის მემატიანის კვალდაკვალ, ვფიქრობთ, „ვეფხისტყაოსანში“ „მათ სამთა გმირთა“ უმთავრესი იდეალი ბრძოლასა და ნადირობაში, მიჯნურობასა თუ სიშმაგეში – საღ-ვთო შემეცნების სწრაფვით აღძრული და ფსალმუნთმგალობე-ლი ბიბლიური დავით წინასწარმეტყველია – ბაგრატიონ მეფე-თა წინაპრად სახელდებული. რუსთველი პოემის ეპილოგში ორჯერ ასახელებს დავითს:

ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსახურებს

სარებლად (1666,1)

დავითის ქმნანი ვითა ვთქვნე სიჩალხე-სიხაფეთანი (1667,1)

რუსთველს დავით აღმაშენებლისა და თამარის დარად, ქართველ მემატიანეთა და აგიოგრაფოსთა კვალად, უთუოდ სწამდა ბაგრატიონთა ბიბლიური წარმომავლობა და დავით წინასწარმეტყველის „ცხოვრება“ პარადიგმული აზროვნების წყაროდ მიაჩნდა. თავადაც მოხუცებულმა „დავითის ქალაქს“ – იერუსალიმს მიაშურა, „დავითის ქნარი“ ეპყრა ხელთ „ლექსთა ტკბილთა“ გამოსათქმელად.

საინტერესოა პოემაში ერთი სტროფი, რომელშიც, ვფიქ-რობთ, დავით მეფესალმუნის პარადიგმა ცნაურდება:

ლომ-ვეფხის დახოცვის ამბის თხრობის შემდეგ ტარიელი და ავთანდილი გამოქვაბულს მიეახლნენ, ასმათი ტირილით გამოეგება მათ. რუსთველი გვესიტყვება – მათი დანახვა „გა-ნალამცა გაეხარნეს“-ო:

მოეგება, მოტიროდა, ცრემლმან მისმან კლდენი ღარნეს,  
აკოცეს და ა-ცა-ტირდეს, კვლა ცნობანი ააჩქარნეს.

იქმნება ცრემლთა ფრქვევის, ტირილის ფონი. ქალის ცრემლს კლდენი დაუღარავს (შედ: კლდე დაღარული, ცრემლთა მდენი – აგორგრაფის სახისმეტყველება).

„ვეფხისტყაოსანში“ ცრემლთა ფრქვევა, ტირილი ჰიპერბოლურია. ცრემლებს სისხლი ერთვის, სისხლდათხეული ადამიანი წუთისოფელში მონამეობრივ გზას გადის. გლოვა და ვაება ოდენ წუთისოფლის სამდურავი როდია, ის „ საღვთო სიახლის“, ღვთის წყალობის სურვილის გამომხატველია.

იოანე ოქროპირის განმარტებით, ადამიანის ცრემლი ღმერთთან მიახლების საშუალებაა „ან უკვე შეურაცხყავ ყოველი ხილული და მოიგე ლმობიერება მარადის და განიხუენ გარდამოსაადინელნი ცრემლთანი, რომელთაგან ფრიადი სარგებელი იპოების, რამეთუ არარაი მიგუაახლებს ღმერთსა უფროის ცრემლთა ლმობიერთა“ („ სინანულისათვის“).

რუსთველური ცრემლთაფრქვევა – წყარო ცრემლთა, ცრემლთა ნაკადნი, ათასკეცნი, ას-ნაკეცნი ცრემლნი, წყარო თვალთა, ველთა მონადენი ცრემლნი და კლდედან ნადენი ცრემლი შუასაუკუნეობრივი მეტაფორული აზროვნებისათვის ნიშანდობლივი ცრემლთადენისაგანაც კი სრულიად გამორჩეული და სწორუპოვარია. ამჯერად ჩვენი მსჯელობისათვის იმის განსაზღვრა გვსურს, რომ რუსთველური ცრემლთაფრქვევა ღმერთან მიახლების წადილია.

აცრემლებული ასმათის სიტყვები სწორედ ამ „საღმრთო სიახლეს“ ადასტურებს:

ასმათ თქვა: „ ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცთა ენითა,  
შენ ხარ სავსება ყოველთა, აგვავსებ მზეებრ ფენითა,  
გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არ -საქებელო სმენითა!  
დიდება შენდა, არ მომკალ ამათვის ცრემლთა დენითა!“

ეს არის ერთი დიდებული რუსთველური სტროფი, ფსალმუნთა დარი ღვთის სადიდებელი, სახისმეტყველურად ღრმა და

სიმბოლიკით დატვირთული. გამჭვირვალედ ცხადდება დიონი-სე არეოპაგელისეული საიდუმლო ღვთისმეტყველება: ღმერთი ადამიანური ენით გამოუთქმელია, ის არის სავსება და მზესა-ვით აფენს ყოველ არსს თავის ნათელს, ქება უფლისა შეუძლე-ბელია, ღმერთი არ-საქებელია... და ყოველივესთვის მადლობა უფალს!...

ეს საიდუმლო ღვთისმეტყველების გამომსახველობითი ლექ-სიკაა, რომელიც ტარიელის გულს სწვდება და ისიც „მაღალი და მაღლად მხედი“ გონებითა და ენით პასუხობს:

ტარიელ ეტყვის: „ჰე, დაო, მით ცრემლი აქა მდინია,  
საწუთო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გაგვიცინია,  
ძველი წესია სოფლისა, არ ახლად მოსასმინია,  
ვა შენი ბრალი, თვარა-ღა სიკვდილი ჩემი ლხინია! (918)

სწყუროდეს, წყალსა ვინ დაღვრის, კაცი უშმაგო, ცნობილი?  
მე თვალთა ჩემთა მით მიკვირს, რად ვარ ცრემლითა  
ლტობილი!  
უწყლოობა ჰკლავს, წყალი სდის, აროდეს არ გახმობილი  
ვა, წარხდა ვარდი პობილი, ვა, მარგალიტი წყობილი! (919)

სოფლის სამდურავი, სიცილის ნაცვლად ტირილი – ძველ წე-სად მიაჩნია ტარიელს და არაფერი უკვირს, სიკვდილი-ლხინად, ოცნებად ესახება...ამას მოსდევს წყურვილი და წყლის დაღვრა მწყურვალი ადამიანისგან, რომელსაც ცნობაზე მყოფი კაცი არ ჩაიდენს, თუ „უშმაგოა“, ასე არ მოიქცევა. საუბარია მწყურვალ ადამიანზე, რომელიც წყალს არ დაღვრის. „უწყლოობა ჰკლავს“ – ფიზიკურ წყურვილს აღნიშნავს. წყურვილს სულხან საბა განმარტავს, როგორც „ნდომა წყლისა“. ქართულში წყურვილი სიმბოლური მნიშვნელობის სიტყვაა და უსაზღვრო სურვილს, დიდ წადილს აღნიშნავს, საღვთო შინაარსით კი – უფლისკენ სწრაფვას:

„ღმერთო, ღმერთო, ჩემო, შენდამი აღვიშთობ, სწყურიან შენდამი სულსა ჩემსა“ (ფს. 62,2);

„სასუმელი საღმრთო წმიდაი ჰენ შენ“ – საგალობელი დი-ონისე არეოპაგელისადმი.

რუსთველისთვის წყურვილი ფსალმუნთა სტრიქონებით ცხადდება:

შენთვის ასე მომწყურდების წყაროსათვის ვით ირემსა (1654).  
გამოჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისა.

(855)

„ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა ,ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო“ (ფს. 33,4).

სასულიერო მწერლობაში დამკვიდრდა მწყურვალი ირმის სახისმეტყველება. წყურვილი – საღვთო სიბრძნის დაწაფებას აღნიშნავს. იოანე ოქროპირის განმარტებით: „ იყავნ შენ ვი-თარცა ირემი წყურვიელი, და ვითარცა-იგი მას სურინ, გსურ-ოდეს შენცა საღმრთოთა მიმართ წიგნთა, რაითა სუა მათგან და განიგრილო წყურვილი იგი.“

შ. ღლონტი მწყურვალი ირმის სწრაფვას იმოწმებს „ფსალ-მუნიდან“, „ვისრამიანიდან“, გალაკტიონთან... ( ღლონტი 1961: 43).

„მწყურის“ – ეს არის ჯვრიდან მაცხოვრის სიტყვა, რომლის პასუხად ძმარი მიაწოდეს მას. ესეც ფსალმუნით არის განსაზღვრული: „წყურვილსა ჩემსა მასვეს მე ძმარი“ (ფს.).

„უწყლობა ჰკლავს,“ – რა თქმა უნდა დიდი წყურვილის დაუკმაყოფილებასა და სიკვდილს აღნიშნავს. ამის კვალად ქარ-თულში სიტყვა „უწყალო“ -შეუბრალებელს, სასტიკს ნიშნავს, რაკიდა უწყლობა მომაკვდინებელია.

„წყალი სდის, აროდეს არ გახმობილი“ – აღნიშნავს თვალ-თაგან მოდენილ ცრემლს.

მეტაფორულად აღნიშნავს, რომ წყურვილი ჰკლავს, უწყ-ლობა – წყურვილია, „წყალი სდის“ – ტირილი, რასაც ბუნებ-რივად მოსდევს ვარდის-ლაწვების ცრემლებით-წყობილი მარ-გალიტით „წარხდენა“.

ვფიქრობთ, რუსთველი ამ ტაეპში აცოცხლდება დავით წინასწარმეტყველის ცხოვრების ერთ ეპიზოდს:

ფილისტიმელებთან ბრძოლის შემდეგ დავითი გამოქვაბულში, ხოლო ფილისტიმელების ჯარი ბეთლემში იდგა. დავით მეფეს მოსწყურდა და თქვა; ვინ დამალევინებს ბეთლემის ჭის წყალს, კარიბჭესთან რომ არის? სამმა მეფის რჩეულმა მოყმებ გაარღვია ბრძოლით ფილისტიმელთა ბანაკი, ამოიღეს წყალი ბეთლების ჭიდან, წამოიღეს და მოართვეს დავით მეფეს, მაგრამ მათი თავგანწირვის მიუხედავად, მწყურვალმა მეფემ წყალი არ დალია, „დაუღვარა წყალი უფალს“ და თქვა:

„წუმც დამელიოს ამ ვაჟკაცთა სისხლი თავის გასაწირად რომ წავიდნენ... არ ინდომა წყლის დალევა მეფემ“ (III მეფეთა).

თავისთავად სახისმეტყველურია ბიბლიის თხრობა. მაცხოვარი, რომელიც „დავითის ძედ“ იწოდება, სახარების თხრობის მიხედვით, სამარიტელ დედაკაცს სწორედ ბეთლემის ჭასთან ესაუბრება წყურვილისა და წყლის საღვთო არსზე. წყურვილიადამიანის დაუოკებელი ნდომა წყლისა, მაცხოვრის განმარტებით, საღვთო წყურვილს, ღვთის შესამეცნებლად აღძრულ ადამიანურ სწრაფვას აღნიშნავს.

სწორედ წყურვილის ეს საღვთო საზრისი ჩანს ქართულ ენაში „წყურვილსა“ და „წყალობის“ შინაარსში. „ვეფხისტყაოსანში“ კი ეს ბიბლიური ეპიზოდი პარადიგმად გვესახება. დავით წინასწარმეტყველის ქმედება სწორედაც სიშმაგეა ფიზიური თვალსაწიერით-მწყურვალ მეფეს თავგანწირვის ფასად მოუტანეს წყალი და ის არ სვამს.... მისთვის სულიერი წყურვილია უმთავრესი-უფლის მსახურება და მსხვერპლშენირვა მისთვის. წყლის დაღვრა გულისხმობს წყურვილის დათმენას საღვთო წყურვილისადმი სწრაფვით. „შმაგი“, რუსთველის განმარტებით, სწორედ მიჯნურს, გახელებულს, ღვთისაკენ მსწრაფველ ადამიანს, ხოლო სატრფო და მისი „ვერ მიწვდომისა სურვილი“ ამ წყურვილის-საღვთო სწრაფვას აღნიშნავს.

დავით წინასწარმეტყველის ბიბლიური ეპიზოდი სახისმეტყველებად არის გააზრებული: მწყურვალი მეფის მიერ წყლის არ

დალევა და წყლის დაღვრა არ არის „უშმაგო“ საქციელი, განსაზღვრულია, რომ წყურვილის დათმენა უფლისთვის მსხვერპლის გაღებაა, მოთმინება, მარხვა, ანუ ფიზიკური წყურვილის გარდაქმნა საღვთო წყურვილად.

ვფიქრობთ, რუსთველი სწორედ ამ სახისმეტყველაბას სრულქმნის ტაეპში ალუზიად, ფარულ შედარებად. კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მისეული „მიჯნური შმაგსა გვიქვიან“ ასეთი სიშმაგეა. ასე გარდაისახება მიჯნურისაკენ სწრაფვა საღვთო სწრაფვად, წყურვილის დათმენა საღვთო წყურვილის ნდომად. ენაც ხომ სახიმეტყველურად განაცხადებს ამ საიდუმლოს მზა-ფორმულებით: უწყალო, წყალობა, წყალი-ცრემლი, საწყალი და ა.შ.

არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ ტარიელი წარმოთქვამს პოემაში ამ სტროფს, ტარიელი აცხადებს წყურვილის ბიბლიურ პარადიგმას, ვფიქრობთ, მეფე დავით წინასწარმეტყველი ტარიელის იდეალური სახე-ხატია. ეს სულისმიერი შეთანასწორებაა ბიბლიურ მეფესალმუნე მეფესთან და ფარულ შედარებად, ალუზიად ცხადდება.

ცრემლთაფრქვევის ფონი - კლდე დაღარული ცრემლით და ტირილი ამ პარადიგმას სრულქმნის. ცნობილია, რომ კლდოვანი ლანდშაფტი განასახიერებს სააქაოს ცოდვილ ყოფას, წყალი კი საღვთო მადლის განსახიერებაა, რომელიც შემოდის სააქაო ყოფაში სულიერი სამყაროდან, აცოცხლებს და ანაყოფიერებს მას“ (გამსახურდია 1990: 211).

წყურვილი და თვალთაგან ცრემლთა წყლად მოდენა - „უწყლობა ჰკლავს, წყალი სდის“ – რუსთველური მხატვრული აზროვნების სიმაღლეა, ბიბლიური პარადიგმა ალრმავებს და განსახოვნების ძალას მატებს, სიმბოლური შინაარსი საღვთო სწრაფვად გარდასახავს წყურვილს, სწრაფვას, სიშმაგესა და ცრემლთა ფრქვევას. ამასთან, ტაეპი ანტიზომიას (სწყუროდის-წყალი, უწყლობა-წყალი) გულისხმობს და შუასაუკუნეობრივი თეოლოგიურ-რიტორიკული სტილის ცოდნას ადასტურებს რუსთველის მიერ. ქართულ ჰიმნოგრაფიაში იგი რუსთველამდე

დამკვიდრდა ეფრემ მცირის თარგმანებში, იოანე პეტრინის სა-აზროვნო სისტემაში ( ბეზარაშვილი 2003: 202).

ასე მდიდარი და მრავალსახოვანია რუსთველის მხატვრული აზროვნება.

#### **დამოცვებანი:**

**ბეზარაშვილი 2011:** ბეზარაშვილი ქ. ბიზანტიური და ძველი ქართული რიტორიკის თეორიისა და ლექსთნუობის საკითხები ანტიოქიური კოლოფონების მიხედვით. წ. 2. თბილისი: ილიაუნი, 2011.

**გამსახურდია 1990:** გამსახურდია ზ. ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება. თბილისი: 1990.

**რუსთაველი 1957:** რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსნი. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1957.

**ღლონტი 1961:** ღლონტი შ. ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა. სოხუმი: 1961.

*Lia Tsereteli*

## **Lack of Water Slays, Water Flows**

### **Summary**

The article deals with one of the biblical paradigms in “The Knight in the Panther’s skin”. After a battle, Biblical king, David works up a thirst. Three of his men force their way into the enemy camp, draw water from a cistern, and bring it to him. But King David does not drink the water, he pours it out to the Lord. In the biblical narrative, this passage is defined as “Holy Thirst”, and praying for the Lord’s mercy. The author of the article thinks that in one of the chapters of the poem, there may be an affinity with the above-mentioned biblical passage.

# ესთეტიკური პარალელები

---

ხვთისო ზარიძე

## ქართული ჰაგიოგრაფია და „ვეფხისტყაოსანი“ (მცირე პარალელები)

ჰაგიოგრაფია კანონიკური მწერლობაა. მისი მთავარი თემა იყო წმინდანი და მას იგი მუდმივი, არსებითად ასახვის უცვლელი საშუალებებით ხატავდა საუკუნეთა განმავლობაში. ეს კი, ცხადია, დიდი ერთფეროვანების იერს უმკვიდრებდა ამ უანრის თხზულებებს და მკვლევართაც კარგა ხანს ეჩვენებოდათ, რომ მათში არაფერი იყო ლიტერატურულად ისეთი, მომავლის მხატვრულ შემოქმედებას რომ გამოადგებოდა. არსებითად ამის დადასტურებაა ნიკო მარის აღიარება, თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ მეტეორივით უცხოდ მოჩანდა ჩვენი ძველი ლიტერატურის ფონზე (მარი 1936: 36).

ეს თვალსაზრისი მან თავისი სიცოცხლის მიმწუხრს წამოაყენა. არის ვარაუდი, რომ მან რატომაც ველარ გაითვალისწინა თავისივე მიგნებანი: თუნდაც მიჯნურობა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, ვერც ის, რაც ქალის კულტის უფრო ადრინდელ ფესვებზე მიანიშნა თავის ნაშრომებში, ვერ გაითვალისწინა ფილიპე ბეთოლემის თექვსმეტმარცვლიანი ლექსის მისგანვე დადგენილი მნიშვნელობა ქართულ პოეზიაში და ა. შ. (პარამიძე 1966: 233-234).

დღეს, ცხადია, უფრო მეტი ვიცით, რა მიუცია ჰაგიოგრაფიას საერო მწერლობისათვის და კერძოდ „ვეფხისტყაოსნისათვისაც“. ეს არის უაღრესად დახვეწილი სალიტერატურო ენა, რომელსაც კეკელიძის თანახმად ძალა შესწევდა თავისუფლად „გადმოეცა ადამინის სულის, გრძნობისა და გონების მოძრაობის ყოველგვარი ნიუანსი“. ჰაგიოგრაფიაშივე დამუშავდაო, წერს

იგი, პერსონაჟის ასახვის ის ოთხპუნქტიანი „ლიტერატურულ-კომპოზიციური ხერხი“, რომელიც წარმატებით გამოუყენებიაო თავად რუსთაველს (კეცელიძე 1958: 4-5). ენობრივ-გამომსახვე-ლობით საშუალებებშივე ბევრი რამ საერთო და ლიტერატურულად ერთობ საგულისხმო დაადასტურა X საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიასა და „ვეფხისტყაოსანში“ გ. იმედაშვილმაც (იმე-დაშვილი 1989: 32-60).

\*\*\*

ეს და სხვა ფაქტები უკვე ცნობილია სპეციალისტებისათვის. ამიტომ, ამჯერად ყურადღებას უფრო იმაზე გავამახვილებთ, რაც დღემდე შეუმჩნეველი გვრჩებოდა. ესაა აშკარად საინტე-რესო შეხვედრა კომპოზიციასა და პერსონაჟთა ასახვაში.

რ. ბარამიძემ საგანგებოდ შეისწავლა ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა კომპოზიცია და დაასკვნა, რომ ამ უანრის ადრე-ულ ძეგლებში იგი მარტივი და სწორხაზოვანია. რამდენადმე რთულდება „ცხორებათა“ ტექსტებში, რაც მისი აზრით, მეტაფ-რასტული მწერლობის გავლენით უნდა მომხდარიყო (ბარამიძე 1954: 633-640).

მოგვიანებით ამ საკითხით დაინტერესდა რ. სირაძე და ადრინდელ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა კომპოზიციის შე-სახებ ისიც ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა. კერძოდ, იგი წერ-და: „ადრინდელი ჰაგიოგრაფიული ძეგლები ერთპლანიან კომ-პოზიციურ წყობას იცავენ. ნაწარმოებში ამბები გადმოცემუ-ლია ცხოვრებისეული – ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვით. მაშასადამე, კომპოზიცია პასიურად ასახვს (იმე-ორებს) სინამდვილეს. უფრო მართებული იქნებოდა, **თუ ვიტყ-ვით**, რომ კომპოზიციის მრავალი ელემენტი აქ საერთოდაც არ მოგვეპოვება (ხაზი ავტორისაა), რადგანაც ნაწარმოების სინამდვილის აგების ხასიათს ლიტერატურული პრინციპი არ განსაზღვრავს. „ვეფხისტყაოსანში“ მთავარი გმირის – ტა-რიელის თავგადასავალი არა შემოტანილი კომპოზიციაში ბიოგრაფიული თანმიმდევრობის დაცვით. თანმიმდევრობა

**მოვლენებისა „დაშლილია“** და აგებულია ახალი სტრუქტურა სინამდვილისა“. – ესაა გამონაგონი სტრუქტურა. ნაბიჯი აქეთ-კენ დადადგმულია **IX-XI საუკუნეების აგიოგრაფიულ მწერ-ლობაში**“ (სირაძე 1975: 101) (ხაზი ჩვენია, ხ.შ.).

როგორც ვხედავთ, სირაძე არაფერს იმოწმებს „ვეფხისტყა-ოსნიდან“ თავისი აზრის დასაბუთებისათვის. მისი ზოგადი მსჯელობისათვის თხზულებათა აგების ამ წესზე არც იყო მეტი დაკონკრეტება აღბათ საჭირო. იგი მთელი „ვეფხისტყა-ოსნიდანაც“ იკითხება. ჩვენი საკითხისათვის კი, რის გარევე-ვისათვისაც ამ პატარა დაკვირვებას გთავაზობთ, მისი კონ-კრეტულად ჩვენება აუცილებელია. ესაა როსტვანისა და ავ-თანდილის ნადირობის ეპიზოდი, რომელშიც მკითხველი პირ-ველად ხვდება ტარიელს:

ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირას,  
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა.  
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა.  
ცრემლსა ვართი დაეთრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა.(83)

მას ტანსა კაბა ემოსა გარე თმა ვეფხის ტყავისა,  
ვეფხის ტყავის ქუდივე იყო სარქმელი თავისა,  
ხელთა ნაჭედი მათრახი ჰქონდა უმსხოსი მკლავისა,  
ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა. (84)

ამ იშვიათი ცხენითა და მისი უძვირფასესი აღკაზმულობით ეს მოყმე დიდებულთაგანია. ამას ცხადყოფს მისი მოჭედილი მათრახიც. ხოლო იმით კი, რაც ტანთ აცვია და თავზე ახურავს, მინიშნებულია, რომ იგი გაველურებულია და ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რამ მიიყვანა აქამდე? ეს კი სიუჟეტმა უნდა ახ-სნას და სწორედ ამ მოლოდინის გამძაფრებისთვისაა ისიც, რაც მის მიწვევას და შემდეგი კი მისი შეპყრობის ცდას მოსდევს პო-ემაში. იგი რომ მოჩვენება არ იყო, ამას მისგან შესაპყრობლად მიგზავნილ მეომართა გვამებით მოფენილი ველი ადასტურებს, მაგრამ საით გაქრა და როგორ, ამის კვალი კი არსად ჩანს.

„ვეფხისტყაოსნის“ უბრალოდ გადამკითხველმაც კი იცის, როგორ მივყავართ სიუჟეტს ყოველივე ამის ამოხსნამდე. ვინ არის ეს მოყმე და რას მიუყვანია ვეფხისტყაოსნობამდე. ტა-რიელი ამას თვითონ უამბობს ავთანდილს, როგორც მიჯნური მიჯნურს. უამბობს სიყმაწვილიდან ვეფხისტყაოსან მოყმედ ქცევამდე.

რ. სირაძეს, როგორც ვნახეთ, აღნიშნული აქვს რომ „ნაბიჯი აქეთკენ, ე. ი. გამონაგონი სიუჟეტური სტრუქტურისაკენ, ჩვენს მწერლობაში IX-X საუკუნეებში გადადგმულა. ჩანს მას მხედ-ველობიდან გამორჩა, რომ სიუჟეტის აგების ეს წესი საკმაოდ ადრე, კერძოდ VI საუკუნეში ყოფილა ჩვენს მწრლობაში ცნო-ბილი. იგი გამოუყენებია „ევსტათი მცხეთელის წამების“ აქამ-დე უცნობ ავტორს. მას, როგორც ირკვევა, ისე ოსტატურად აქვს ეს გაკეთებული, რომ აშკარაა მისი პირველი შემოქმედი არ უნდა იყოს.

რ. სირაძეს შენიშნული აქვს, რომ ჩვენს ჰაგიოგრაფებს თხზულებათა დასაწყის სტრიქონებში „წინასწარვე აქვთ გადმოცემული იმ ამბების სქემა, რომელთა მოთხოვნასაც შემდეგ აპირებენ“ (გვ. 145). ასე მოქცეულა „ევსტათი მცხეთე-ლის წამების“ ავტორიც. ოღონდ მთელი ამბის ამ მოკლე მო-ნახაზში იმის მინიშნებაც მოუხერხებია, სახელდობრ რის სათქმელად უნდა გამლილიყო მისი თხზულების ძირითადი ნაწილი. იგი მოკლედ გვიამბობს საიდან და როდის მოსულა ევსტათი მცხეთაში, რა აღმსარებლობისა და რამდენი წლის ყოფილა მაშინ. მცხეთაში შეუსწავლია მეხამლეობა და თან თვალყური უდევნებია მცხეთის ჯვრის სასწაულებისათვის.\* ამის ზეგავლენით გაქრისტიანებულა და ცოლადაც ქრისტიანი ქალი შეურთავს. ჩანს, ყოველივე ეს ისე მოუხერხებია, რომ მცხეთელ სპარსელებს ვერაფერი გაუგიათ ამის შესახებ. ამას ის ადასტურებს, რომ მათ, როცა მათი სარწმუნოების მორიგი

\* ეს ცნობა იმითაცაა საყურადღებო, რომ ადასტურებს „ნინოს ცხოვრების“ ერთ-ერთი ადრინდელი რედაქციის არსებობას. აგტორს, ჩანს ხელთ ჰქონია მისი ისეთი რედაქცია, რომელშიც ჯვრის სასწაულები უკვე ყოფილა ასახული. ეს ცოტა ადრე დამოწმებული აქვს მ. ხორენელისაც.

დღესასწაული მოსულა, ჩვეულებისამებრ კაცი მიუვლენიათ ევ-სტათისთან და შეუთვლიათ: „მოვედ და გუერთე შვებასა ამას ჩუენსა“. ხოლო ნეტარმან ევსტათიმო, განაგრძობს ავტორი, „განიცინნა და პრქვა მათ: „თქვენი ტოზიკიცა ბნელ არს და თქვენ, მეტოზიკენიცა, ბნელ ხართ. ხოლო მე ქრისტეს ბეჭედი მიმიღებიეს და ქრისტეს ტოზიკს ვტოზიკობ, რამეთუ ქრისტეს ბეჭედითა ალბეჭდილ ვარ და ბნელსა მაგას განშორებულ ვარ“ (ძეგლები 1978: 41).

ცხადია, ამ მოკლე მონახაზში არსებითა „ხოლო ნეტარმან ევსტათი განიცინნა“, რადგან სწორედ ამითაა მოტივირებული თუ რის ახსნისა თუ განმარტებისათვის უნდა აიგოს თხზულების სიუჟეტი. მისით უნდა გაირკვს, როგორ მივიდა იგი აქამდე, რომ გაქრისტიანდა და ახლა თავის მამა-პაპურ მაზდეანობას დასცინის. ასეც ხდება, მას აპატიმრებენ და თბილისის მარზპანის სამსჯავროში უხდება ამის ახსნა.

ცხადია, აღნაგობით ეს ისეთივეა, როგორითაც ტარიელის სახეა გახსნილი „ვეფხისტყაოსანში“. ყოფილი მოგვი, თანამიმდევრობით აცოცხლებს წარსულს, რომელმაც მიიყვანა აქამდე. სახიერად მოგვითხრობს, რამდენად ტანჯავდა თურმე მა-მის მიძალება, გამხდარიყო მოგვი, რადგან არაფერი იზიდავდა თურმე იმ სარწმუნოებაში. ამიტომ, რამდენადმე ტრაგიკულა-დაც კი ხმიანობს მისი ალიარება სამოელ არქიდიაკონის წინაშე. როცა მან შენიშნა, რატომ შედიოდა ასე ხშირად მათ ეკლესი-აში, ევსტათიმ მიუგო: „უფალო, შენ მიცი ვინ ვარ მე, არამედ არ მიყვარს მე რჩული ესე მამული ჩემი და მინებს, ვინმცა მაცნო მე რჩული ჰურიათაიცა და ქრისტიანეთაცა და რომელიც რჩული უნმიდე იყო, იგიმცა შევიყუარე“ (ძეგლები 1978: 47).

ყოველივე ეს კი, გარდა იმისა, რომ არსებითად ადამიანის ინ-დივიდუალიზებული სახის წინაშე გვაყენებს (ხ. ზარიძე, 1985) იმითაც არის საინტერესო და საგულისხმო, რომ უანრულად წამებაა თითქოს, სინამდვილეში კი იმის დასამტკიცებლად არის დაწერილი, რომ ქრისტიანობა უფრო მიმზიდველი და ჭეშმარი-ტი სარწმუნოებაა, ვიდრე მაზდეანობა. დამადასტურებელია

იმისა, რომ „ქართულ მწერლობაში მარტვილობა განიხილება არა როგორც ამა თუ იმ პირის კერძო ბედი, არამედ ქვეყნის კონკრეტულ ისტორიული და ნაციონალური ყოფის გამომხატველი მოვლენა“ (სირაძე 1975: 200). ცხადმყოფელია იმისაც, რომ ასეთი თემატიკით ქართული ჰაგიოგრაფია უფრო მხატვრულ ამოცანათა დასმასა და გადაჭრას ელტვოდა, ვიდრე სქემატურ ბიოგრაფიათა გადმოცემას (თვარაძე 1997: 152-180). ამდენად წამება ქართულში მართლაც უანრის სახელია და არა რომელიმე კონკრეტული თხზულების სათაური, რაც ასევე გაცნობიერებულია ქართულ ლიტმცოდნეობაში (გრიგოლაშვილი 2005: 130).

მაგრამ დავუბრუნდეთ სიუჟეტურ პარალელიზმს, რადგან ბოლომდე არ გავვიაზრებია მათი აღნაგობის ერთიანობა ორივე თხზულებაში. ორივეში იგი ორსაფეხურიანია. „ევსტათი მცხოველის წამებაში“ პირველზე სიუჟეტმა თუ ის ცხადყო, რამდენად მიუღებელია მაზდეანობა როგორც სარწმუნოება დაფიქსირებული და მაძიებლური ბუნების ადამიანისათვის, მეორეზე ფილოსოფიურად არის მისი სიყალბე დასაბუთებული.

სტრუქტურულად ასეთივე გამოდის „ვეფხისტყაოსანიც“. პირველ ეტაპზე იგი აქაც თანამიმდევრულად გვიჩვენებს როგორ იქცა ტარიელი ვეფხისტყაოსან მოყმედ, ხოლო მეორეზე – გაშლილია როგორ გამოვიდა იგი აღნიშნული მძიმე მდგომარეობიდან.

\* \* \*

პერსონაჟის ასახვის მხრივ კი, რაც თითქოს თავისებურად ვითარდება და სრულდბა „ვეფხისტყაოსანში“, საყურადღებო ჩანს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.

თუ არ ვცდები, ეს თხზულება ერთადერთია ჩვენი ჰაგიოგრაფიული მწერლობიდან, რომელშიც ავტორი და მისი პერსონაჟი დროის დიდი დისტანციით არიან ერთიმეორეს დაშორებული. ამიტომ გიორგი თავისი პერსონაჟის უშუალო გავლენით კი არა, უფრო უანრული კანონითა და უშუალო მწერლური

შთაგონებით ქმნის მის სახეს. და ეს სახე, რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, ჰაფიოგრაფისაგან, ერთდროულად მწიგნობრულ-კანონიკურიც არის და რეალისტურიც. თუ როგორ ეთავსება ორივე სტილით ნაძერწი ეს სახე ერთმანეთს, ცხადია, კითხვას იწვევს, მაგრამ აღქმის ჰაგიოგრაფიულ მანერას მიჩვეულთ თითქოს არც გვეუცხოება, მით უმეტეს მაშინ, როცა ამ ჟანრს საერო მწერლობის პირველ საფეხურად მივიჩნევთ. ამ თხზულებაში კი ეს კავშირი განსაკუთრებით შესამჩნევია, რადგან გრიგოლი არსებითად ჯერ იმ კონტურით არის გამოკვეთილი, რასაც აბსტრაქტულ მონუმენტალიზმს უწოდებენ ჰაგიოგრაფიაში და ერთობ საინტერესოა ისიც, რომ რაღაც ინდივიდუალურსაც, ადამიანურად ზოგთათვის სანდოსა და ზოგთათვის საეჭვოს, გიორგი მერჩულე სწორედ მის ამ მონუმენტურ იერშივე პოულობს.

ასეთი მონუმენტალიზმი ჰაგიოგრაფიის აღმოჩენა არ არის. იგი „ძველი აღთქმიდან“ უნდა ჰქონდეს ამ მწერლობას გაზიარებული. იქ კი იგი ასეთია: უფალთან ორმოცი დღით ნამყოფი მოსე წინასწარმეტყველი ქორების მთიდან რომ დაეშვა აღთქმის ფიქალებით ხელში, ეპრაელები გააოგნა მისმა იერმა: „და, აპა, ბრწყინავდა მისი პირისკანი და ვერ გაბედეს მიახლება“ (გამოსვლათა, XXIV, 28). ჰაგიოგრაფიაშიც ხშირად გვხვდებიან წმინდანები ასეთი იერით, მაგრამ მერჩულე იმით გამოირჩევა, რომ ამ იერს გრიგოლის ისეთ ნიშნად ხდის, რითაც ერთნაირად მომნუსხველია იმუამინდელი საზოგადოების ყველა ფენისათვის. აფხაზეთის უმაღლესი ხელისუფალი სწორედ მის ამ იერს წამოუდგა ფეხზე და მორჩილად მოიკითხა მასთან მისული გრიგოლი. ამ იერით დააყენა მან სწორ გზაზე ლირბი, ანუ ყველაფრის მკადრებელი მკვლელი, რომელიც ხუთი თხისა და სამი გრივი ფეტვისათვის აპირებდა გრიგოლის სიცოცხლის ხელყოფას და ბოლოს ჯავახეთის კრებაზე შეკრებილი ქართლის სასულიერო ელიტა გრიგოლის სწორედ ასეთი სახით გამოჩენამ მოიყვანა გონს. ეს კი ასე მოხდა:

მირიანმა არა ჰკითხა სინოდს, თავისი ერისკაცების და რამდენიმე ეპისკოპოსის თანადგომით იმძლავრა და ქართლის

საკათალიკოსო ტახტზე თავისი ძე არსენი დასვა. ეკლესიის შეურაცხყოფილმა მესვეურებმა ჯავახეთს მოიყარეს თავი. ვითარებას გუარამ მამფალი ამძაფრებდა და მისგან გამხნევებული ეფრემიც გრიგოლის სავანეში არსენთან ერთად აღზრდილი, აქტიურობდა ყველაზე მეტად. მაგრამ კრება საერთო გადაწყვეტილებამდე ვერა და ვერ მივიდა. არსად ჩანდა ტაო-კლარჯეთის სასულიერო წარმომადგენლობა და შესაძლოა, ამიტომაც გაჭირდა კომპრომისი მამათა შორის. „მაშინ, მოგვითხრობს გიორგი მერჩულე, ერუშენელმან ეპისკოპოსმან მის უამისამან რქვა ყოველთა: „ოდეს მოვიდეს ვარსკვლავი უდაბნოთა, მაშინ განემართოს საქმე და განზრახვა ყოველთა“. და მათ ჰრქვეს: „ვისთვის არს სიტყვა ეგე დამტკიცებითი?“ ხოლო მან ჰრქვა: „გრიგოლ არქიმანდრიტისათვის, ხანძთისა და შატბერდის მაშენებელისა“.

მაშინ ერთმან ვინმე ეპისკოპოსმან სილალით თქვა შორის შეკრებილთა მათ: „იგი ოდენ არს ვარსკვლავი მნათობი?“ ხოლო სხვათა მათ ყოველთა თქვეს: „ჭეშმარიტსა იტყვის, რამეთუ იგი არს მოძღვრებისა ნათლითა განმანათლებელ და შემკულ სულითა წმიდითა“ (ძეგლები 1978: 178).

ძალზე მეტყველი ეპიზოდია: საეჭვოა, უფრო ადრინდელ ტექსტში იმ სახეს, რომლითაც გრიგოლია ნაჩვენები, სილალე გამოეწვია ვინმეში. ეს სულ ერთია, ავტორი იქნებოდა, მკითხველი თუ მსმენელი. ახლა კი, X საუკუნეში, ხელოვანი არ ერიდება მას და სწორედ ამ სილალით დაეჭვებულ მამათა ფონზე შემოყავს იმ იერით, რომელმაც გვირგვინოსანი ფეხზე წამოაგდო, ხოლო ლირბ მკვლელს ძარღვები დაუდუნა. სასულიეროთა შორისაც ამ საკვირველებით გამოჩენამ ძალზე იმოქმედა: „და მეყსეულად იხილეს, განაგრძობს ავტორი, წმიდაზ იგი მომავალი კარაულითა შორის კრებულისა მას მამათასა საკვირველად ხილვითა, რამეთუ სამოსელი იგი შეურაცხი, რომელი ემოსა მოხუცებულსა მას, ესრეთ ჩნდა ვითარცა სამოსელი ნათლისა ბრჩყინვალისა განუცდელისა, ხოლო თავსა მისსა კუკული იხილვებოდა ვითარცა გვირგვინი სამეუფო პატიოსანთა თვალ-

თა და მარგალიტთაგან ფასდაუდებელთა აღმკული“ (ძეგლები 1978: 177).

მაგრამ ამ სტილს მერჩულე ბოლომდე ვერ იცავს და არც თავიდან უცდია მთლად კანონიკურ-ჰაგიოგრაფიული ყოფილიყო მისი თხრობა. მართალია, მის სქემაში აქცევს მას, როცა გვეუბნება, რომ „საშოთგანვე დედისადთა შენირულ იყო ღმრთისა დედისაგან თვისისა, ვითარცა სამუელ წინავსარმეტყველი და მარხვასა შინა იზარდებოდა მსგავსად წინასწარმეტყველისა, რამეთუ სიჩრიოთაგან ღვინო და ხორცი არა შეხდა პირსა მისა, ვინათგან ქრისტესა განეკუთვნა სული თვისი სამკვიდრებელად და ხატიცა მონაზვნობისად ემოსა“ (ძეგლები 1978:197). მაგრამ რ. თვარაძემ შენიშნა, რომ იგი სწორედ ამ ხატით არ არის ისეთი, როგორსაც მონაზვნური მოღვაწეობა შესძენდა მას. და მაგალითად ასახელებს ბალავარს. როცა „იოდასაფმა მოისურვა ენახა, რას მიაღწევდა მარხვით, მოთმინებით, მღვიძარებით და ა.შ. ბალავარმა გაიხსნა სამოსი და „იყო გვამი მისი გამხმარ და დამჭკნარ და ტყავი ოდენ გარდათხმული ძვალთა ზედა“ (თვარაძე 1997: 152-160). გრიგოლი კიო, გვარწმუნებს მერჩულე, „იყო ხილვითა დიდ, ხორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ, სრულიად გუამითა მრთელ და სულითა უბინო“ (ძეგლები 1978:128). 102 წლის მოიყარა, მაგრამ „ფერი პირისა მისისა არა იცვალა, არცა შეემთხვია თუალთა მისთა მრუდედ მხედველობა, ხორცითა ძლიერ იყო და რაითურთ უძლურება სიკვდილამდე არ იპოვა მის თანა“ (ძეგლები 1978: 206). უფრო მეტიც, სიბერემდე არ დაბინდვია გონებაც, მთელი წლის საქადაგებელი გალობანი, „რომელიცა დაესწავა, დაუვიწყებლად ახსოვდა და აქვნდა ხმისა ნებიერობა და ტკბილობისა შვენიერება“ (ძეგლები 1978: 169).

ცხადია, ესაა იდეალური სახე წმიდანისა, რამდენადმე კანონიდან გასულიც, რადგან სხეულის სიძლიერე, რაც გრიგოლს ახასიათებს, მიუღებელი იყო მონაზვნისათვის. მაგრამ მარტო ამას როდი შეაქვს მისი სახის მთლიანობაში დისონანსი. ჯავახეთის კრებაზე დიდებით გამოჩენამ მხოლოდ მცირე ხნით ჩაახშო

იმ უსახელო ეპისკოპოსის ქირქილი. გრიგოლის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო გუარამ მამფალმა, თავშეუკავებლად თქვა, რომ საზოგადოება კარგა ხანია თურმე ჩვეული ნათლით გაბრნებულს ვეღარ აღიქვამდა გრიგოლს: „მრავალ ჟამთა არა მეხილვა მამა გრიგოლ, არამედ მასმოდა, ვითარმედ ბრძენთაგან შეუცავი სიბრძნე მისი შეცვალებულ არს სიბერითო და პირველ სმენილი ვიხილე თუალითა“. პირდაპირ ვამაოგნებელი რამ არის ნათქვამი ამ სახელოვანა კაცზე! (ძეგლები 1978: 179).

დამეთანხმებით, საანალიზო ამ სახეში მართლაც ბევრია. ჩანს, ჰაგიოგრაფიაშიაც სახიფათოა მტკიცება იმისა, თითქოს მის სტრუქტურაში მხოლოდ კანონის ფარგლებშია ამ ჟანრის ხასიათი და ესთეტიკა საძიებელი. მაგრამ ამჯერად შევეშვათ მას და ჩვენს სათქმელს მივყვეთ. ყველა კაცი, თუნდაც წმიდანი რომ შეუძლებელია ყოველთვის და ყველასთვის ერთნაირი იყოს, აქ უკვე პრინციპულად არის დასმული. მერჩულე სახიერად გვიჩვენებს როგორი იყო იგი ჰაგიოგრაფიული კანონიკით და იმასაც, რომ სინამდვილემ საფუძველი შეურყია ამ კანონიკას. ძნელია გრიგოლის სახეში ვერ დავინახოთ ეს დინამიკა.

ფიქრობნ, რომ „ვეფხისტყაოსანმა“ ადამიანის ახლებური იდეალი წამოაყენა. იგი ღვთისადმი მორჩილია. მისი მოიმედეც კი. ოღონდ ისიც იცის, ხელს თუ არ გასძრავს, ვერაფერს მიაღწევს. დაფიქრებით თუ იმოქმედებს, ღმერთიც მოეხმარება. ასეთია, მაგალითად, ავთანდილის მრნამსი. ხანძთელის სახეში იდეალს დაცილება თუ ჯერ კიდევ მტკივნეულია და რამდენადმე ძნელად დასათმობი, რადგან იგი მაინც ორივე მხრიდანაა ნაჩვენები, „ვეფხისტყაოსანში“ უფრო მიწიერად აღიქმება იგი. მეფეც კი არ ჩანს აქ უსაყველურო – როცა როსტევანმა ტარიელის შეპყრობა მოინდომა, როგორ მაკადრა, მიწვევა არ მიიღო ჩემი, და ბოლოს რაც ტარიელმა მის ლაშქარს დამართა, ამით კიდევ უფრო დამწუხრდა, ამის გამო მისივე ამალიდან მავანთათვის განსჯის საგანი გახდაო იგი, გვეუბნება რუსთველი. აი, უფრო ზუსტად ეს სტროფები.

ბრძანა: „ღმერთსა მოეწყინა აქამდისა ჩემი შვება,  
ამად მიყო სიმწარითა სიამისა დანავლება.  
სიკვდილამდის დამაწყლულა, ვერვის ძალუძს განკურნება.  
მასვე მადლი! ესე იყო, წადილი და მისი ნება. (98)  
ესე თქვა და შემობრუნდა, დაღრეჯითა წამოვიდა,  
არცალა ჰერა ასპარეზისა, უამი, ვამსა მოურთვიდა,  
ყველაკათ გაიყარა, სადაცა ვინ მხეცთა სრვიდა,  
ზოგთა თქვეს თუ: „მართალია“, ზოგი, ღმერთო, უზრახვიდა.(99)

\*\*\*

შესაძლოა, ამ დაკვირვებაში ზოგი რამ სადავო იყოს, მაგრამ თუ გვნამს, რომ ჰაგიოგრაფია თავიდანვე ეროვნულ სახელმწიფოებრივ პრობლემებს დაუმორჩილა ქართულმა მწერლობამ, გამოდის, რომ ასახვაშიც თემის შესაბამისი და კანონის-გან რმდენადმე თავისუფალი უნდა ყოფილიყო იგი. ეს აშკარად იგრძნობა კიდეც მთელ ქართულ ჰაგიოგრაფიაში, ოლონდ, ჯერ-ჯერობით სათანადოდ შესწავლილი და შეფასებული არ გვაქვს.

## დამოცვებანი

**ბარამიძე 1966:** ბარამიძე ა. შოთა რუსთაველი და მისი პოემა. თბილისი: 1966

**ბარამიძე 1954:** ბარამიძე რ. კომპოზიციის საკითხები ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებაში. საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 15, №9, 1954.

**გრიგოლაშვილი 2005:** გრიგოლაშვილი ლ. დავით აღმაშენებლის გალობანი სინაულისანი. თბილისი: 2005.

**ზარიძე 1985:** ზარიძე ხ. „ხოლო ნეტარმან ევსტათი განიცინნა“. გაზ. „ღიატერატურული საქართველო“, 1985, 14 ივნისი.

**თვარაძე 1997:** თვარაძე რ. „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანი“. წიგნში: გადასახადი“. თბილისი: 1997.

**იმედაშვილი 1989:** იმედაშვილი გ. „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული კულტურა. თბილისი: 1989.

**კეკელიძე 1958:** კეკელიძე კ. ქართული ღიატერატურის ისტორია. ტ. II. თბილისი: 1958.

**მარი 1936:** მარი ნ. *Грузинский язык. Язык и история, св, первый.* 1936.

**რუსთაველი 1988:** შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“. „ვეფხისტყაოსნის“ აკად. ტექსტის დამდგენი კომისია. თბილისი: 1988.

**სირაძე 1975:** სირაძე რ. ძველი ქართული ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების საკითხები. თბილისი: 1975.

**ძეგლები 1978:** ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა. თბილისი: 1978.

## *Khvtiso Zaridze*

### **Georgian Hagiography and the “Knight in the Panther’s Skin”**

#### **Summary**

Georgian hagiography has developed not only a refined literary language but also the ability to build a plot and depict characters.

In the introduction of the “*The Passion of Eustathius of Mtskheta*”, a hagiographic monument of the 6<sup>th</sup> century, there is a brief outline of the content of the narrative which should then be developed; but as it is emphasized in this brief outline: “Only Blessed Eustatius laughed”, i.e. he ridiculed the Mtskheta Persians and their faith. So the story must explain how did the Persian reach the point that he makes fun of the faith of his ancestors and glorifies Christianity? For the sake of artistic expression, author decided to build the plot in this way.

In *The Life of Grigol of Xandzta* it has been emphasized that people are different and even in the ideal character of Grigol is found the possibility of such varieties. In *The Knight in the Panther’s Skin* the human being is deprived of an ideal form and is already diverse for some in everyday life.

## **თინათინ ბიგანიშვილი**

### **არისტოტელეს „პოეტიკისა“ და რუსთაველის ესთეტიკური თეორიის პარალელების შესახებ**

რუსთაველის მსოფლმხედველობისა და ესთეტიკური თეორიის კონცეპტუალური საფუძვლები, პირველ რიგში, ქრისტიანულ ღვთისმეტყველებასა და მრნამსში უნდა ვეძებოთ. ამის მიუხედავად, ისევე, როგორც დასავლური პროტორენესანსისა და რენესანსის ავტორები (დანტე, პეტრარკა, რაბლე და ა.შ.), რუსთაველიც ანტიკური ფილოსოფიის ნიადაგზეა ამოზრდილი. ამ ჰიპოთეზის თეორიულად დასაბუთების საშუალებას გვაძლევს, უპირველეს ყოვლისა, პოემაში ავტორის მიერ კონკრეტული ფილოსოფოსების (პლატონი, ფს. დიონისე არეოპაგელი) დასახელება და დამოწმება (182; 797; 1500)\*. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველოლოგთა შორის მეტ-ნაკლებად შეთანხმებულ ჭეშმარიტებათა შორის ერთ-ერთი რუსთაველის ერუდიციის საკითხია. საკამათო არ გახლავთ, რომ, ეფრემ მცირისა და ოიანე პეტრინის მდიდარი მთარგმნელობითი მემკვიდრეობის, ასევე თამარის ეპოქის არსებითი ტენდენციების გათვალისწინებით, რუსთაველი ანტიკური ეპოქის წამყვანი მოაზროვნების ფილოსოფიურ ტრაქტატებს იცნობდა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ, ზემოთქმულის მიუხედავად, რუსთაველოლოგიაში დღემდე საკამათოდ რჩება რუსთაველის, როგორც მოაზროვნის, კონკრეტული ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლად აღიარების საკითხი.

კორნელი კეკელიძე სამართლიანად აღნიშნავს: „რასაკვირველია, პოემაში მოიძებნება ისეთი აზრები და დებულებანი, რომელნიც ახასიათებენ, როგორც არისტოტელიზმს, ისე პლატონიზმსა და ნეოპლატონიზმს, თუ გნებავთ, სტოიციზმსაც,

\* აქ და მთელ სტატიაში პოემის ტექსტი დამოწმებულია „ვეფხისტყაოსნის“ თანამედროვე (2014) გამოცემიდან, რომელსაც საფუძვლად უდევს ტექსტის 1966 წლის საიუბილეო გამოცემა.

მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ პოეტი უთუოდ ან პლატონიკია, ან არისტოტელიკი, ან სტოელი, ან ნეოპლატონიკი“ (კეკელიძე 1979: 100). მკვლევარი იქვე საკმაოდ საყურადღებო შენიშვნას გვთავაზობს: „ყველაზე მეტად გავრცელებულია ის აზრი, რომ რუსთველი წმინდა წყლის ნეოპლატონიკია. ამის საწინააღმდეგოდ იხ. პროფ. მ. გოგიძერიძის საყურადღებო წერილი: შოთა რუსთაველი და ნეოპლატონიზმი, გაზ. „კომუნისტი“, 1938, №35“ (კეკელიძე 1979: 100).

კორნელი კეკელიძე აღნიშნულ საკითხზე მსჯელობას განაგრძობს და ხაზს უსვამს პრობლემის აქტუალობას, იმოწმებს რუსთველოლოგის ორიენტაციისტური მიმართულების მკვლევრებს, რომლებიც რუსთაველს მაჰმადიანად (ნ. მარი), მანიქეველად (პ. ინგოროვა, ი. აბულაძე) წარმოაჩენენ (კეკელიძე 1979). შესაბამისად, სირთულეებთან არის დაკავშირებული იმის მტკიცება, რომ შოთა რუსთაველი თავისი ესთეტიკური კონცეფციის თეორიულ საფუძვლებს უშუალოდ არისტოტელეს უნდა უმადლოდეს, თუმცა სავსებით შესაძლებელია ამ ორი დიდი მოაზროვნის თეორიების შეპირისპირებითი ანალიზი და ამის საფუძველზე შესატყვისი, რუსთველოლოგიის აქტუალურ საკითხებზე ყურადღების გამახვილების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა.

„ვეფხისტყაოსნისა“ და დასავლეთევროპული გვიანი შუა საუკუნეების სარაინდო ეპოსის საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებების შესახებ მსჯელობის დროს მ. კარბელაშვილი ყურადღებას ამახვილებს საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხზე. გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთევროპული საგმირო-სარაინდო ეპოსი შეიცავს ჯადოსნური ზღაპრის ელემენტებს, იმეორებს ეპიკური უანრის, რომანის სტრუქტურას, მაგრამ დაცლილია სიბრძნისმეტყველებითი ქვეტექსტისგან, არ შეიცავს ფილოსოფიური ტრაქტატის ქარაგმულად, სიმბოლურ-ალეგორიულად გადმოცემის ელემენტებს და, მამასადამე, გვიანი შუა საუკუნეების სარაინდო ეპოსის ავტორები, მაგალითად, კრეტიენ დე ტრუა, სიბრძნისმეტყველებად, ფილოსოფოსებად

არ გვევლინებიან. მ. კარბელაშვილი რუსთაველს ნეოპლატონიკოსად წარმოაჩენს ვახტანგ VI-ის კომენტარებზე დაფუძნებით და ანტიკური ეპოქის ფილოსოფიის დომინანტურ ფუნქციას,

ივანე ჯავახიშვილის დამოწმებით, ქართული რენესანსის არსებით მახასიათებელს უწოდებს (კარბელაშვილი 2011-2012).

ცხადია, რუსთაველის პოემის სიბრძნისმეტყველებითი საზრისი დაფუძნებულია პოეტის თანამედროვე და ასევე სხვადასხვა ეპოქის, მათ შორის ანტიკურის, წამყვან მოაზროვნეთა კონცეფციებზე. პროლოგში წარმოდგენილი შაირობის თეორია, თუკი მას განზოგადებულად განვიხილავთ, ერთი მხრივ, ესთეტიკური კონცეფციაა, ხელოვნების საზრისის, მშვენიერების რაობის შესახებ, მეორე მხრივ, ეს არის გვიანი შუა საუკუნეების ჟანრის თეორია, რომელიც ზედმინევნით იმეორებს არისტოტელეს „პოეტიკის“ არსებით პოსტულატებს.

ანტონ პირველი „წყობილსიტყვაობაში“ იოანე პეტრინისადმი მიძღვნილ იამბიკოში საზგასმით აღნიშნავს XII საუკუნის საქართველოში ანტიკურისა და კლასიკურის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც დახვეწილი სიბრძნისმეტყველების საზომს: „ატიკელობა ქართულებრ დალექსულ ჰყვენ“ (ქართული მწერლობა 1990: 120), მიმართავს იგი იოანე პეტრინს, ხოლო ლექსის დასასრულს XII საუკუნის ქართული რენესანსის, ქართული აღორძინების შესახებ უშუალოდ მიგვითითებს, როცა ქართლს სიბრძნის ქალაქს, ათენს ადარებს:

შენ ფილოსოფოსთ საქმე მონასმინანი,  
შენ სტოიკებრნი სიტყვით სპეკალ-მინანი,  
შენ პერიპატიოს ცნობანი სალხინანი  
მოაქართულენ, ქართლი ჰქმენ ათინანი,  
ჭირნი წარგვხადენ უმეცარ-საწყინანი.  
(ქართული მწერლობა 1990: 120)

ზემოთქმულის მიხედვით, ნათელია, რომ რუსთაველის ასპარეზზე გამოჩენას წინ უძლოდა ქართული მთარგმნელობითი სკოლის განვითარებისა და აღზევების პროცესი. ამ მხრივ,

განსაკუთრებით აღსანიშნავია არსენ იყალთოელისა და იოანე პეტრინის მოღვაწეობა. ამასთანავე, შეიქმნა ქართული ფილოსოფიური სკოლა, რომლის სათავეშიც არაერთი მკვლევარი მოიხსენიებს იოანე პეტრინს. ამ საკითხის შესახებ კორნელი კეკელიძე წერს: „იოანე პეტრინი ერთი იმ პირთაგანია, რომელ-ნიც XI-XII სს. ცდილობდნენ ქართულ ნიადაგზე გადმოენერგათ ბიზანტიური ფილოსოფიის მიღწევანი და ხელი შეეწყოთ ქარ-თული ფილოსოფიური აზროვნებისა და მწერლობის განვითა-რებისათვის. ამ მხრივ, უნდა ვთქვათ, იოანე პეტრინს ყველაზე მეტი ღვაწლი მიუძღვის ჩვენში. იმან შექმნა ჩვენში არამცთუ ფილოსოფიური აზროვნება, არამედ მთელი ფილოსოფიური სკოლაც; მან შექმნა შესაფერისი ფილოსოფიური ენა, ტერმი-ნოლოგია და სტილი. ეგრეთ წოდებული პეტრინონული ლიტე-რატურული სკოლა ჩამოყალიბებულია უმთავრესად იოანე პეტრინის მიერ. მისი ენა მეტად ხელოვნური, ღრმა და განყენე-ბულია. ის ქმნიდა ახალ ტერმინებსა და სიტყვებს, რათა ბერ-ძნული დედანი სისწორით გადმოეცა, ის მუდამ იმას ზრუნავს, რომ ბერძნულ სამეცნიერო-ფილოსოფიურ ტერმინს ქართული შესატყვისი მოუძებნოს ან, თუ ასეთი არ მოიპოვება, ქართული ძირიდანვე შექმნას. ის ბაძავს ბერძნულ დედანს ფრაზებისა და ნაწილაკების დალაგებაშიაც, რათა ქართული ენა გახადოს ფი-ლოსოფიური აზროვნების ისეთ იარაღად, როგორიც იყო ბერ-ძნული“ (კეკელიძე 1960: 292, 293).

დამორჩმებულ ციტატაში საყურადღებოა ერთი არსებითი საკითხი. კორნელი კეკელიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გვი-ანი შეუა საუკუნეების საქართველოში იქმნებოდა ბერძნული ფილოსოფიური ტერმინების შესატყვისი ქართული სიბრძნის-მეტყველებითი ტერმინები. ეს დამახასიათებელი იყო ქართული საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური სკოლებისათვის. შე-საბამისად, „ვეფხისტყაოსანში“ არისტოტელესა და პლატონის ფილოსოფიის კვალს უშუალოდ ტერმინების, ფრაზების, პერი-ფრაზების ფორმით თუ ვერ ვპოულობთ (მდრ: „მე სიტყვასა ერთ-სა გკადრებ პლატონისგან სწავლად თქმულსა: „სიცრუე და ორ-პირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“ (797, 3;4). ამ საკითხთან

დაკავშირებით არაერთი რუსთველოლოგი მიგვითითებს, რომ აღნიშნული კონცეპტი, როგორც ციტატა პლატონის ტექსტებში არ არის მოცემული (კეკელიძე 1979: 99), მიზეზი გახლავთ ის, რომ რუსთაველი სხვადასხვა ფილოსოფიური თეორიის ინტერ-პრეტაციას გვთავაზობს. ამ მეთოდს თავად რუსთაველი „ლექ-სად გარდათქმას“ უწოდებს. ამიტომ საყურადღებოა შაირობი-სა და მიჯნურობის თეორიაში რუსთაველის მიერ არისტოტელეს პოეტიკის მნიშვნელოვანი კონცეპტების „ლექსად გარდათქმა“, ასევე მთელ პროლოგში, რომელიც პოემის სიბრძნისმეტყველე-ბითი შრის გასაღებს წარმოადგენს.

არისტოტელეს ფილოსოფიის უშუალო კვალს „ვეფხისტყა-ოსანში“ არაერთი მკვლევარი აღნიშნავს. არისტოტელეს „კა-თარზისის“ ესთეტიკური, ასევე მორალურ-დიდაქტიკური მნიშ-ვნელობის შერწყმას ტრაგედიის, როგორც უანრის ბუნებასთან და ამ პრინციპის ასახვას რუსთაველის პოემაში ეძღვნება ლია გუგუნავას სამეცნიერო სტატია: „კათარზისი „ჰამლეტსა“ და „ვეფხისტყაოსანში“, სადაც ავტორი შენიშნავს, რომ რუსთავე-ლის მიერ არისტოტელეს „კათარზისის“ რეცეფცია მიჯნურობის თეორიასა და მთელ პროლოგში უნდა ვეძებოთ: „რუსთაველი მიჯნურობის ორ სახეს გვაცნობს. ერთია ღვთაებრივი, მეორე – ადამიანური. პოეტი ამათგან უპირატესობას ღვთაებრივ მიჯნურობას ანიჭებს... მიჯნურობა რომ სულიერ კათარზისს იწვევს, ამის აშკარა გამომხატველია მეათე სტროფი“ (გუგუნავა 2005/2006: 113, 114).

არისტოტელესა და რუსთაველის სიბრძნისმეტყველებითი კონცეფციების პარალელების კვლევას ეძღვნება ე. ხინთიბიძის ვრცელი მონოგრაფიის ერთ-ერთი თავი, სახელწოდებით „არის-ტოტელე და რუსთველი“. მკვლევარი არსებითი მნიშვნელობის არისტოტელესეული ტერმინის – სტატუსის სიბრძნის-მეტყველებით ტერმინს პოულობს „ვეფხისტყაოსნის“ პრო-ლოგში და აღნიშნავს: „რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ ასახვა უპოვია არისტოტელეს მოძღვრებას სულის რაობაზე. არისტო-ტელეს მოძღვრების თანახმად, სული არ არის იგივე სხეული, მაგრამ არც არსებობს სხეულისგან დამოუკიდებლად... თავისი

პოემის დასაწყისში პოეტი მიმართავს ღმერთს: „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა“ (2). არისტოტელე-სეული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის გათვალისწინებით, რუსთველისეული მიმართვა ღმერთისადმი ამგვარად შეიძლება გადმოვცეთ: ჰე ღმერთო ერთი, შენ შეჰქმენი ყოველი სული“ (ხინთიბიძე 1993: 61, 62).

მკვლევარი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებით პოზიციას გამოხატავს და აღნიშნავს: „არისტოტელეს ფილოსოფია გამხდარა ერთი არსებითი მსოფლმხედველობითი წყარო შოთა რუსთველისათვისაც... პოეტი არისტოტელეს არ ახსენებს, მაგრამ ის პრინციპი, რომელზე დაყრდნობითაც მოქმედებენ მისი პოემის გმირები, ის მსოფლმხედველობითი პოზიცია, რომელზედაც თვითონ დგას, ამოდის არისტოტელური პოზიციიდან, ანდა ტიპოლოგიურად უკავშირდება იმ შეხედულებებს, რომლებსაც დასავლეთ ევროპაში, და კერძოდ იტალიაში გვიანდელი შუასაუკუნეების და რენესანსის ეპოქის არისტოტელიანელები ავითარებდნენ“ (ხინთიბიძე 1993: 60, 61).

არისტოტელესა და რუსთაველის ესთეტიკური თეორიების ტიპოლოგიური ანალიზის პროცესში მათი თეორიების მსგავსება შესაძლებელია მარტივად წარმოვაჩინოთ მათი ტექსტების, ერთი მხრივ, „პოეტიკა“, მეორე მხრივ, „ვეფხისტყაოსასანი“, პარალელური, გნებავთ, მსგავსი კონცეპტების შეპირისპირებითი განხილვით. ასეთ შემთხვევაში მეტად თვალსაჩინო იქნება ამ ორი ბუმბერაზი მოაზროვნის კონცეფციების მსგავსება. მით უმეტეს, როგორც ზემოთ აღვნიშნე და ზემოდამოწმებული ციტატებით დავადასტურე, არისტოტელესა და რუსთაველის თეორიების მსგავსება არაერთი მკვლევრის ფიქრისა და განსჯის საგანი გამხდარა.

არისტოტელე „პოეტიკის“ პირველ ნაწილში არსებითად ტრაგედიის ჟანრის შესახებ მსჯელობს. მისთვის, როგორც ფილოსოფოსისა და ლიტერატურის საკითხების შემსწავლელი მოაზროვნისთვის, საინტერესოა, ერთი მხრივ, ტრაგედიის, როგორც ჟანრის ბუნება, მისი სილრმე და სირთულე, მისი საგანი, არსებითი მახასიათებლები და სტრუქტურა, მეორე მხრივ, მას,

როგორც თავადაც ლიტერატორს, სურს პასუხი გასცეს კითხვებს: როგორ არის შესაძლებელი ტრაგედიის არსებითი მიზნის – კათარზისის (კამარაზის) განხორციელება, როგორც შემოქმედისა და მაყურებლის, ერთი მხრივ, მეორე მხრივ, სცენის მსახიობთა და მაყურებლის ურთიერთობის აუცილებელი შედეგი? როგორ ხდება თანაგრძნობისა და შიშის გამოწვევა? როგორი მითებით უნდა სარგებლობდეს სიუჟეტისა და ხასიათების შექმნისას ტრაგედიის ავტორი?

აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობის პროცესში არისტოტელე ქმნის ესთეტიკურ თეორიას, რომელიც თავისი მასშტაბურობიდან, აზრის სიღრმიდან გამომდინარე, დიდი ხანია ლიტერატურისა და ხელოვნების კრიტიკამ, პოეზიისა და დრამატურგიის გარდა, ზოგადად ხელოვნების ყველა სფეროს მიუსადაგა.

იგივე ითქმის „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში წარმოდგენილი ესთეტიკური თეორიის შესახებ, რომელიც, მართალია, პოეზის – შაირობის არსებით საკითხებს მოიცავს, მაგრამ, პროლოგის ერთიანი კონტექსტიდან გამომდინარე, ასევე მიჯნურობის თეორიასთან კავშირში, ხელოვნების, შემოქმედებითი აქტივობის ზოგადი საზრისის განსჯამდე ფართოვდება.

არისტოტელე მკითხველს უხსნის, რა განსხვავებაა მხატვრულსა და არამხატვრულს შორის, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი – რა განსხვავებაა ტრაგედიასა და დრამის სხვა ჟანრებს შორის. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად არისტოტელე ძირითადად ორი სიბრძნისმეტყველებითი ცნებით სარგებლობს: განწმენდა, იგივე კათარზისი, რომლის განმარტებასაც „პოეტიკის“ არაერთ თავში გვთავაზობს და ამბავი, რომელსაც ტრაგედიის სტრუქტურის ანალიზის პროცესში არისტოტელე ფაბულას უწოდებს.

„პოეტიკის“ IX თავში არისტოტელე მხატვრულისა და არამხატვრულის, მისი ტერმინებით რომ ვთქვათ, ისტორიულის განსხვავების შესახებ წერს: „ისტორიკოსსა და პოეტს შორის განსხვავება იმაშია, რომ პირველი მოგვითხრობს იმაზე, რაც მოხდა, მეორე კი იმაზე, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო“ (არისტოტელე 2013: 61).

ტრაგედიის არსს არისტოტელე „პოეტიკის“ VI თავში განმარტავს და სწორედ ამ განმარტების პროცესში იყენებს კათარზისის ცნებას: „ამრიგად, ტრაგედია არის განსაზღვრული მოცულობის მქონე სერიოზული და დასრულებული მოქმედების გამოხატვა, რომელიც შემკობილია სიტყვით, მისი სხვადასხვა სახეობებით ცალკე სხვადასხვა ნაწილებში, – მოქმედებით და არა მოთხრობით გამოხატვა, რომელიც თანაგრძნობის და შიშის გამოწვევის მეშვეობით ახორციელებს მსგავსი გრძნობების განწმენდას“ (არისტოტელე 2013: 55).

არისტოტელესათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია განმარტოს, რა არის ტრაგედიის ფაბულა, რომელსაც ის სიუჟეტის ღერძის მნიშვნელობით განმარტავს და ტრაგედიაში გადმოსაცემი ძირითადი ამბის აღმნიშვნელად იყენებს: „მოქმედების გამოხატვა – ესაა ფაბულა. ფაბულას მე ვუწოდებ მოვლენათა შეთანწყობას“ (არისტოტელე 2013: 55), სხვაგან კი აღნიშნავს: „ტრაგედიის საწყისი და თითქოს სული – ესაა ფაბულა, შემდეგ კი ხასიათები. ტრაგედია ხომ მოქმედების გამოხატვაა და მოქმედი პირების ძირითადად მისი მეშვეობით გამოსახვა“ (არისტოტელე 2013: 57). ხოლო იმისათვის, რომ განმარტოს, რას წარმოადგენს, მისივე თქმით, „ტრაგედიის სული“, ის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ტერმინს იყენებს – ეს არის ნაწარმოებში ასახული ამბავი, როგორც მთლიანი, ამბის, როგორც მითის ტრანსფორმაციის, მითის კერძოობითი ფორმის იმანენტური ბუნებიდან გამომდინარე, დაუნაწევრებლობა, ერთიანობა, რაც ხშირად ლოგიკურ ახსნასაც არ ექვემდებარება, რადგან, როგორც აღვნიშნე და როგორც თავად არისტოტელე განმარტავს, ეს ამბის ონტოლოგიური თვისიობრიობის შედეგია (აღსანიშნავია, რომ წინამდებარე სტატიაში დამოწმებული „პოეტიკის“ ტექსტის რედაქტორს საჭიროდ მიუჩნევია „პოეტიკის“ ყოველი თავის დასათაურება და აი, როგორ არის მეშვიდე თავი დასათაურებული: „ტრაგედიაში მოქმედების შინაგანი მთლიანობისა და დამთავრებულობის ცნება. მოქმედების ხანგრძლივობა ტრაგედიაში). ამასთან დაკავშირებით არისტოტელე პოეტიკის VII თავში წერს: „ჩვენ უკვე მივიღეთ დებულება, რომ ტრა-

გედია არის გარკვეული მოცულობის მქონე დამთავრებული და მთლიანი მოქმედების გამოხატვა... მთელი ისაა, რასაც აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული... რამეთუ მშვენიერი – ცოცხალი არსებაც და საგანიც – შედგება გარკვეული ნაწილებისაგან, მას ეს ნაწილები არა მარტო მწყობრ წესრიგში უნდა ჰქონდეს, არამედ უნდა ნარმოადგენდეს არაშემთხვევით სიდიდეს. მშვენიერი ხომ ვლინდება სიდიდესა და წესრიგში“ (არისტოტელე 2013: 58, 59).

ზემოდამონმებულ ციტატაში არისტოტელე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სრულყოფილ ნაწარმოებს ვერ ექნება „შემთხვევითი სიდიდე“, რაც იმას ნიშნავს, რომ სრულყოფილ ნაწარმოებს ვერ ექნება ნებისმიერი სიდიდე. ამასთან ერთად, „პოეტიკის“ მეშვიდე თავში არისტოტელე მცირე ფორმას ამბის სრულყოფილად გადმოსაცემად უვარვისად მიიჩნევს. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ კლასიცისტურ ეპოქაში არისტოტელეს ფილოსოფიის ხელახლა რეცეფციის პირობებში ეპიკური უანრი ლირიკულ უანრთან შედარებით „მაღალ უანრად“ დასახელდა და უანრთა ამგვარი იერარქიის საფუძვლად არისტოტელეს „პოეტიკის“ კონკრეტული კონცეპტები გამოცხადდა.

ბუნებრივია, არისტოტელეს ლირიკის უანრი, ზოგადად ლირიკის უანრი, ეპიკურ უანრთან შედარებით მდარე ან დაბალი კატეგორიის უანრად არ დაუსახელებია. არისტოტელეს მსჯელობის კონტექსტის გარეშე გაანალიზება არ არის მართებული. არისტოტელე „პოეტიკის“ VII თავში ეპიკურ უანრს ლირიკულ უანრებთან შედარებით უპირატესად აცხადებს ამბის, როგორც მთელის, როგორც, ამბის შინაგანი მთლიანობიდან გამომდინარე, ერთგვარი იმანენტური ლოგიკით გადაბმული მოქმედებების ჯამის სრულყოფილად გადმოცემის გამო და არა იმიტომ, რომ ლირიკის უანრს ეპიკურ უანრთან შედარებით ნაკლებლირებულად მიიჩნევს.

აღნიშნულის შესახებ არისტოტელე „პოეტიკის“ მეშვიდე თავში წერს: „რაც შეეხება ტრაგედიის ხანგრძლივობის განსაზღვრას საქმის თავად არსის მიხედვით, სიდიდით ყველაზე საუკეთესოა ის ფაზულა, რომელიც განვითარებულია სათანადო

სიცხადემდე, ანუ უბრალოდ რომ ვთქვათ, საკმარისია დრამის ის ზღვარი, რომლის ფარგლებშიც მოვლენათა თანმიმდევრული განვითარებისას შეიძლება ხდებოდეს ალბათობის ან აუცილებლობის მიხედვით გადასვლა უბედურებიდან ბედნიერებისკენ, ან ბედნიერებიდან უბედურებისკენ“ (არისტოტელე 2013: 59, 60).

„პოეტიკის“ მერვე თავში კი მოქმედების მთლიანობის შესახებ არისტოტელე წერს: „ისევე როგორც სხვა მიმბაძველობით ხელოვნებებში ერთიანი მიბაძვა ნიშნავს ერთი საგნის მიბაძვას, ასევე ფაბულაც უნდა იყოს ერთიანი და ამასთან მთლიანი მოქმედების გამოხატვა, რამეთუ ის არის მოქმედების მიბაძვა“ (არისტოტელე 2013: 61).

ალბანიშნავია, რომ რუსთველოლოგიაში არსებობს არაერთი ზოგადი შეთანხმების საგანი, რაც წამყვან რუსთველოლოგებს შორის არსებითად კამათის საგანი არასდროს გამხდარა. ასეთია პროლოგის სამ არსებით ნაწილად დაყოფის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ანაგოგიურ ნაწილს – ხოტბას მოსდევს შაირობისა და მიჯნურობის თეორიები, თუ არად ჩავთვლით იმ რუსთველოლოგთა კონტრარგუმენტებს, რომელთა მიხედვით, პროლოგი, სრულად ან ნაწილობრივ მაინც, შოთა რუსთაველს არ ეკუთვნის (მაგალითისათვის შესაძლებელია ნიკო მარისა და დ. კარიჭაშვილის პოზიციების განხილვა).

შაირობის თეორიას არაერთი რუსთველოლოგი ერთგვარ ჟანრის თეორიასაც უწოდებს, რადგან მასში მკაფიოდ არის გადმოცემული პოეტური ტექსტის (შაირის) კლასიფიკაცია სამ ძირითად კატეგორიად. კრებულ „რუსთველოლოგის“ მერვე ტომში ვკითხულობთ: „ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველის მიერ შემოთავაზებულ პოეტური ტექსტის (შაირის) კლასიფიკაციიდან ყურადღებას იპყრობს „მესამე ლექსის“ კატეგორია“ (ცხადაია ... 2017: 123). შაირის სამ ფორმას შორის, უდავოდ, აშკარად და ქარაგმული მეტყველების გარეშე გამოყოფილია პოეტური ტექსტების მაღალი და დაბალი ფორმები, რაც იმას ნიშნავს, რომ არისტოტელეს მსგავსად, რომელიც ტრაგედიას კომედიასთან შედარებით მაღალი კატეგორიის ჟანრად ასახელებს, რუსთაველიც იცავს ჟანრთა იერარქიას.

არისტოტელეს მიერ ტრაგედიასთან შედარებით კომედიის მაღალ ჟანრად დასახელება კლასიცისტური ეპოქის ჟანრის თეორიის საფუძველია, რასაც, როგორც ცნობილია, მოპყვა სამწერლობო ენის დიფერენცირება „მაღალი“ და „დაბალი“ სტილის ენებად, ასევე ჟანრთა რეგლამენტაცია და მთელი რიგი კლასიცისტური „კანონიკა“ ლიტერატურის თეორიასა და პრაქტიკაში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „პოეტიკის“ IV თავი, სადაც არისტოტელე აღნიშნავს: „უფრო ამაღლებული მიმართულების პოეტებმა დაინტერეს კარგი ადამიანების საქციელების გამოსახვა, იმათ კი, რომლებიც უფრო უხეში იყვნენ – ცუდ ადამიანთა საქციელების გამოსახვა“ (არისტოტელე 2013: 51). ამავე საკითხს კი არისტოტელე „პოეტიკის“ V თავში განავრცობს და კიდევ უფრო გასაგებს ხდის, ჟანრთა ამგვარი იერარქიული კლასიფიკაციის მიხედვით, რით არის ტრაგედიის ჟანრი კომედიის ჟანრზე უპირატესი: „კომედია, როგორც ვთქვით, ესაა ცუდი ადამიანების ასახვა, მაგრამ არა მათვის დამახასიათებელი ბინიერების ჩვენებით, არამედ სასაცილო სახით. სასაცილო – სიუშნოვის ნაწილია. სასაცილო – ეს რაღაც შეცდომაა ან სიმახინჯე, რომელიც ტანჯვასა და ზიანს არ აყენებს, როგორც მაგალითად, კომიკური ნიღაბი. ეს რაღაც უშნო და მახინჯია, მაგრამ ტანჯვის გარეშე“ (არისტოტელე 2013: 53).

ტრაგედიისა და კომედიის ჟანრის შედარებას არისტოტელე „პოეტიკის“ XIII თავშიც გვთავაზობს და კიდევ ერთხელ აღნიშნავს კომედიასთან შედარებით ტრაგედიის უპირატესობას: „რამეთუ პოეტები თავიანთ ნაწარმოებებში ცდილობენ მაყურებლის გემოვნებას მოერგონ. თუმცა სიამოვნების ამნაირად გამოწვევა ტრაგედიისათვის უცხოა, ეს უფრო კომედიისათვისაა დამახასიათებელი“ (არისტოტელე 2013: 68).

აღსანიშნავია, რომ არისტოტელეს მიერ პოეტიკის V თავში ნახსენები სიტყვები: „ტანჯვა და ზიანი“ არისტოტელესული ტერმინების „შიშისა და თანაგრძნობის“ ეკვივალენტური მნიშვნელობებია, რადგან „ტანჯვა და ზიანი“ ტრაგედიაში სცენაზე გამოსახული მოქმედების თანმდევია. მაყურებლისთვის კი ტან-

ჯვისა და ზიანის თანაგანცდას მოაქვს შიში და თანაგრძნობა, რაც კათარზისის წინაპირობაა. შესაბამისად, არისტოტელეს მიერ ჟანრთა კლასიფიკაციის პროცესში დასახელებულია სრულიად კონკრეტული მიზეზი, რის გამოც ტრაგედია კომედიას აღემატება, ეს არის კათარზისი.

რუსთაველი მაღალი კატეგორიის შაირისა და შედარებით ნაკლებლირებული ფორმის ლექსზე მსჯელობის დროს ისეთივე სიზუსტით მიუთითებს პოეტურ ტექსტთა კლასიფიკაციის ამოსავალ პრინციპს, როგორც არისტოტელე. რუსთაველი ამბობს: „არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა“ (16, 2). „გულის გამგმირავი სიტყვები“ არისტოტელესეულ „ტანჯვასა და ზიანს“, „შიშსა და თანაგრძნობას“ უკავშირდება. დიდი ალბათობით, ეს პარალელები რუსთაველის ერუდიციასა და არისტოტელეს ტექსტების ცოდნას ემყარება.

შესაბამისად, პროლოგის მე-16 და მომდევნო სტროფებში რუსთაველი ასახელებს მხატვრული ელემენტების ერთობლიობას, რომელიც პოეტურ ტექსტთა კლასიფიკაციის ამოსავალ პრინციპად მიაჩინია: „ცოტა ლექსი“, „არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა“, „მშვილდი ბედითი“, „ყმანვილი მონადირე“, როგორც ახალგაზრდა, გამოუცდელი პოეტის აღსანიშნავად გამოყენებული შედარება, „დიდი“ და „მცირე“, რომელიც „მონადირის“, იმავე მოშაირის მიერ მოპოვებული ნადავლის, ნანადირევის ეპითეტებია, განსაზღვრებებია.

ცხადია, რუსთაველის მიერ პროლოგში ასე აშკარად გამოხატული დიფერენცირება – „დიდი“ და „მცირე“ – შაირობის თეორიას ჟანრის თეორიად, პოეტურ ტექსტთა კლასიფიკაციად წარმოაჩენს. „დიდისა“ და „მცირის“ გარდა, რუსთაველს შაირობის თეორიაში სხვა მნიშვნელოვანი ცნებებიც გამოუყენებია, რომელთა საშუალებით ის ამტკიცებს, რატომ არის შაირობის უმაღლესი ფორმა სრულყოფილი, როგორც „სიბრძნის დარგი“, როგორც „საღმრთო“ და „საღმრთოდ გასაგონი“, რომელიც „მსმენელთათვის მარგია“ და რატომ არის ნაკლებლირებული ისეთი პოეტის შექმნილი პოეზია, რომელსაც „მოშაირე არა ჰქვიან“ და მელექსის სახელს, რუსთაველის მიხედვით, ამაოდ ატარებს,

თუმცა „იტყვის „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს, ვითა ჯორი“ (15, 4).

არისტოტელეს მსგავსად, რუსთაველი დახვენილ პოეტურ ნაწარმოებად მიიჩნევს იმ ტექსტს, რომელიც იდეური სიღრმით გამოირჩევა და, შესაბამისად, მისი საგანი „მსმენელთათვის დიდი ძარღია“, „გულის გამგმირავი“, „სრულქმნილი სიტყვებით“ არის გადმოცემული. შესაბამისად, „საღმრთო“ პროლოგში იდეური სიღრმის აღმნიშვნელი ცნებაა. არისტოტელე კი იდეურ სიღრმეს პოეზის არსებით თვისებად მიიჩნევს. ამის შესახებ ზ. გამსახურდია წერს: „არისტოტელეს ცნობილი შეხედულების მიხედვით, პოეზია უფრო ფილოსოფიურია, ვიდრე ისტორია, რაც გულისხმობს იმას, რომ პოეზიას საქმე აქვს ზოგად ჭეშმარიტებასთან, ისტორიას კი კერძო ჭეშმარიტებებთან და ფაქტებთან“ (გამსახურდია 1991: 32).

რუსთველისეული ტერმინები „მსმენელთათვის დიდი ძარგი“ და „გულის გამგმირავი სიტყვები“, ასევე „საღმრთო გასაგონი“ (ტერმინი „გასაგონი“, პეტრინისეულია და შესამეცნებელს ნიშნავს) უშუალოდ უკავშირდება არისტოტელესეულ „შიშა და თანაგრძნობას“, ასევე „ტანჯვასა და ზიანს“ (შდრ. „მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი“ (7, 1).

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტის დიდტანიანობისა და მცირე ფორმის საკითხს რუსთაველი ისევე განიხილავს, როგორც არისტოტელე. თუკი არისტოტელეს მიხედვით, ამბის, როგორც მთლიანის სრულყოფილად გადმოსაცეად ეპიკური უფრო ხელსაყრელია და ეპოსისა და ტრაგედიის მსგავსებაზე მსჯელობის დროს მიუთითებს, რომ ტრაგედიაც, ეპოსის მსგავსად, მცირე სიდიდისა არ უნდა იყოს, რათა მოქმედებათა ჯაჭვი ავტორმა სრულყოფილად ასახოს, რუსთაველიც ხშირად უპირისპირებს ერთმანეთს განსაზღვრებებს: დიდი და მცირე, როგორც პოეტური ნაწარმოების სიგრძე-სიმოკლის აღმნიშვნელ ცნებებს.

მოცემული საკითხი რუსთველოლოგთა შორის აზრთა სხვა-დასხვაობას არ იწვევეს. პროლოგში ნახსენები „გრძელი შაირი“, ან „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“ რუს-

თველოლოგთა უმეტესობას ეპიკური ჟანრის, ანუ დიდტანიანი ნაწარმოების აღმნიშვნელ ცნებებად მიაჩნია (ა. ბარამიძე, კ. კე-კელიძე და სხვ.), თუმცა აღსანიშნავია, რომ რუსთაველი ტერ-მინს „გრძელი სიტყვა“ მხოლოდ პოეტური ტექსტის სიგრძე-სიმოკლის მნიშვნელობით არ ხმარობს, არამედ ამ ცნებებით ნაწარმოების იდეური სიღრმის, იდეური დატვირთვის გამო-ხატვაც სურს.

აღსანიშნავია, რომ რუსთაველური სიბრძნისმეტყველებითი ტერმინები პოემის სხვადასხვა ეპიზოდის მიხედვით შეპირის-პირებითი ანალიზით უნდა განვიხილოთ. სიბრძნისმეტყველე-ბით ტერმინს „გრძელი“ რუსთაველი მხოლოდ პროლოგში არ ახსენებს, არამედ სხვა ეპიზოდებშიც. მათ შორის განსაკუთრე-ბით საგულისხმოა პოემის დედააზრის გამომხატველი აფორ-იზმები, რომელსაც რუსთაველი ავთანდილის პირით ამბობს. ავთანდილი ასმათს ეუბნება: „ნუ გეშის, ეგე ამბავი მრთელია... ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ (1370, 1; 4). ღვთის არსება „გრძელია“, რადგან ღმერთი უკვდავია. ამ შემ-თხვევაში ტერმინი „გრძელი“ უკავშირდება პროლოგში შაირო-ბის უმაღლესი ფორმის გამოსაყოფად ინიცირებულ ტერმინ „საღმრთოს“. შესაბამისად, „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“ (17, 4) – აღნიშნული აფორიზმი, რომელიც, ამავდროულად, რუსთაველის ესთეტიკური კონცეფციის ერთ-ერთ ძირითად დებულებას წარმოადგენს, ამგვარ საზრისს გადმოგვცემს: ჭეშმარიტი პოეტი ქმნის დიდტანიან ნაწარმოებს, რომელიც ღრმა იდეური საზრისით გამოირჩევა. რუსთაველის ეპოქაში კი იდეური სიღრმე განისაზღვრებოდა ერთადერთი სი-ტყვით – „საღმრთო“, რომელიც ასევე „საღმრთოდ“ აღიქმება, რაც ინვევს „სულთა ლხენას“, ანუ კათარზისს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ზვიად გამსახურდია წერს: „ღვთის „ახლად ჩენა“, ანუ ნათელხილვის დაბრუნება მო-ემადლება მორწმუნებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაივლიან სინანულის (ცრემლის) კათარზისის (სულთა ლხენის), განღმ-რთობის (შერთვის) გზას, რაც სულინწმიდის მადლია და მის გა-რეშე შეუძლებელია. ყოველივე ამასთან ერთად ვეფხისტყაოსნის

ავტორის აზრით, საჭიროა „სამთა ფერთადმი“, ანუ სამებისადმი ლექსთა ვლენა, რაც აგრეთვე სულიწმიდის მადლია, რომელიც აძლევს პოეტს ზეშთაგონებას, ნიჭს, ენას, გულსა და ხელოვნებას“ (გამსახურდია 1991: 124).

რუსთაველის შაირობის თეორია, თავის მხრივ, ფს. დიონისე არეოპაგელის ღვთისმეტყველებასთან ერთად, რომლის მიხედვითაც, პოეზია ეს არის სახისმეტყველებითი ღვთისმეტყველება, საფუძვლად დაედო ანტონ I-ის სამი სტილის თეორიას. აღნიშნულის შესახებ ლ. წერეთელი წერს: „თუ განვიხილავთ თხზულებათა ანტონისეულ დაყოფას პირველ, მეორე და მესამე „სტილად“, ჩავუფიქრდებით თითოეული ნიმუშის კომენტარს, ავტორისეულ ანალიზს, ნათელი გახდება, რომ ანტონ I რუსთაველის თაყვანისმცემელია, უდიდეს ღვთისმეტყველთა რანგში მოიხსენიებს მას და თვითონ „სამი სტილის“ თეორიას ატყვია, რომ ანტონ I-ზე უდიდესი გავლენა მოუხდენია დიონისე არეოპაგელის სახისმეტყველებით ღვთისმეტყველებას. ეს არ არის მხოლოდ გრამატიკულ-სტილისტური, არამედ თხზულებათა დაყოფა საღვთისმეტყველო ნააზრევის გადმოცემისა და მათში საღმრთო სიბრძნის სიღრმის მიხედვით“ (წერეთელი 2005/2006: 170).

პოეტურ ტექსტში ნაწარმოების იდეური დატვირთვა რომ განსაზღვრავს სტილს და არა ტექსტის გრამატიკულ-ლინგვისტური სტრუქტურა, ნაწარმოების ერთიანი იდეური საზრისი-საგან დამოუკიდებლად, ამის შესახებ ი. ამირხანაშვილი წერს: „პოეტები სხვადასხვა ენაზე მეტყველებენ, სხვადასხვა ენას იყენებენ იმისათვის, რომ შექმნან ერთი პოეტური „მატერია“, რომელიც გასაგები იქნება არა ენის მეშვეობით, არამედ ამ „მატერიის“ სტრუქტურის საშუალებით.

პოეტური ფაქტურა მარტო ორნამენტი არ არის, არც მარტო ტექნიკაა, არამედ ეს არის ქმნადობის ენა, მსოფლმხედველობა, სტილი, რომელიც გამოხატავს შემოქმედების არსს“ (ამირხანაშვილი 2017: 33).

პროლოგის მესამე ნაწილში რუსთაველი კიდევ უფრო მეტად აზუსტებს „საღმრთოს“ მნიშვნელობას და მას მიჯნურობის თეო-

რიას უკავშირებს. შესაბამისად, საკუთარ პოეზიას, მისივე კლა-სიფიკაციის მიხედვით, უმაღლესი ფორმის შაირს მიაკუთვნებს. ამით ის სიტყვისა და საქმის ერთიანობის ფორმულასაც გად-მოგვცემს, რაც ავთანდილის ანდერძში უფრო მეტიოდ არის მოცემული: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“ (798, 3). აქ „ცოდნა“ და „საქმე“ („არა ვიქმ“) ურთი-ერთშემავსებელ მნიშვნელობებად არის განხილული.

„საღმრთო“ პირველი მიჯნურობის ალეგორიულად გადმო-ცემას გულისხმობს, რაც სხვაგვარად არის სახისმეტყველები-თი ღვთისმეტყველება (ფს. დიონისე არეოპაგელი). ამიტომაც აზუსტებს რუსთაველი: „ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰევდებიან; მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ არ სიძ-ვენ, შორით ბნდებიან“ (21, 3; 4). მოყვანილი ციტატის შინაარ-სია: ვიტყვი, აგიწერთ „ქვენა“ ანუ მიწიერ გრძნობებს, რომლე-ბიც ხორცს, სხეულს ეხებიან, ეკუთვნიან, მაგრამ მიჯნურნი ხორციელ კავშირს არ ამყარებენ, არამედ მხოლოდ შორიდან ტრფობას სჯერდებიან.

ალსანიშნავია, რომ მიჯნურობის თეორიაში რუსთაველი ორჯერ იმეორებს პოეტურად თქმის, როგორც მეთოდის აღმ-ნიშვნელ სიტყვას: „ვთქვა“ და „ვთქვნე“. რუსთაველოლოგები ერთხმად მიგვითოთებენ, რომ „პირველი მიჯნურობა“ რუსთავე-ლის პოემის საგანი არ არის, რადგან, მისივე თქმით, ის „ძნელად სათქმელია“ და „ენის გამოსაგებია“, რის გამოც „მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან“. ამიტომ შედარებით ქვედა ფორმა სი-ყვარულისა რუსთაველს პოემის იდეად აურჩევიაო (კ. კეკელი-ძე). ამგვარ ინტერპრეტაციას თავად რუსთაველი აქარნელებს შემდეგი აფორიზმით: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“ (12, 4). ამ შემთხვევაში რუსთაველი „გრძელი სიტყ-ვის მოკლედ თქმით“ მხოლოდ აზრის სხარტად გადმოცემას არ გულისხმობს, არამედ პოეზიის იმ დანიშნულებას, რომელიც რუსთაველამდე ფს. დიონისე არეოპაგელმა განმარტა, როგორც სახისმეტყველებითი ღვთისმეტყველება და რომელიც გვიანი შუა საუკუნეების პოეზიისთვის დამახასიათებელ ალეგორიულ მეთოდს აღნიშნავს, კერძოდ, „გრძელი სიტყვა“ არის „საღმრთო“

საზრისი, „მოკლედ თქმა“ არის საღვთისმეტყველო შინაარსის მხატვრულად, პოეტურად, სახისმეტყველებითად, ალეგორიულად გარდათქმა: „ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები“ (8, 3). ამ შემთხვევაში სიტყვა „საჭოჭმანები“ მხოლოდ საყოფანოს, იმას, რაც ჯობდა არ გაეკეთებინა, არ წიშნავს, არამედ ჭოჭმანი ტექსტის განჩხრებას, დაფარული საზრისის ძიებას, ფიქრს, კვლევას, დაეჭვებას და ქარაგმების გახსნას გულისხმობს. მეორე მხრივ, რუსთაველი საკუთარ თავს იმიტომაც შეახსენებს, რომ საქმე „საჭოჭმანებია“ ანუ საყოფანოა, რომ „ბრძნად მეტყველებად ვეცხლი არს წმიდად, ხოლო დუმილი – ოქროორჩეული“ (ქართული მწერლობა 1987: 524).\*

მაშასადამე, არისტოტელესული განსაზღვრება პოეზიისა, რომლის მიხედვითაც, პოეზია ძევრად ზოგად საზრისის გადმოგვცემს, ვიდრე, მაგალითად, ისტორია, რუსთაველის სიბრძნისმეტყველებითი ტერმინების მიხედვით, უკავშირდება ისეთ ცნებებს, როგორებიცაა „საღმრთო“, „გრძელი სიტყვა“, „საღმრთოდ გასაგონი“. თავის მხრივ, რუსთაველი, როგორც ქრისტიანული მსოფლმხედველობის პოეტი, „საღმრთოსა“ და „მიჯნურობას“ შორის უშუალო კავშირს წარმოაჩენს. აღნიშნულის შესახებ ზ. გამსახურდია წერს: „ასე რომ, ვთქვა „მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა“ ნიშნავს იმას, რომ „მიჯნურობა პირველი“, არის თავად ღმერთი, მისი არსება ტომია ზენა გვართა, ანუ პირთა. მიჯნურობისა და ღვთის იდენტიფიკაცია კი მომდინარეობს ახალი აღთქმიდან, იოანეს ეპისტოლედან“ (გამსახურდია 1991: 124).

ამრიგად, რუსთაველის ბიოგრაფიის შესახებ მნირი ცნობები არ გვაძლევს საშუალებას, დანამდვილებით ვამტკიცოთ, რომ რუსთაველს არისტოტელეს ტექსტები თარგმანებით ან უშუალოდ ძველბერძნულად წაეკითხა, თუმცა არისტოტელეს „პოეტიკისა“ და რუსთაველის შაირობის თეორიის ტიპოლოგიური ანალიზი რუსთაველისა და არისტოტელეს ესთეტიკური შეხედულებების ურთიერთმსგავსებას ცხადყოფს.

\* ციტატა დამოშებულია გიორგი ბერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტიდან, რადგან აღნიშნული ფრაზა სოლომონის იგავთა წიგნის რამდენიმე მულის პერიფრაზია (იგავნი სოლომონისი 10, 19-20) და არა ზუსტი ციტატა.

## დამოცვებანი:

**ამირხანაშვილი 2017:** ამირხანაშვილი ი. „პოეტური კანონი როგორც ხასიათი“. რუსთველოლოგია. VIII. თბილისი: 2017.

**არისტოტელე 2013:** არისტოტელე. პოეტიკა. თბილისი: გამომცემლობა „პეგა“, 2013.

**გამსახურდია 1991:** გამსახურდია ზ. ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991.

**გუგუნავა 2005/2006:** გუგუნავა ლ. კათარზისი „ჰამლეტსა“ და „ვეფხისტყაოსნი“. რუსთველოლოგია. IV. თბილისი: 2005/2006.

**იგავი სოლომონისნი 2017:** „წიგნი იგავთავ, რომელსა ებრაულად ეწოდების „მისლე“ (იგავი სოლომონისნი)“. ბიბლია, სულხან-საბა ირბელიანის რედაქციით. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს: ე. დოჩანაშვილმა, ნ. მელიქიშვილმა და ს. სარჯველაძემ. ქარჩხაძის გამომცემლობა: 2017.

**კარბელაშვილი 2011-2012:** კარბელაშვილი მ. „ვახტანგის „თარგმანი“ ვეფხისტყაოსნისა თანამედროვე მედიევისტიკის კონტექსტში“. რუსთველოლოგია. VI. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011-2012.

**კეკელიძე 1979:** კეკელიძე კ. შოთა რუსთველი და მისი ვეფხისტყაოსანი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1979.

**რუსთაველი 2014:** რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი. სასკოლო გამოცემა, 6. ნათაძის რედაქციით. თბილისი: 2014.

**ქართული მწერლობა 1987:** „გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. ქართული მწერლობა. I. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1987.

**ქართული მწერლობა 1990:** „ანტონ პირველი (თეიმურაზ ბაგრატიონი). წყვბილ სიტყვაობა“. ქართული მწერლობა. VIII. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1990.

**ცხადაი ... 2017:** ცხადაი ზ., ციციშვილი თ. „მესამე ლექსის“ ინტერპრეტაცია აკაკი წერეთლის ლირიკაში“. რუსთველოლოგია. VIII. თბილისი: 2017.

**წერეთელი 2005/2006:** წერეთელი ლ. „ანტონ I-ის „სამი სტილი“, დავით აღმშენებელი და რუსთაველი“. რუსთველოლოგია. IV. თბილისი: 2005/2006.

**ხინთიბიძე 1993:** ხინთიბიძე ე. შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში“. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1993.

## **Comparative Analysis of Aristotle's „Poetics” and Rustaveli's Aesthetic Theory**

### **Summary**

Aristotle's „Poetics” is the earliest surviving work of dramatic theory and first extant philosophical treatise to focus on literary theory. In it Aristotle offers an account of what he calls „poetry”. In examining its „first principles”, Aristotle finds two: 1. imitation and 2. genres and other concepts by which that of truth is applied in the poesis. His analysis of tragedy constitutes the core of the discussion.

Aristotle wrote the rules for the construction of tragedy: Tragic pleasure, or catharsis experienced by fear and pity should be produced in the spectator.

The classification of genres is based on Aristotle's definitions of tragedy in V, VII and XIII chapters of „Poetics”.

Also, Rustaveli, as well as Aristotle, in his poem's prologue presents the classification of genres. It shows the superiority of epic genres.

Rustaveli's conception of poetry is similar to Aristotle's classification of genres. So, the typical and pivotal elements of Aristotle's „Poetics” found reflection in Rustaveli's work.

**ნიზამი და რუსთაველი:  
დრო და ესთეტიკური მრწამსი**

ესთეტიკა, როგორც მხატვრული შემოქმედების ფილოსოფია, კულტურულ-ისტორიული მოვლენაა და მის ფორმებს დრო, ეპოქა და საზოგადოებრივი განვითარების დონე განსაზღვრავს. ლიტერატურის ესთეტიკა, მაღალი გაგებით, მსოფლიო-ისტორიული პროცესის შედეგია და ამიტომ არ შეიძლება ის განვიხილოთ როგორც მხოლოდ ერთი რომელიმე ეროვნული ან რეგიონული კულტურის საკუთრება. ესთეტიკური აზროვნების განვითარებას აქვს თავისი დროითი და მსოფლიმედველობრივი ეტაპები, რომლებიც გამოიჩინება აღქმის მრავალფეროვნებითა და ტიპოლოგიური მსგავსებებით. ერთ-ერთი ასეთი პერიოდია XII-XIII საუკუნეები, მსოფლიო კულტურის განვითარების ის პერიოდი, როდესაც იქმნება, ასე ვთქვათ, წყალგამყოფი შუა საუკუნეებსა და ახალ დროს შორის. ეს ის პერიოდია, როდესაც ინყება საზოგადოების სეკულარიზაცია. რელიგიური იმპერატივი ადგილს უთმობს საერო მოტივაციებს. შესაბამისად, ძვრები მიმდინარეობს ლიტერატურაშიც – იცვლება კანონი, მაგრამ არ იცვლება დამოკიდებულება კანონის უზენაესობის მიმართ. ტექსტის ფორმა და შინაარსი კონვენციურობის, კანონიზირების ახალ ჩარჩოებშია მოქცეული, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ავტორი კარგავს თავისუფლებას, პირიქით, ნორმატიულობა ხელს უწყობს ავტორს, თავისუფლად გამოხატოს იდეალები, რომლებსაც ახალი საზოგადოებრივი გემოვნება უკვეთავს.

ალნიშნული კულტურული გრადაცია საქართველოსა და აზერბაიჯანში ერთდროულად მოხდა და, რა თქმა უნდა, შეგვიძლია ვისაუბროთ ტიპოლოგიურ მსგავსებებზე, ისევე, როგორც განსხვავებებზე, მაგრამ, ჩვენი აზრით, მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ განისაზღვროს რაობა ამ საერთო კულტურული მოვლენისა, რომლის საუკეთესო გამომხატველი არიან ნიზამი და რუსთაველი.

თავის დროზე საინტერესო იყო ნიკოლაი კონრადის მიერ წარმოდგენილი აღმოსავლური რენესანსის კონცეფცია, რომელიც წარმოაჩენდა მსგავსებათა მთელ კასკადს იაპონიიდან პირენემდე (კონრადი 1966). მართლაც, საგულისხმოა, როდე-საც იტალიიდან ძალიან შორს აღმოაჩენ რაღაც ისეთს, როგორიც არის ჰუმანიზმი, აზრის სეკულარიზაცია, რაციონალიზმი, პიროვნების ავტონომიურობა და მისთანანი, მაგრამ აუცილებლად უნდა დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ არსებითია არა მსგავსებანი, არამედ ტიპოლოგიური ურთიერთმიმართებანი (ბატ-კინი 1969:107).

არსებობს თუ არა აღმოსავლური რენესანსი? იყო თუ არა რენესანსი საქართველოში? ეს შეკითხვები დღესაც დაისმის, მაგრამ საკამათო აღარ არის, რომ აღორძინება, რენესანსი არ-სობრივად დასავლური მოვლენაა, რადგან სწორედ დასავლეთში აღორძინდა ის, რაც შეუ საუკუნეებში დაკარგული იყო – ანტიკურობა, ანტიკურობის ესთეტიკა.

რა აღორძინდა აღმოსავლეთში, ძნელი სათქმელია. ჩვენთან მართლაც შეიქმნა თვისობრივად ახალი ესთეტიკა, მაგრამ ეს არის უფრო იმანენტური პროცესი, ვიდრე კონკრეტული რა-დაცის აღორძინება. ამიტომ უმჯობესია ამ მოვლენას ვუნი-დოთ ჰუმანიზმის მსოფლმხედველობა და არა მაინცდამაინც რენესანსი.

შალვა ნუცუბიძე, რომელსაც ეკუთვნის ვრცელი მონოგრა-ფია აღმოსავლური რენესანსის შესახებ, ამტკიცებდა, რომ ნიზამის, რუსთაველისა და ხაგანი შირვანის შემოქმედებაში გამოვლენილი რენესანსული იდეოლოგია საერთო წყაროებიდან უნდა მომდინარეობდეს. მისი აზრით, ეს წყაროებია აღმოსავ-ლეთის ისლამური ფილოსოფია, ხალხური პოეზია და ნეოპლა-ტონური ფილოსოფია (ნუცუბიძე 1976: 375).

რამდენადაც ჰიპოთეტურია ეს მოსაზრება, იმდენად რთულია მისი დასაბუთება.

მეთოდოლოგიურად სავსებით მართებულია ნიგიარ ეფენდი-ევას მოსაზრება, რომ ჩვენ უნდა დავადგინოთ, ესა თუ ის უნი-ვერსალია რამდენად გვეხმარება იმაში, რომ კულტურის ის-

ტორიის საერთო პროცესები გამოვავლინოთ ეროვნულსა თუ რეგიონულ კულტურებში მიმდინარე იმანენტურ პროცესებში (ეფენდიევა 2000:13-14).

როდესაც საერთო კულტურულ პროცესებზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, ვგულისხმობთ პრაქტიკულ კავშირურთიერ-თობებს. ეს კავშირები არსებობდა. მაგალითად, ნიზამის ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან. ზოგი მკვლევრის ვარაუდით, მას ქართული ენაც უნდა სცოდნოდა. ნიზამის ლირიკულ ლექსებსა და პოემებში ხშირად იხსენიება საქართველო, მისი გეოგრაფიული პუნქტები და ისტორიული პირები. იყო ლიტერატურული შინაარსის ურთიერთობებიც (გვახარია 1995:12).

გარდა ამისა, ცნობილია, რომ ხაგანი შირვანი ხშირად სტუმ-რობდა საქართველოს. როგორც ხაგანის ლექსებიდან ირკვევა, მას ბევრი მეგობარი ჰყოლია დასავლეთ საქართველოში, სადაც ქართული ენაც შეუსწავლია.

ნიზამისა და რუსთაველის შემოქმედების მსგავსების პირველი ნიშანი, დილარა ალიევას აზრით, არის ერთნაირი შეხე-დულება ადამიანზე, როგორც შემოქმედსა და თავისი ბედის გამომხატველზე; შემდეგი ნიშანია ჰეროიკული პერსონაჟების რომანტიკული სულისკვეთება; მათვის სიტყვა არის სამყარო-სა და საჯუთარი თავის შემეცნების საშუალება; ორივე პოეტის-თვის სიყვარულის კონცეფცია არის ფილოსოფიური კრედო, რომლის მეშვეობით ნარმოადგენენ ჰუმანისტურ იდეალებს; აგრეთვე, ქალი, როგორც ესთეტიკური იდეალის გამომხატველი; ჰარმონიული საზოგადოების შექმნის იდეა და ჰუმანისტური მსოფლმხედველობის დამკვიდრება (ალიევა 1989:90).

კონკრეტულ მსგავსებებზეც შეიძლება საუბარი. მაგალი-თად, პოემა „ხოსროვი და შირინის“ ერთ-ერთ თავში („შირინის გამეფება“) ნათქვამია, შირინმა ისეთი სამართლიანობა და წე-რიგი დაამყარა, რომ:

„წყალს ერთად სვამდნენ მის სამწყსოში მგელი და ცხვარი“ (ნიზამი 1964: 189); რუსთაველის გმირებმაც ისეთი ჰარმონია დაამყარეს თავიანთ სახელმწიფოებში, რომ:

შიგან მათსა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს.  
(რუსთაველი 1966: 295)

ნიზამისა და რუსთაველის პოემებს აერთიანებს ლხინისა და განცხრომის კულტი და ამ კულტის სიმბოლო – ღვინო; საჩუქრების გაცემა – დიდულოვნების, კეთილდღეობისა და კეთილშობილების ნიშანი; პერსონაჟების სილამაზის მეტაფორებად მზისა და მთვარის გამოყენება; სიგიურე, როგორც სიყვარულის კორელატი; გულში გაჩენილი ცეცხლი – სიყვარულის მეტაფორა; სხვადასხვა შინაარსის მეტაფორებად ძვირფასი ქვებისა და მინერალების გამოყენება.

ორივე პოეტი იყენებს მწვანით შემოსილი გრძნეულის სახეს. ნიზამი პოემაში „ხოსროვი და შირინი“ (თავი „ამაღლება ფაილამბარისა“) ანგელოზის შესახებ წერს:

დააგდო ზეცა შემოსილითა ტანზე მწვანითა.  
(ნიზამი 1964: 420)

შოთა რუსთაველი:

მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა.  
(რუსთაველი 1966:235)

„ისკანდერნამეში“ არის ერთი პერსონაჟი – ნისტანდარჯიხანი, მზეთუნახავი, რომელსაც ისკანდერს მიართმევენ. ნიზამის ნისტანდარჯიხანი და რუსთაველის მზეთუნახავი ნესტან-დარეჯანი იმითაც ჰგვანან ერთმანეთს, რომ ორივე ტყვედ იყო ჩავარდნილი და გმირებმა გამოიხსნეს.

ერთი სიტყვით, არის ზოგიერთი რამ საერთო მათ შემოქმედებაში, თუმცა კონცეპტუალური მნიშვნელობა აქვს არა მსგავსებას, არამედ განსხვავებას როგორც ორიგინალობისა და თავისთავადობის ნიშანს.

ცნობილ ირანისტს მაგალი თოდუას მოჰყავს ინდოელი ფილოლოგის შიბლი ნო' მანის სიტყვები: „ფირდოსი ბრძოლის ველის კაცია და სამიჯნურო ამბების გალექსვა არ ძალუძს; საადი

სატროიალო და დიდაქტიკური პოეზიის მოციქულია, მაგრამ საქმე ომზე რომ მიდგება, უძლური ხდება..., ხაიამი მხოლოდ ფილოსოფიაშია ოსტატი; ჰაფეზი ღაზელებითაა ცნობილი და მეტი არაფრით; ნიზამის კი ომის, მოლხენის, სიყვარულის, ფილოსოფიის, დიდაქტიკის სფეროში უწერია და რაც უწერია, განუმეორებელია“ (თოდეუ 1964:16).

ნიზამის მხატვრული სამყარო ორი ძირითადი არსისგან შედგება. ეს არის მიწიერი სამყარო და ზეციური სამყარო.

„ხამსეში“ ეს თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი. ამქეყყნიური სინამდვილის მთლიანობას ქმნის ყოველი ხილული თუ არახილული არსი: ერთი მხრივ – ადამიანები, ფლორა, ფაუნა; მეორე მხრივ – მითიური და ზღაპრული არსებები, რომლებიც გამოყენებულია შედარებების, მეტაფორებისა და სხვა პოეტური სახეების სტრუქტურის ასაგებად. მოუხელთებელი ფრინველი ანგა მარტობის სიმბოლოა, მძლავრფრთებიანი სიმურგი სიამაყესა და კეთილშობილებას გამოხატავს, სამეფო ჩიტი ხუმაი – ბედნიერებას, ღამის ფრინველი შაბავიზი – სიფხიზლეს.

„ხოსროვი და შირინი“ გვთავაზობს ბუნების პეიზაჟებისა და წელინადის დროთა აღნერას. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი წარმოდგენილია მხატვრულ-ემოციურ სურათებად, რომლებშიც ბუნება და ადამიანი ერთ მთლიანობას წარმოადგენს და შორს არ არის იმ ესთეტიკური საზრისისაგან, რომელიც მოგვიანო ხანაში ჩნდება ანტონიო ვივალდის, იოზეფ პაიდნის, პეტრე ჩაიკოვსკისა და სხვათა შემოქმედებაში.

მინიერი სამყაროს საპირისპირო სივრცეა ზედა მხარე, ცარგვალი ანუ კოსმოსი. ეს არის მეტაფორიზებული სივრცე, რომლის ბინადრები არიან მზე, მთვარე და ვარსკვლავები. არიფ ჰაჯიევის განმარტებით, ნიზამის ზეციური სამყარო – ეს არის მითოლოგიზებული სივრცე, ლიტერატურულ-მხატვრული, ესთეტიზებული სამყარო, ღვთის შესაქმის, როგორც სილამაზის სამყოფელი და გამოვლინება (ჰაჯიევი 2000:112).

არიფ ჰაჯიევის დაკვირვებით, „ხამსეში“ ბუნების სილამაზე ვლინდება გრძნობად-საგნობრივი ფორმების მეშვეობით. ამისათვის ავტორი იყენებს ისეთი მეტალებისა და მინერალების

თვისებებს, როგორებიცაა მარგალიტი, ლალი, ზურმუხტი, აქატი, სარდიონი, საფირონი, ფირუზი, იაგუნდი, ქარვა, მარჯანი, ოქრო, ვერცხლი, ალმასი, მუშკი, ამბრი, ქაფური და სხვა. ისინი ამშვენებენ სამყაროს და, ამდენადვე, წინა პლანზე მოიწევს ბუნების ესთეტიკური ფასეულობის პრობლემა (ჰაჯიევი 2000:85).

„ისკანდერ-ნამეში“ ჰორონიმები (ქვეყნების დასახელებები, სახელწოდებები) გამოყენებულია სტილისტური ფიგურების შესადგენად, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების შესაქმნელად (ჰაჯიევა 2004:142).

ნიზამის პოემები უნდა განვიხილოთ როგორც გარკვეული სისტემა, რომელიც შედგება ერთმანეთან დაკავშირებული ისეთი კომპონენტებისაგან, როგორებიცაა თემა, იდეა, ფაბულა, სიუჟეტი, სახეთა სისტემა, კომპოზიცია, სტილი და ენა, რომლებიც წარმოადგენს ერთ მთლიანობას.

ამ ორიგინალური სისტემის იდეურ-თემატური შინაარსის ანალიზისას წინა პლანზე მოიწევს სისტემის ერთეულთა შორის კავშირის საკითხი. კონკრეტულად რომ ვთქვათ, ყველა ბერას, სიტყვას, ფრაზას, ტროპის სახეს თუ სხვა ფორმას თავისი დანიშნულება აქვს. მათ შორის, ერთ-ერთი საკითხია საკუთარი სახელების გამოყენება.

„საკუთარი სახელები, ისევე, როგორც ნაწარმოების დანარჩენი კომპონენტები, შედის მის ცოცხალ ქსოვილში და ასრულებს ისეთ მნიშვნელოვან ფუნქციებს, როგორებიცაა ემოციურ-ექსპრესიული, სტილისტური, ონომაპოეტური, რაც საშუალებას გვაძლევს ღრმად ჩავწვდეთ თხზულების საზოგადოებრივ-ფილოსოფიურ და იდეურ-თემატურ არსს“ (ჰაჯიევა 2010:4).

ამ კონტექსტში შეგვიძლია განვაზოგადოთ ევგენი ბერტელ-სის აზრი, რომელსაც იგი „საიდუმლოებათა საგანძურის“ განხილვის დროს გამოთქვამს: ნიზამის მთავარი პოეტური ამოცანა – ეს არის ის, რომ გაზარდოს, აამაღლოს თითოეული სიტყვის მნიშვნელობა, მისცეს მას ხვედრითი წონა, გავლენა

მოახდინოს მკითხველის ნებაზე და შეაგუოს გარკვეულ შე-ხედულებებსა და ქცევის ნორმებს (ბერტელსი 1959:99).

ნიზამის ლირიკულ „დივანზე“ დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მისი სახეობრივი სისტემა ეფუძნება სპარსულენოვანი ლირიკის წინა პერიოდის ტრადიციებს, თუმცა ნიზამი ახდენს წინარეფორმების მოდიფიცირებასა და დახვერას. იგივე სისტემა გვაქვს ეპოსში, ძირითადად, პერსონაჟთა პორტრეტულ დახასიათებებში, სასიყვარულო განცდების გამოხატვასა და ლირიკული ექსპრესიების გადმოცემაში, რაც შუა საუკუნეების ტიპოლოგიურ ანალოგს წარმოადგენს. თუმცა ეპიკური გმირების სახეები, განსაკუთრებით ხოსროვისა და შირინისა, მოკლებულია შუასაუკუნეობრივ სტერეოტიპებს. პერსონაჟთა ინდივიდუალიზაცია მიღწეულია ისეთი მეთოდებით, როგორებიც ახასიათებს რომანის უანრულ სპეციფიკას (კალაძე 1984:18).

ნიზამის მხატვრული სახეების ანალიზისას შ. მირზოევა ყურადღებას ამახვილებს ერთ თავისებურებაზე. თითქმის ყველა მხატვრული სახე ცხოვრობს რთული, მდიდარი სულიერი ცხოვრებით. ადამიანი გარესამყაროს ბანალურობაზე მაღლა იმიტომ დგება, რომ მას აქვს უნარი, ჩასწვდეს სამყაროს საიდუმლოს. ნიზამი-ფილოსოფოვისა და ნიზამი-პოეტი ჰარმონიულ ერთიანობაში მოქმედებენ (მირზოევა 1975:114).

ნიზამი ვირტუოზულად ფლობს ნორმატიულ პოეტურ ტექნიკას, მაგრამ ეს ტექნიკა მისთვის თვითმიზანი კი არა, საშუალებაა იმისათვის, რათა წარმოადგინოს ფილოსოფიურ-ესთეტიკური დისკურსი. საბოლოო ჯამში, ტექნიკისა და ოსტატობის დახმარებით ყალიბდება განსაკუთრებული ურთიერთმიმართება, კერძოდ, ეს არის ტექსტის ესთეტიკის მიმართება ყოფიერების ესთეტიკასთან (ეფენდიევა 1998:27).

სამყარო, ნიზამის აზრით, არის სიყვარული, ყველა დანარჩენი ფარისევლობა და ტყუილია. ყველაფერი ამაოა, სიყვარულის გარდა. სადაც სიყვარული არ არის, იქ არც სიცოცხლეა. უსიყვარულოდ მცენარეც კი ვერ გაიხარებს, ყვავილი არ გაიშლება.

პოემაში „ხოსროვი და შირინი“ არის თავი „რამდენიმე სიტყვა სიყვარულის შესახებ“, რომელშიც ვკითხულობთ:

მისდიე ტრფობას, ჭკვიანური ეს არის ტრფობა  
ყველა კარგი და გულკეთილი ტრფობას ეწევა!  
ქვეყნად ტრფობაა, დანარჩენი თვალთმაქცობაა,  
გარდა ტრფობისა, ყველაფერი თამაშობაა.

უსიყვარულოდ ეს ქვეყანა თუ იცოცხლებდა,  
ამ საწუთროში საცხოვრებლად ვერვინ გაძლებდა!  
ვინაც რომ ტრფობას არ განიცდის, სულით მდარეა,  
თუნდაც სიცოცხლე ასი ჰქონდეს, მაინც მკვდარია!

.....

არ ხარობს თესლი, თუ არ არის ტრფობის მარცვალი...  
ზეცა არ ტირის, ვერ იცინის უმისოდ ვარდი...  
სიყვარულია ქვეყანაზე ყველაფრის ფუძე.

(ნიზამი განჯელი 1964:59-60).

ნიზამის მსოფლმხედველობას განსაზღვრავს სწორედ ის  
რწმენა, რომ სიყვარული არის ყოფიერების არსი და ეს, ზ. ა. ყუ-  
ლი-ზადეს აზრით, უნდა იყოს რეგიონში გაბატონებული ფი-  
ლოსოფიური შეხედულებების, უპირველეს ყოვლისა, სუფიზ-  
მის, გავლენის შედეგი (ყული-ზადე 1987:131).

სუფისტური გავლენა ტერმინოლოგიაშიც ჩანს. მაგალითად,  
„სიყვარულში“ იგულისხმება „ლმერთი“. მაგრამ აქ მთავარია  
პოეტური თავისუფლება. ნიზამის მიხედვით, სიყვარული არის  
მიზიდულობა, საყოველთაო მიზიდულობა, დაახლოებით იგივე,  
რასაც ფიზიკოსები გრავიტაციას უწოდებენ.

ნიზამის შემოქმედებაში სხვაგანაც ჩანს სუფისტური ელე-  
მენტები, მაგრამ ის არ არის სუფისტი ამ სიტყვის სრული მნიშ-  
ვნელობით (მუსტაფაევი 1962:33). ნიზამის ფილოსოფიური  
მრნამსის საფუძვლები, ერთი მხრივ, დაკავშირებულია მის თა-  
ნამედროვე აზერბაიჯანულ სინამდვილესთან, მეორე მხრივ, წი-  
ნარე საუკუნეების მსოფლიო ოიტერატურასთან (მაკოველსკი  
1965:121).

როგორც ზ. ა. ყული-ზადე ამტკიცებს, პოემაში „ლეილი და  
მეჯუნი“ სიყვარულის კონცეფცია არ იმეორებს არც სუფიურ  
და არც პერიპატეტიკულ გაგებას, თუმცა მათთან უშუალო

შეხება მაინც აქვს. თუ „ხოსროვი და შირინის“ მთავარი ობიექტია მიწიერ-ზეციური, სულიერ-ფიზიკური სიყვარული, „ლეილი და მეჯნუნში“ ვხედავთ სულიერი საწყისის უპირატესობას. მეჯნუნის სიყვარული – ეს არის უმაღლესი გრძნობა, რომელიც თრგუნავს ხორციელ საწყისს, როგორც შეუთავსებელს ყოფიერების ძირითად პრინციპთან – ჭეშმარიტ სიყვარულთან (ყული-ზადე 1987:145).

საერთოდ, ნიზამის „ხამსეს“ მიხედვით, სიყვარული არის ის ძალა, რომელიც წარმოშობს ყველა არსების დაბადებასა და განვითარებას. ამ ძალის მეშვეობით ბოროტება შეიძლება სიკეთედ გადაიქცეს. სიყვარული არის ნათელი, რომელიც ადა-მიანის კეთილ მომავალს განაპირობებს.

ნიზამი სიყვარულს განიხილავს არა მხოლოდ ორი პიროვნების მიერ ერთმანეთისადმი გამოვლენილ ურთიერთგრძნობას, არამედ როგორც განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელიც მოიცავს ყოველი არსის სულსა და გულს – უმნიშვნელო ქმნილებიდან დაწყებული გიგანტური თანავარსკვლავედებით დამთავრებული (კაფარლი 2001:12-13).

რამდენადაც ღრმად განათლებული ადამიანია ნიზამი, იმ-დენად თავისუფალი პოეტია და ეს ეტყობა მის ესთეტიკას. ის-ლამური თეოლოგიის, იურისპრუდენციისა და ლოგიკის გარდა, ნიზამიმ, ასევე, კარგად იცოდა ანტიკური ფილოსოფია, ასტ-რონომია, ასტროლოგია და გეოგრაფია (გულიზადე 1984:328).

ფართო ერუდიცია დამოუკიდებელს ხდის ნიზამის პოეტურ აზროვნებას. რაციონალური ცოდნის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე პოეტი ქმნის საკუთარ ირაციონალურ სისტემას, რომელშიც ვლინდება მისი პოეტური ხელწერა.

გარკვეულწილად მისაღებია აზრი, რომ ნიზამის მსოფლ-მხედველობაში შეინიშნება სკეპტიციზმი ისეთი საკითხების მიმართ, როგორებიც არის სამყაროს წარმოშობა და შემოქმედის არსი. და რომ აქ ნიზამი ცდილობს ფილოსოფია გამოყოს თეოლოგიისგან, ხოლო ცოდნა – რწმენისგან (მამედოვი 1959:15).

ალსანიშნავია ისიც, რომ ნიზამის ესთეტიკა მკვეთრად გან-სხვავდება საკარო პოეტების შემოქმედებისგან. მისი ესთეტიკა

უფრო ახლოს არის ხალხურ წარმოდგენებთან. ხალხურობის პრიმატი – ეს არის მისი პოზიცია, რის გამოც მას აქტიურად ებრძოდნენ საკარო პოეტები (ეფენდიევა 2013:74).

როდესაც დიდი პოეტების ესთეტიკაზე ვსაუბრობთ, ნება-უნებლიერ წამოიჭრება რომელიმე შემოქმედებით მიმდინარეობასთან ან ფილოსოფიურ მოძღვრებასთან მიმართების საკითხი. აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის იარსებებს, მაგრამ ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს, რომ არ შეიძლება პოეტი მივაკუთვნოთ რომელიმე ფილოსოფიურ მიმდინარეობას. მწერლი, საზოგადოდ, არ შეიძლება ბოლომდე დარჩეს ფილოსოფიური მოძღვრების ადეპტად. მწერლობა და ფილოსოფიური აზროვნება სხვადასხვა კატეგორიას წარმოადგენს და მათი ერთ სიბრტყეზე მოთავსება შეუძლებელია.

შეიძლება ნიზამი კარგად იცნობს და იყენებს კიდეც სუფიზმის, არისტოტელიზმის ან ზოროასტრიზმის კონცეპტებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის არის სუფიზმის, ანტიკური ფილოსოფიის ან ზოროასტრიზმის მიმდევარი. ასევე, რუსთაველის პოეზიაშიც შეინიშნება სუფიზმის, მანიქეიზმის, ნეოპლატონიზმის, არისტოტელიზმისა და სხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობათა ელემენტები, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ის ამ ფილოსოფიურ სისტემათა მიმდევარია, უბრალოდ, მათ იყენებს თავისი ესთეტიკური მრნამსის შესაქმნელად.

ქართული ეროვნული ლიტერატურის ესთეტიკური კანონების კლასიფიცირებისას ირმა რატიანი სამ კულტურულ ვარიანტს გვთავაზობს: შუა საუკუნეების, რომანტიზმისა და პოსტსაბჭოთა პერიოდის მოდელებს. ცალკე ქვესტრუქტურად გამოყოფს „რუსთაველის კანონს“, როგორც დასავლური და აღმოსავლური კულტურული ტრადიციების პირველ სინთეზს ქართულ მწერლობაში (რატიანი 2015:43).

შუა საუკუნეების აზროვნებაში სამი მთავარი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ბაზისი არსებობს: ქრისტიანობა – დასავლეთისა და აღმოსავლეთის ნაწილისთვის; ისლამი – აღმოსავლეთისთვის; ანტიკური ფილოსოფია (პლატონიზმი, არისტო-

ტელიზმი, ნეოპლატონიზმი) – ორივე, აღმოსავლეთ-დასავლეთ, სამყაროსთვის.

რუსთაველი მეტწილად ნეოპლატონიზმს ეყრდნობა, ოღონდ ეს არის „ქრისტიანიზებული“ ნეოპლატონიზმი. ამ ფილოსოფიის ქრისტიანიზება ნაწილობრივ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრებაში მოხდა, ნაწილობრივ რუსთაველის მიერ არის ადაპტირებული პოეტურ აზროვნებასთან.

ნეოპლატონიზმის ქრისტიანიზაცია – ეს არის ნეოპლატონური ემანაციონიზმის შეცვლა ქრისტიანული კრეაციონიზმით. ნოდარ ნათაძის განმარტებით, მაშინ, როდესაც ნეოპლატონიზმისთვის სამყარო წარმოადგენს ერთის ანუ ღმერთის ემანაციის შედეგს, ქრისტიანობისთვის ღმერთი არის ტრანსცენდენტი, რომელმაც თავისუფალი ნების აქტით შექმნა სამყარო არაფრისგან (ნათაძე 1965:183).

რუსთაველთანაც ღმერთი წარმოდგენილია როგორც სამყაროს შემქმნელი და არა როგორც მისი პირველწყარო:

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა.

რუსთაველის ღმერთი არის სრული სიკეთე, ხოლო წუთისოფელი მისი ანტიპოდია, როგორც ბოროტი, მაცდური და მუხანათი. ამ შეპირისპირებას დონალდ რეიფილდი ქრისტიანულ დიქოტომიას უწოდებს (რეიფილდი 2000:77).

რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ესთეტიკური კონცეფია, როგორც სისტემა, კონცენტრირდება სათაურშივე, რომელიც ერთდროულად მეტაფორაც არის, სიმბოლოც და მისტიკური გამოცანაც.

ვეფხვის ტყავის – ამ ტროპული სახის საფუძველი წინარე ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებშია საძიებელი. „ვეფხისტყაოსნანი“ თითემის ყველა კულტურულ სამყაროსთან ამყარებს კავშირს, ამდენად, „ვეფხვის“ „ვეფხვისტყაოსნობის“ კონტაციური არე საკმაოდ ფართოა, მაგრამ საბოლოო ჯამში განახლების, განწმენდის, კათარზისის სიმბოლოდ წარმოგვიდგება (სულავა 2009:80).

რუსთაველის ესთეტიკურ სამყაროს ახასიათებს მწყობრი არქიტექტონიკა. ადამიანი მისი ცენტრია, ხოლო ბუნება – პერიფერიული ესთეტიკური სფეროების არე. თავის მნიშვნელოვან ნაწილში ბუნება მოკლებულია დამოუკიდებლობას. მისი ესთეტიკური ღირებულება ფუნქციურია და არა თავისთავადი. იგი ხან ფონია, ხან ჩარჩო, ხან სალებავების რეზერვუარი პერსონაჟების პორტრეტებისათვის (ნადირაძე 2006:145).

რაც შეეხება პერსონაჟებს, „ვეფხისტყაოსანში“ მეტაფორიზებულია ყველაფერი, რისი წარმოდგენაც შეიძლება ამ მხრივ – ადამიანის გარეგნობა, ხასიათი, საქციელი, ფიქრი, ოცნება, განცდა. აյ ხშირია მეტაფორებად ისეთი ძვირფასი ქვების გამოყენება, როგორებიცაა ლალი, ბადახში, მარგალიტი, ალმასი, ბროლი, გიშერი, ძონი, სათი, მინა, აყიყი, იაგუნდი, ამარტა, ქარვა და სხვ.

მეტაფორიზაციის აქტიური სახეებია ლომი, ვეფხვი, ვარდი, მზე...

რუსთაველი ყველაზე ხშირად ახსენებს სიტყვა „მზეს“, რომელსაც მრავალ კონტექსტში იყენებს და ასტროლოგიური მოძღვრების მთელ სპექტრს წარმოგვიდგენს, მაგრამ უმეტესწილად სიყვარულის, სილამაზის, სიცოცხლის, თავისუფლების გამომხატველად გვისახავს.

საინტერესო ესთეტიკური მოვლენა გვხვდება პოემის 836-ე სტროფში, სადაც ავთანდილი მზეს მიმართავს: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად“. მატერიალური მზე წარმოდგენილია ღვთის სიმბოლოდ, თვით ღმერთი კი არის „მზიანი ღამე“ და „უჟამო ჟამი“.

მზეს ღვთის ხატად თვლიან ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენლებიც და გნოსეოლოგებიც, ანტიკური ნეოპლატონიკოსებიც და ქრისტიანი ნეოპლატონიკოსებიც, მაგრამ, როგორც ირკვევა, რუსთაველთან ეს სიმბოლო ქრისტიანული თეოლოგიდან მომდინარეობს (ნოზაძე 1963:119).

საერთოდ, რუსთაველის მიერ გამოყენებული ბევრი ხატოვანი თქმა და მხატვრული სინტაგმა ბიბლიიდან მომდინარეობს ან ბიბლიური რეალიების ფილოსოფიური გადააზრებაა.

ქრისტიანულ კულტურასთან ერთად, რუსთაველის ესთეტიკის საფუძველს წარმოადგენს აღმოსავლური კულტურა. პიეტის კარგად სცოდნია სპარსული და არაბული ენები, იცნობდა სპარსულ და არაბულ კულტურებს, ღრმად იყო ჩახედული აღმოსავლური ლიტერატურის ისტორიაში. რუსთაველური მიჯნურობა, გრძნობის კულტი, ველად გაჭრისა და დაბნედის მოტივები სწორედ აღმოსავლური მწერლობიდან აქვს ათვისებული. ასახელებს კიდეც პოპულარულ პერსონაჟებს: ვისსა და რამინს, ყაისსა და მეჯნუნს.

რუსთაველის კონცეფციით, სიყვარული ღვთაებრივი გრძნობაა, ღვთისგან გვეძლევა. სიყვარული, როგორც ამქვეყნიური, ადამიანური გრძნობა, ბაძავს ღვთაებრივ გრძნობას, პირველ სიყვარულს, რომელსაც რაციონალურად მოაზროვნე, პრაქტიკული გონიერების ადამიანები ვერ ჩასწვდებიან. იმისათვის, რომ ღვთაებრივი სიყვარული გაიგო, საჭიროა სიშმაგე, სასიყვარულო გახელება.

რუსთაველი სიყვარულს განიხილავს როგორც ეთიკურ, ისე ესთეტიკურ პლანში. სიყვარული, მისი აზრით, უმაღლესი სათნოებაც არის და უმაღლესი მშვენიერებაც.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ კონცეფციას თუ გავითვალისწინებთ, მართებულია მოსაზრება, რომ რუსთაველი ხატავს სიყვარულს არა მხოლოდ ისეთად, როგორიც უნდა იყოს, არა-მედ ისეთად, როგორიც ის არის (ნათაძე ... 1966:93).

სიყვარულის მსგავსად, მეგობრობაც და გმირობაც ეთიკური სფეროდან თავისუფლად გადადის ესთეტიკურ სფეროში, რადგან მშვენიერია, როდესაც ადამიანი ბოლომდე ავლენს მეგობრობას ანუ მოყვასისადმი სიყვარულის გრძნობას და მშვენიერია, როდესაც ადამიანი საჭირო მომენტში ავლენს გმირობას და თავს წირავს მოყვასისათვის.

გიორგი ნადირაძე „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ფერწერის ხუთ ესთეტიკურ ფენომენს გამოყოფს: ცის მნათობები, ყვავილები (ძირითადად ვარდი), ძვირფასი ქვები, ცხოველები (ლომი და ვეფხვი), მცენარეები (ალვა და სარო). აქედან ყველაზე პოპულარულია მზე. რუსთაველი მზეს მიიჩნევს ბუნების უმაღ-

ლეს მშვენიერებად. ამ თვალთახედვას მეცნიერმა „ესთეტიკური სოლარიზმი“ უწოდა (ნადირაძე 2006:148).

რუსთაველისთვის ფერი შეიძლება მივიჩნიოთ შემოქმედების იმ ძირითად კატეგორიად, ურომლისოდაც პოეტური სახე არ განხორციელდება (გოგიბერიძე 1961:278).

ფერთა სიმბოლიზმი „ვეფხისტყაოსანში“ დიდად არ განსხვავდება შუა საუკუნეების ფერთა სიმბოლიზმისგან. როგორც აღმოსავლური და დასავლური სიმბოლიზმი, ისე ქართულიც კულტურის ერთ კონტექსტში თავსდება. ვიკორ ნოზაძის დასკვნით, რუსთველური ფერთა სიმბოლიზმი ეპოქის კულტურის სახეს გვიჩვენებს (ნოზაძე 2004:511).

რევაზ სირაძე ყურადღებას მიაქცევს იდუმალების ესთეტიკას. იგი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ იდუმალების ფენომენს წარმოადგენს არა მხოლოდ რელიგიურ-მისტიკური პასაუჭები, არამედ არაერთი რეალისტური სახეც: ესთეტიკურ განცდას ბადებს, ერთი მხრივ, დაფარული შინაარსის ამოცნობა, მეორე მხრივ, შეუცნობლობის, ამოუხსნელობის, მიუნვდომლობის გრძნობის გაჩენა (სირაძე 2012:45).

უფრო შორს მიდის ზვიად გამსახურდია, რომლის აზრით, რუსთაველი მხატვრული პირობითობის ენაზე ასახავს ინიციაციური სიბრძნის ძირითად იდეებს. მხატვრული ენის მეშვეობით ქმნის სინკრეტული ეზოთერიზმის სინთეზს. პოეტის მიზანია, ეზოთერულ-ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე შეაჯამოს კაცობრიობის სულიერი განვითარების განსხვავებული გზები. ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ სიმბოლური აზროვნები-სთვის ძირითადი გასაღებია ანტიკურობისა და შუა საუკუნეების ეზოთერული სიბრძნე (გამსახურდია 1991:342).

„ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელოვან პლასტს წარმოადგენს პარადიგმული სახეებისა და სიტყვათა პინარული მნიშვნელობები, რომლებშიც წარმოჩინდება რუსთაველის ინდივიდუალობა, მისი ხედვის მასშტაბურობა, საერთო კულტუროლოგიური ცოდნა, გარდაქმნილი ესთეტიკურ ნააზრევად (გონჯილაშვილი 2017:283).

რუსთაველის პოემის ერთ-ერთი მთავარი კონცეპტია ბო-როტების არასუბსტანციურობის ნეოპლატონური თეორია, რომელიც ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიიდან მომდინარეობს: თუკი ქვეყანა შექმნა ღმერთმა, რომელიც სიკ-ეთის უზენაესი გამოხატულებაა და ბოროტებას თავისი არსი, თავისი სუბსტანცია არ გააჩნია, ის უბრალოდ სიკეთის დაბა-ლი ხარისხია, მაშინ ბოროტება დიდხანს ვერ იარსებებს, მას საბოლოოდ მაინც სძლევს სიკეთე, რომლის არსებობაც უსას-რულოა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“ (1351-ე სტროფი).

რუსთაველის ფილოსოფიაში ჰეტეროგენულ, არაქრისტი-ანულ ელემენტებს შორის ყველაზე ხშირად ასახელებენ ანტი-კურ ფილოსოფიასა და ნეოპლატონიზმს. პოემაში დამოწმე-ბულია პლატონის, არისტოტელეს, ემპედოკლეს, ჰერაკლიტეს, პროკლე დიადოხოსისა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის აზრები. რუსთაველის ესთეტიკასთან ყველაზე ახლოს დგას ნეოპლატონიზმის ქრისტიანული ინტერპრეტაცია, რომელიც XII საუკუნეში განახორციელა ქართველმა ფილოსოფოსმა იოანე პეტრინმა. იოანემ ქართულ ენაზე თარგმნა პროკლეს „თეოლოგიის ელემენტები“ და დაურთო ვრცელი კომენტარები, რომლებშიც მოცემულია ნეოპლატონიზმის ქრისტიანიზაცი-ის ცდა, რაც იმით გამოიხატა, რომ ნეოპლატონურ თეორიაში გაჩნდა პერსონალური ღმერთის იდეა.

ცნობილი ღვთისმეტყველის, პაველ სვეტლოვის მტკიცე-ბით, რუსთაველი არ არის წარმართი, არც პანთეიისტი. ის მონო-თეოსტია, რომელიც აღიარებს ომერთს, როგორც შემოქმედს... მისი აზრით, პოემაში შეინიშნება პლატონის ფილოსოფიის იმ ნაწილის კვალი, რომელიც ქრისტიანობასთან უფრო ახლოს არის (სვეტლოვი 2018:249).

ვერ ვიტყვით, რომ რუსთაველი პირდაპირ მიჰყვება ან გად-მოაქვს რომელიმე დასავლური თუ აღმოსავლური მოძღვრება. უბრალოდ, ის ეხმიანება თავისი ეპოქის სააზროვნო სტილს, ან ეს სტილი ზემოქმედებს მასზე.

აკაკი განერელიას მოსწრებული თქმით, რუსთაველი ფილოსოფიურ-რელიგიურ იდეათა მოზაიკის ოსტატი არ ყოფილა, მაშინ ის რუსთაველი არ იქნებოდა (განერელია 1977:16).

ვფიქრობთ, გასაზიარებელია შემდეგი მოსაზრება: როდესაც რუსთაველის მსოფლმხედველობაზე ვსაუბრობთ, ზუსტად შუა საუკუნეების ქრისტოლოგიაზე ან ზუსტად რენესანსულ აზროვნებაზე კი არ უნდა შევჩერდეთ, არამედ საკუთრივ XII-XIII საუკუნეების, ანუ გვიანდელი შუა საუკუნეების ქრისტიანული ცივილიზაციის ეტაპზე. ამ ეპოქის აზროვნებას უნდა მივუსადა გოთ „ვეფხისტყაოსნის“ იდეური სამყარო და ამავე ეპოქის მსოფლშეგრძნების ბაზაზე უნდა გამოვალინოთ რუსთაველის მხატვრული სიტყვის მნიშვნელობა მსოფლიო კულტურის კონტექსტში (ხინთიბიძე 2009:771-772).

უფრო ზოგადი თვალსანიერიდან თუ გადავხედავთ, რუსთაველის მსოფლმხედველობას განსაზღვრავს სამი ძირითადი უნივერსალია: რწმენა, იმედი, სიყვარული. ეს კარგად ვლინდება სიუჟეტში, რომელიც მიემართება ესქატოლოგიური დასასრულისკენ იმ რწმენით, რომ ბოროტს სძლევს კეთილი, და რწმენადა იმედი შეერთდება საღმრთო სიყვარულში (კარიჭაშვილი 2011:30).

„ვეფხისტყაოსანში“ ერთმანეთს თანხვდება ორი გზა – ტრადიციული და ნოვატორული. ერთი მხრივ, რუსთაველი შვილია თავისი ეპოქისა, ერთგულად მიჰყვება ამ დროის იდეოლოგიასა და მორალს; მეორე მხრივ, ახალი, პროგრესული იდეები გადმოიაქვს ქართულ ეროვნულ ნიადაგზე. სიახლეს, რომელიც თავს იჩენს პოემის სტრუქტურაში, განაპირობებს ის, რომ რუსთაველი ახლოს არის შუა საუკუნეების მოწინავე აზროვნებასთან, რის შედეგადაც პოეტის შემოქმედებაში ჩნდება იდეები და ტენდენციები, რომლებსაც შემდეგ რენესანსი განახორციელებს (ელბაქიძე 2007:173-174).

დაბოლოს, სავსებით ნიშანდობლივია მორის ბოურას სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“ ისეთი ქართული ნაწარმოებია, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთსაც ერთნაირად გასცერის და მაინც იგი წმინდა ეროვნული ხასიათისაა“ (ბოურა 1966:17).

## **ƏLAHƏMƏHƏBƏK:**

- ƏLİNİYƏ 1989:** Aлиева, Д. *Низами и грузинская литература*. Баку: издательство «ЭЛМ», 1989.
- ƏSƏRÇİBƏ 1969:** Баткин, Л. М. *Тип культуры как историческая целостность*. Вопросы философии, №9. Москва: 1969.
- ƏYRƏTİLƏSİ 1956:** Бертельс, Е. Э. Низамию Москва: издательство Академии наук СССР, 1956.
- ƏMƏRŞƏR 1966:** Əmərşər, Ə. Հեղեղիսթքառսանո. თბილიսი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966.
- GAŞSASƏURDİA 1991:** გამსახურდია, ზ. Հեղեղիսթքառսანის სახისმეტყველება. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1991.
- GAŃŻEŁO 1964:** განჯელი, ნ. „�ولسروვი და შირინი“. თარგმნილი სპარსულიდან ამბაკო ჭელიძის მიერ. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.
- GAŃŻEŁO 1977:** განჯელია, აკ. რჩეული ნანერები. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1977.
- GGAWAŞARIA 1995:** გვაშარია, ალ. ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან. ტ. 1. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1995.
- GHOGİBƏRİDĘ 1961:** გოგიბერიძე, მ. რუსთაველი. პეტრინი. პრელუდიები. თბილისი: გამომცემლობა „საბჭ. საქართველო“, 1961.
- GHONZILOŞVİLI 2017:** გონჯილაშვილი, ნ. „Հեղեղիսթքառսანის“ მხატვრული სამყაროს გააზრებისათვის. თბილისი: გამომცემლობა „ბიბლიო“, 2017.
- GUŞLICHƏDƏ 1984:** Гулизаде, М. Ю. Низами Ганджеви, *История всемирной литературы в девяти томах*, т. II. Москва: издательство «Наука», 1984.
- ƏLƏBDƏK 2007:** Ələbdək, Ə. Հեղեղիսթքառսանու პոეტիզու ზოგიერთი სաკიտხ შუასაუკუნეების ფრანგულ რაინდულ რომანთან ტიპოლოგიურ მიმართებაში. თბილისი: 2007.
- ƏFƏNDİYƏ 1998:** Эфендиева, Н. *Эстетика Низами*. Баку: издательство «Мутарджим», 1998.
- ƏFƏNDİYƏ 2000:** Эфендиева, Н. *Эстетико-культурологический анализ творчества Низами Гянджеви*. Автореферат диссертации, Баку: 2000.

**ეფენდიევა 2013:** Эфендиева, Т. *Роль Низами в восточной литературе*. კულტურაშორისის კომუნიკაციები. №20, თბილისი: 2013.

**თოდება 1964:** თოდება, გ. ზოგი რამ ნიზამის „ხოსროვშირინიანის“ შესახებ; ნიზამი განჯელი, „ხოსროვი და შირინი“. თარგმნილი სპარსულიდან ამბაკო ჭელიძის მიერ. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.

**კალაძე 1984:** Каладзе, И. В. «Об эпическом и лирическом творчестве Низами и Руставели». Всесоюзная научная конференция «Роль Низами в развитии лирики в мировой литературе и 800-летие создания поэмы «Хосров и Ширин». Тезисы докладов, 22-23 ноября 1984 года. Баку: издательство «ЭЛМ», 1984.

**კარიქატვილი 2011:** კარიქატვილი, ლ. „ვეფხისტყაოსანი“ და პოსტმოდერნიზმი. თბილისი: 2011.

**კაფარლი 2001:** Кафарлы, Р. *Философия любви на древнем востоке и Низами*. Санкт-Петербург: издательство «Леила», 2001.

**კონრადი 1966:** Конрад, Н. И. *Запад и Восток*. Москва: 1966.

**მაკოველსკი 1965:** Маковельский, А. О. *О ошибочных интерпретациях философии Низами*. Известия академии наук Азербайджанской ССР. Серия общественных наук, №6, Баку: 1965.

**მამედოვი 1959:** Мамедов, Ш. Ф. *Философские и общественно-политические взгляды Низами (лекции)*. изд. МГУ, 1959.

**მირზოევა 1975:** Мирзоева, Ш. Проблема художественного образа в эстетике Низами. Известия академии наук Азербайджанской ССР, Баку: издательство «ЭЛМ», 1975.

**მუსტაფაევი 1962:** Мустафаев, Дж. *Философские и этические воззрения Низам*. Баку: издательство академии наук Азербайджанской ССР, «ЭЛМ», 1962.

**ნადირაძე 2006:** ნადირაძე, გ. რუსთაველის ესთეტიკა. თბილისი: 2006.

**ნათაძე 1965:** ნათაძე, ნ. რუსთველური მიჯნურობა და რენესანსი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭ. საქართველო“, 1965.

**ნათაძე ... 1966:** ნათაძე, ნ.; ცაიშვილი, ს. შოთა რუსთაველი და მისი პოემა. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1966.

**ნოზაძე 1963:** ნოზაძე, ვ. ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება. პარიზი: 1963.

**ნოზაძე 2004:** ნოზაძე, ვ. „ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება“. თხზულება-თა სრული კრებული ათ ტომად გ. შარაძის საერთო რედაქციით. ტ. I. თბილისი: 2004.

**ნუცუბიძე 1976:** ნუცუბიძე, შ. „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“, შრომები, ტ. IV. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1976.

**რატიანი 2015:** რატიანი, ი. ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი. შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი: 2015.

**რეიფილდი 2000:** Rayfield, D. *The Literature of Georgia*. Curzon: 2000.

**რუსთაველი 1966:** რუსთაველი, შოთა. „ვეფხისტყაოსანი“, სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი. თბილისი: 1966.

**სვეტლოვი 2018:** სვეტლოვი, პ. „წერილი კალისტრატე ცინცაძის მიმართ; ნუგზარ პაპუაშვილი, პავლე სვეტლოვი – კალისტრატე ცინცაძეს რუსთაველის შესახებ“. კრებულში: ელენე მეტრუველი 100. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი: 2018.

**სირაძე 2012:** სირაძე, რ. „ვეფხისტყაოსნის“ ცნებათმეტყველებანი და სახისმეტყველებანი“. რუსთველოლოვია. VI. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012.

**სულავა 2009:** სულავა, ნ. „ვეფხისტყაოსანი“ – მეტაფორა, სიმბოლო, ალუზია, ენიგმა. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2009.

**ყული-ზადე 1987:** Кули-Заде, З. А. *Теоретические проблемы истории культуры востока и низамиведения*. Баку: издательство «ЭЛМ», 1987.

**ხინთიბიძე 2009:** ხინთიბიძე, ე. ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობრივი სამყარო. „ქართველოლოვი“, თბილისი: 2009.

**ჰაჯიევა 2004:** Гаджиева, В. *Ономастическое пространство поэмы «Искандер-Наме» Низами Ганджеви*. Баку: издательство «ЭЛМ», 2004.

**ჰაჯიევა 2010:** Гаджиева, В. *Типология поэтика-стилистических функций имен собственных в творчестве Низами Ганджеви*. Баку: издательство «ЭЛМ», 2010.

**ჰაჯიევი 2000:** Гаджиев, А. *Ренессансный мир «Хамсе» Низами Ганджеви*. Баку: издательство «Мутарджим», 2000.

## **Nizami and Rustaveli: Time and Aesthetic Beliefs**

### **Summary**

The development of aesthetic thought has its temporal and worldview stages, which are distinguished by the diversity of perceptions and typological similarities. One of such periods is considered to be XII-XIII centuries which mark the beginning of secularization of the society. The religious imperative gives place to secular motivations. Consequently, shifts also occur in literature – the law changes, but the attitude to the superiority of the law does not change. The form and content of the text appear in a new framework of conventionality, canonization, although this does not mean that the author loses freedom, on the contrary, normativity encourages the author freely express the ideals that the new public taste orders.

The aforementioned cultural gradation occurred simultaneously in Georgia and Azerbaijan, and, of course, we can talk about typological similarities as well as differences, but the main thing is to determine the essence of this general cultural phenomenon which best of all is expressed by Nizami and Rustaveli.

According to the majority of scholars, the first sign of similarity between the creativity of Nizami and Rustaveli is the same approach to man as a creator and exponent of his own destiny; the next sign is the romantic spirit of heroic characters; for them the word is a means of knowing the world and oneself. For both poets, the concept of love is a philosophical credo through which they present humanistic ideals; also, woman as an expression of the aesthetic ideal; the idea of creating a harmonious society and establishing a humanistic outlook. These are the issues we are mainly dealing with in the research part of the paper.

## ისტორიული ტოპოსები

ლია კარიჭაშვილი

კიდევ ერთხელ შოთა რუსთაველის შესახებ  
(გამოხმაურება ვლადიმერ ჭელიძის ნაშრომზე  
„ჰერეთის ერისთავი შოთა“ („რუსთველიანას“ კვალდაკვალ)

სამეცნიერო კრებულ „რუსთველოლოგიის“ VIII ნომერში რუბრიკით „ისტორიული რეალიები“ გამოქვეყნდა ვლადიმერ ჭელიძის ნაშრომი „ჰერეთის ერისთავი შოთა“. მკვლევრის მიზანია მეტი არგუმენტი წარმოადგინოს პავლე ინგოროვას იმ თეორიის გასამყარებლად, რომლის მიხედვით, ჰერეთის ერისთავი შოთა იგივე შოთა რუსთველია, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. ამავე დროს, ავტორი ცდილობს სათანადო ისტორიული ფაქტებისა და პოემის შინაარსობრივი მონაცემების თანხვედრების საფუძველზე დაასაბუთოს, რომ პოემა შექმნილია თამარის მეფობის შემდგომ ეპოქაში.

მკვლევარმა აღნიშნული ნაშრომის თავდაპირველი ვერსია მოხსენების სახით წაიკითხა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ერთ-ერთ სხდომაზე. ამას მოჰყვა ძალზე საინტერესო დისკუსია, რომლის ამსახველი მასალები ლადო ჭელიძისა და ნიკა სანებლიძის ავტორობით, დაიბეჭდა გაზეთ „ქართული სიტყვის“ ფურცლებზე (ჭელიძე 2019).

„რუსთველოლოგიის“ მკითხველი ნაშრომის შევსებულ ვერსიას გაეცნო.

ლადო ჭელიძე წარმოადგენს უამთააღმნერლის მატიანიდან იმ ფრაგმენტებს. რომლებშიც მოხსენიებულია შოთა ჰერეთის ერისთავი და ცდილობს ახლებური ინტერპრეტაცია მოგვცეს ზოგიერთი მონაცემისა, მაგალითად, უამთააღმნერლის ცნობას ჰერეთის ერისთავის შესახებ – „მანისა ფერობისათვის კუპრო-

ბით „უხმობდნენ“, რომელსაც სხვადასხვანაირად განმარტავ-დნენ პავლე ინგოროვა, კორნელი კეკელიძე და სხვანი, ასე გვიხსნის: „ალნიშნული ეპოქის (XI-XIII) ქართულ სალიტერატურო პროცესში დამკვიდრებული ელინოფინური სამწერლო ტრადიციიდან გამომდინარე, აქ პირველი სიტყვა „მანისა“, უნდა იყოს ბერძნული ნარმომავლობის ტერმინი მანია ... რომელსაც როგორც მეტაფორას აქვს მნიშვნელობა – ძლიერი მიდრეკილება რაიმესადმი“ (75). მკვლევარი ფიქრობს, რომ ძველი ქართულით ამ სიტყვის შესატყვისია ხელი, შმაგი. ამის კვალად კი „მანისა ფერობისათვის“ ესმის, როგორც ხელობისათვის, შმაგობისათვის.

ამდენად, ლადო ჭელიძის აზრით, უამთაამწერელი მიანიშნებს, რომ ჰერეთის ერისთავს „კუპრივით შესახედაობის მქონეს, გახელებულს, გაშმაგებულს უწოდებდნენ“ (76). ამ ყოველივეს გამოძახილს კი ხედავ პოემის პროლოგში:

მე რუსთველი ხელობითა.... (8)  
მიჯნური შმაგსა გვიქვიან ... (22).

უამთაამწერლის კრიტიკული დამოკიდებულება ჰერეთის ერისთავისადმი მკვლევრის მიერ ახსნილია იმით, რომ ის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორია. „მხატვრული გამონაგონის გადმოცემისა და ამბის ალეგორიულ-ნართაული საშუალებებით ასახვის პრინციპი (ლიტერატურული ფიქცია) უამთაამწერლის-თვის ასევე მიუღებელია, რადგან მისი შემოქმედებითი და შემეცნებითი პრიორიტეტი ჭეშმარიტების მეტყველება არს და არა თვალახმა ვისთვისმე“ (77).

ლადო ჭელიძე ცდილობს მოგვცეს „კუპარის“ განმარტება, რომელიც, მისი აზრით, ნარმომავლობის მიმანიშნებელია და არა მეტსახელი. იგი ვარაუდობს, რომ ტექსტის პირველწყაროში იკითხებოდა არა „კუპარი“, არამედ „კუხარი“, ნარმომავლობის აღმნიშვნელი ტოპონიმი, რომელიც ჰერეთის მიმდებარე ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის სახელწოდებაა და კახეთ-ჰერეთის („ჰერ-კახთა“) სამეფო-სამთავროსთან იყო გაერთიანებული.

მკვლევრის აზრით, რუსთაველის წარმომავლობისა და თანამდებობრივი მდგომარეობის „პირველსახე“ ასე შეიძლება აღვადგინოთ: „ჰერეთის ერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი შოთა კუ[ხ] არი-რუსთაველი.

ლადო ჭელიძე მსგავსებას ხედავს უამთააღმწერლის მატიანეში გადმოცემულ ამბებსა და „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ ეპიზოდებს შორის. მაგალითად, მისი აზრით, მსგავსია ახალგაზრდა მეფე ლაშა-გიორგის პირველი ლაშქრობა მოხარკე ქვეყნის, განძის, ნინააღმდეგ და პოემაში ტარიელის ბრძოლა ინდოეთის მოხარაჯე ქვეყნის ხატაეთის დასამორჩილებლად; აგრეთვე, მონძლოლთა მიერ ალამუთის ციხის ასაღებად შვიდნლიანი ომის დროს ჩაღატა ნოინის მკვლელობა და პოემაში ხვარაზმშას ძის მკვლელობის ეპიზოდი. მკვლევარი ფიქრობს, რომ ცოტნე დადიანის ზნეობრივი გმირობა მხატვრულ-შემეცნებით განზოგადებას პოულობს აფორიზმში: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანად ესახება მკვლევარს პოემის სამი გმირის მიერ ქაჯეთის ციხის აღების საომარი ტაქტიკის მსგავსება „ასწლოვან მატიანეში“ აღნერილ ბალდადის ციხე-ქალაქის დაპყრობის საბრძოლო ეპიზოდებთან, რომელშიც უშუალოდ მონაწილეობდა დავით ულუ. ნესტანდარეჯანის საქმროდ ხვარაზმშას ძეს შერჩევის ეპიზოდი კი მკვლევარს აგონებს ჯალალ ედინის მიერ რუსუდან დედოფლისთვის ქორწინების შეთავაზებას. ამ ისტორიული ფაქტის აღუზია, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩენილა რუსთველოლოგიაში. კორნელი კეკელიძე ვარაუდობდა, რომ „იქნება ხვარაზმშას შვილის ინდოეთში სიძედ გახდომისა და მისი გამეფების განზრახვა, რომელიც პოემით ვერ განხორციელდა, სიტყვაგადაკვრით გულისხმობდეს ჯალალ-ედ-დინ ხვარაზმელის სურვილს რუსუდანის ცოლად შერთვისა და საქართველოში გამეფებისა, რომელიც აგრეთვე უშედეგოდ დარჩა“ (კეკელიძე 1981: 160).

ლადო ჭელიძისთვის მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ტყვეობის შემდეგ დაბრუნებულ დავით ულუს სხვებთან ერთად

ჰერეთის ერისთავი შოთა მიეგება. ეს საქმარის საფუძვლად მიაჩნია მკვლევარს იმისათვის, რომ სწორედ დავით ულუ მოიაზროს ეპილოგის ტაქტი: „ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსახურებს სარებლად.“

მკვლევარი იხსენებს ველისციხელ ქალზე ლაშა-გიორგის მიჯნურობის ამბავს და ფიქრობს, რომ ამგვარი მწველი სიყვარულით არის შთაგონებული რუსთველური მიჯნურობა. ტოპონიმ „ველის ციხის“ გამოძახილს ხედავს პოემაში და ფიქრობს, რომ აღნიშნული სიტყვა განზოგადებულ მეტაფორულ მნიშვნელობას იძენს პროლოგის სტრიქონებში: „აჰა, გული გამიჯნურდა, მიხვდომია ველთა რბენა“, „მისთვის ველთა გამოვარდეს“ და სხვა.

წარმოდგენილი ისტორიული და მხატვრული კონტექსტების მსგავსება-პარალელები მკვლევარს საფუძველს აძლევს გამოთქვას თვალსაზრისი, რომ პოემა ასახავს არა მხოლოდ თამარისა და დავით სოსლანის, არამედ ლაშა-გიორგისა და რუსუდანის მეფობის თანადროულ ეპოქას, ამდენად, „ვეფხისტყაოსანი“ მას დავით ულუს მეფობის დროს (1247-1270), უფრო კონკრეტულად კი მე-13 საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯნაზე შექმნილად მიაჩნია.

ასეთი ლადო ჭელიძის მოხსენების ძირითადი დებულებები.

ვიდრე უშუალოდ „ვეფხისტყაოსანის“ შექმნის ეპოქის ვერსიებზე ვისაუბრებდე, მინდა გამოვეხმაურო ბატონი ლადო ჭელიძის თვალსაზრისი, რომ „როგორც ჩანს, ამგვარი მწველი სიყვარულის ამბავი (იგულისხმება ლაშა გიორგისა და ველისციხელი ქალის სიყვარული) დაედო საფუძვლად რუსთველურ მიჯნურობას“. შევნიშნავთ, რომ რუსთველური მიჯნურობის ერთადერთი მიზანი საღვთო სიყვარულის გადმოცემაა. ადამიანური სიყვარულის გადმოცემა („ვთქვნე ხელობანი ქვენანი“) პოეტს სჭირდება იმდენად, რამდენადაც ის ბაძავს და განასახოვნებს ღვთიურს. ეს ყოველივე ქრისტიანული თეოლოგიის სიღრმიდან არის ამოზრდილი და ალეგორიული ფორმით გადმოცემული, ამგვარი ალეგორიზმის პირველ ნიმუშს თვით ბიბლიური წიგნი „ქებათა ქება“ წარმოადგენს.

პროლოგისეული მიჯნურობის თეორიის, პოემის სიუჟეტში სიყვარულის მოტივის, რუსთაველის მსოფლმხედველობის, სათანადო ცნებათმეტყველებისა და სახისმეტყველების შესწავლის საფუძველზე ეს ყოველივე საკმაოდ კარგად არის დასაბუთებული კორნელი კეკელიძის, ზვიად გამსახურდიას, რევაზ სირაძისა და სხვათა ნაშრომებში. ამდენად, ველისციხის ტოპონიმური გამოძახილის დანახვა მიჯნურის „ველად გაჭრასა“ და „ველთა რბენაში“ (რაც აღმოსავლურ ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებული მოტივია), შესაბამისად, ლაშაგიორგისა და ველისციხელი ქალის სიყვარულის წარმოდგენა რუსთველური მიჯნურობის მოტივაციად ტექსტის თავისუფალ ინტერპრეტაციად მიგვაჩინია.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანის“ შექმნის სავარაუდო თარიღს, ტრადიციულად მიიჩნევდნენ, რომ პოემა შეიქმნა XII საუკუნის გასულს და XIII საუკუნის პირველ ათეულში; ის თამარ მეფეს ეძღვნება და მისსავე სიცოცხლეში არის დაწერილი („მიბრძანეს მათად საქებრად ...“). პროლოგისეულ მეტაფორაში „ლომი“ („ვის შვენის ლომსა ...“) და ეპილოგის ტაეპში „დავითის ქნანი ვითა ვთქვნე...“ დავით სოსლანის სახეს მოიაზრებენ. თამარ მეფე და დავით სოსლანი 1189 წელს დაქორწინდნენ, 1207 წელს დავითი გარდაიცვალა, ამიტომაც 1189-1207 წლები მიიჩნევა დროის იმ მონაკვეთად, რომელშიც დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“. ასე ფიქრობდა პავლე ინგოროვაც. მისი კონცეფციით, „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია XII საუკუნის ბოლოს ან XIII საუკუნის დასაწყისში, 1196 წლის შემდეგ არა უგვიანეს 1207 წლისა, მონღოლთა გამოჩენამდე. ამისათვის მას, ცხადია, სათანადო არგუმენტაცია ჰქონდა, მათ შორის ისიც, რომ ხვარაზმი „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილია, როგორც ძლიერი სახელმწიფო. „ხვარაზმი პოემაში გაიგივებულია ირანთან, ხვარაზმი და ირანი ავტორის წარმოდგენით ერთსა და იმავეს ნიშნავს, ხოლო ასეთი მდგომარეობა, როდესაც ხვარაზმის მფლობელთა ხელში გაერთიანებული იყო ირანი და ხვარაზმი წარმოადგენდა ირანის სინონიმს, მეტად ხანმოკლე დროის მანძილზე გაგრძელდა. ამას ადგილი ჰქონდა სწორედ ამ ხანაში,

მე-12 საუკუნის ბოლოს და მე-13 საუკუნის პირველ მეოთხედში“ (ინგოროვა 2016ა: 108).

პოემა რომ XII-XIII საუკუნეთა მიჯნას ეკუთვნის, მკვლევრის აზრით, ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ავტორი იცნობს მთელ იმდროინდელ აღმოსავლეთ მსოფლიოს, მაგრამ არ ახსენებს მონძლოლთა იმპერიას.

კორნელი კეკელიძეს განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა: ის არ იზიარებდა პავლე ინგოროვას თეორიას, რომლის მიხედვით, შოთა რუსთაველი იგივე პერეთის ერისთავი შოთაა და მიაჩნდა, რომ პოემა არ შეიძლებოდა დაწერილიყო მონღოლთა და ხვარაზმელთა შემოსევაზე ადრე. ამის საფუძველს იგი ხედავდა პოემის ისტორიულ რეალიებში, თუმცა პოეტურ ნაწარმოებში ზუსტი ისტორიული ცნობებისა და ფაქტების ძიება მიზანშეწონილად არ მიაჩნდა. „მაგრამ პოეტურ შემოქმედებასაც თავისი ლოგიკა აქვს – წერდა კორნელი კეკელიძე, – პოეტიც აღიშნავს თავის ნაწარმოებში ისეთ რამეს, რასაც ადგილი ჰქონდა ან მის დროს ან მის დრომდე. ის ვერ იჩინას-ნარმეტყველებს ისეთ რამეს, რასაც მის შემდეგ ჰქონდა ადგილი სინამდვილეში“.

ისტორიული რეალიების თვალსაზრისით, კ. კეკელიძე ყურადღებას ამახვილებდა, პირველ ყოვლისა, შემდეგ გარემოებაზე: რუსთაველი იცნობს ისეთ თხზულებებს, რომლებიც დაწერილია ან თამარის მეფობის მიწურულს ან მისი გარდაცვალების შემდეგ. ასეთებია „თამარიანი“, „აბდულმესია“, „ამირანდარეჯანიანი“. ტერმინი „ხატაეთი“, მეცნიერის შენიშვნით, მონძლოლთა ეპოქამდე ქართულ მწერლობაში არ გვხვდება.

საყურადღებოა კორნელი კეკელიძის დაკვირვება: რა მოსაზრებით უნდა დაეწერა პოეტს თამარის გარდაცვალების შემდეგ მისი ქება? „ქება აქ უნდა გავიგოთ არა როგორც შესხმა თამარისა პერსონალურად, მისი სულიერი და ფიზიკური თვისებებისა, არამედ მის პიროვნებაში განსახიერებული ბრნყინვალე დროისა, რომლის სული და ხასიათი ასე რელიეფურადა მოცემული პოემის მხატვრულ სახეებში. თამარი შექებულია პოემაში შეფარვით, როგორც სიმბოლო მისი დროის

საქართველოსი, პოემა დაწერილია ქართველი ერის ცხოვრებაში ისეთი კრიზისის დროს, როდესაც მოგონება თამარის პიროვნებისა და მისი ბრწყინვალე მეფობისა წარმოადგენდა მდგომარეობის გამოსწორება-გაუმჯობესებისაკენ მოწოდებას და ამ მიმართულებით მოქმედების სტიმულს“ (კეკელიძე 1981: 155.)

კრიზისად კორნელი კეკელიძე მიიჩნევდა იმ ისტორიულ ვითარებას, რომელიც შეიქმნა საქართველოში მონღოლთა შემოსევის შემდეგ. მას მხედველობაში ჰქონდა რუსუდანის მეფობის დასაწყისი 1230 წლამდე, ვარაუდობდა, რომ პოეტიც ამავე დროს ცხოვრობდა. „ის უეჭველია თამარის მეფობის შეგნებული თანამედროვე და მომსწრე იყო; ... ფართო გაგებით, პოემა თამარის ეპოქის და (არა მეფობის) ნანარმოება-დაც შეგვიძლია წარმოგიდგინოთ“. კორნელი კეკელიძე თავისი მოსაზრების ძირითად კონტრარგუმენტებსაც განიხილავდა:

1. რატომ არ არის პოემაში ნახსენები მონღოლეთი? ამაზე იგი უპასუხებდა: „პოემაში არც საქართველოა პირდაპირ დასახელებული, ნუთუ ამიტომ ის პოემის დაწერისას არ არსებობდა? მონღოლები არ არიან პოემაში მოხსენებულნი იმიტომ, რომ ისინი ჯერ გაბატონებული არ არიან, 1220-21 წლის შემდეგ 1238 წლამდე ისინი არც გამოჩენილან აქ. მაშასადამე, ჯერ იმდენად პოპულარული არ ყოფილა ჩვენში, როგორც სხვა ზემოჩამოთვლილი ერები და ქვეყნები.

2. ვეფხისტყაოსნისებური ნანარმოების დაწერა მოსალოდნელია მხოლოდ თამარის ბრწყინვალე მეფობაში და არა მონღოლების შემოსევის შემდეგ. როდესაც ბოლო მოელო ყოველგვარ კულტურულ შემოქმედებას.

„ასეთი აზრი – წერდა კორნელი კეკლიძე – ანარეკლია იმ ყალბი შეხედულებისა, რომელიც დამყარებულია ისტორიოგრაფიაში მონღოლთა შემოსევის შემდეგ. საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს შემოდგეს თუ არა მონღოლებმა ჩვენში ფეხი, იმნამსვე ბოლო მოელო კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობას. ეს ასე არ არის, მე-13 საუკუნის 50-იან 60-იან წლებამდე, როდესაც მონღოლებმა გამანადგურებელი ეკო-

ნომიური პოლიტიკა დაამყარეს ჩვენში, არ მოსპობილა აქ ის კულტურულ-შემოქმედებითი, კერძოდ, ლიტერატურული მუ-შაობა, რომელიც ცნობილი იყო წინათ და არც შეიძლებოდა მოსპობილიყო, ვინაიდან, როგორც ცნობილია, პოლიტიკურ-ეკონომიური ცვლილება ერის ცხოვრებაში იმ წამსვე არ იწვევს კულტურულ ცვლილებას“ (კეკელიძე 1981: 160).

„ვეფხისტყაოსნის“ თამარის შემდგომ ეპოქაში შექმნის იდეას სხვებიც განიხილავდნენ. ამ საკითხზე დისკუსია მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს. „ვეფხისტყაოსნის“ 1920 წლის გამოცემას ერთვის რედაქტორის, დავით კარიჭაშვილის, წინასიტყვაობა, რომელშიც მოკლედ გადმოცემულია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულებანი რუს-თველოლოგის საკვანძო საკითხებზე. იმ დროს უკვე გახმაურებული იყო სარგის კაკაბაძის ვერსია, რომლის მიხედვით, „ვეფხისტყაოსანი“ დაახლოებით XIV საუკუნეში დაიწერა. ერთხანს ასევე ფიქრობდა ნიკო მარიც. დავით კარიჭაშვილი ამ თვალსაზრისს არ იზიარებდა, მაგრამ მან სამეცნიერო აზრის პლურალიზმის ასახვის მიზნით საჭიროდ მიიჩნია ეს ახალი ვერსიაც აღენიშნა. იგი წერდა: „ამ უკანასკნელს დროს სადავოდ შეიქნა აგრეთვე კითხვა, თუ როდის ცხოვრობდა ვეფხისტყაოსნის დამწერი, ანუ როდის არის დაწერილი ეს წიგნი. უკანასკნელ ხანამდე არავის ჰქონდა ეჭვი, რომ იგი ცხოვრობდა თამარ მეფის დროს, მაგრამ ბოლოს გამოითქვა აზრი, რომლის მიხედვით, ვეფხისტყაოსანი უნდა დაწერილი იყო თამარ მეფის შემდეგ მეცამეტე-მეტოთხმეტე საუკუნეში. ამ აზრის დასამტკიცებლად ჯერ არ არის გამოყენებული გადამწყვეტი დაბეჭდილი საბუთები და კითხვა ისევ კითხვად არის დარჩენილი“ (რუსთაველი 1920: კ-კა.)

კითხვა ისევ კითხვად არის დარჩენილი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ლადო ჭელიძის ნაშრომმა მკითხველის ყურადღება ახალ, საგულისხმო გარემოებებზე გაამახვილა და რუსთაველის ვინაობისა და პოემის შექმნის ეპოქის საკითხებზე კიდევ ერთხელ დააფიქრა.

## **დამოცვებანი:**

**ინგოროვა 2016ა:** ინგოროვა პ. რუსთველიანა. ჩვენი მწერლობა. თბილისი: 2016.

**ინგოროვა 2016ბ:** ინგოროვა პ. რუსთველიანას ეპილოგი. ჩვენი მწერლობა, თბილისი: 2016.

**კეკელიძე 1981:** კეკელიძე პ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ II. თბილისი: 1981.

**რუსთაველი 1920:** შოთა რუსთაველი. ვეფხის-ტყაოსანი. დავით კარიჭაშვილის რედაქტორობითა და წინასიტყვაობით. თბილისი: 1920.

**რუსთაველი 1966:** შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. 1966.

**ქართლის ცხოვრება 2008:** ქართლის ცხოვრება. თბილისი: გამომცმლობა „მერიდიანი“, 2008.

**ჭელიძე 2017:** ჭელიძე ვ. „ჰერეთის ერისთავი შოთა (რუსთველიანას კვალ-დაკვალ)“. რუსთველოლოგია. VIII. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2017.

**Once Again about Shota Rustaveli**  
**(Review of Vladimer Chelidze’s Work “Shota, Eristavi of Hereti”**  
**(Following “Rustveliana”)**

**Summary**

This article is the review of Lado Chelidze’s work “Shota, Eristavi of Hereti” (Following “Rustveliana”). The researcher attempted to find some more arguments in favor of Pavle Ingorokva’s theory, according to which Shota, Eristavi of Hereti is Shota Rustaveli. Based on coincidence of the historical facts and data from the content of the poem the author offers that the poem was written in the epoch after reign of Queen Tamar. In this issue Lado Chelidze shares Korneli Kekelidze’s opinion that the poem could not be written before attacks of Mongols and Khwarazmians.

The review considers Lado Chelidze’s argumentation against the background of Rustaveli studies. It mentions that some of the researcher’s offers are disputable, such as interpretation of Rustaveli’s romance affairs though the work is of interest as it has attracted the readers’ attention to new, meaningful circumstances and focused on the issues of Rustaveli’s identity and the epoch of creation of the poem.

## თეიმურაზ ჭანტურიშვილი

### „ვეფხისტყაოსნის“ აღეგორია

ქართული ლიტერატურის ვერცერთი ნიმუში ვერ შეეძრება „ვეფხისტყაოსნის“ მის შესახებ დაწერილი რეცენზიებისა თუ მეცნიერული გამოკვლევების რაოდენობით. პოემის საქართველოში გამოჩენის დღიდან მკითხველის ინტერესი მისდამი არ განელებულა. მიუხედავად ამისა, საბოლოო პასუხი შეკითხვაზე – ვინ იყო შოთა რუსთაველი, არ არსებობს. რუსთველოლოგების მიერ ასობით, ათასობით თუ არა, კვლევა არის შესრულებული პოემის შესახებ. ნანარმოების აღეგორიული ასპექტებია გარჩეული გამოკვლევებში: (ხინთიბიძე : 2 -9; გამსახურდია 1982: 2, 4, 5, 6, 8, 9, 12, 19, 22; ერისთავი 2010) და მრავალ სხვაში, მათ ჩამოსათვლელად აქ ადგილიც კი არ გვეყოფა. ჩვენ გვაინტერესებდა პოემის აღეგორიულობა მისი შინაარსის ისტორიულ სინამდვილესთან მიმართებაში. აღეგორია ნიშნავს რაიმე ამბის მინიშნებით, ქარაგმულად წარმოჩენას კონკრეტული მხატვრული სახეებით. სწორედ ასეთი სახეები და მათი თავგადასავალი ქმნიან „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულას. ზემოთ ჩამოთვლილ ლიტერატურაში ავტორები დამაჯერებლად ხსნიან, თუ როგორ ახერხებს შოთა რუსთაველი მხატვრული ხერხებით წატიფი გრძნობებისა და განცდების გადმოცემას, განიხილავენ ლიტერატურისმცოდნების პრობლემურ საკითხებს. ვიზიარებთ რა პატივცემული ავტორების დამსახურებას, ვიმეორებთ, რომ ჩვენ უფრო გვაინტერესებდა პოემის შინაარსის შეპირისპირება ისტორიულ სინამდვილესთან.

ამ კითხვაზე პასუხს ჩვენ მივაგენით თ. ერისთავის ნაშრომში: „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მეორე განზომილება“ (ერისთავი 2010). აღეგორიულ ნანარმოებში ორი ამბავი გადმოიცემა. ერთი – აშკარა – მომცველი ხასიათების, ქმედების, ადგილისა და დროის და მეორე – დაფარული, ეზოთერული – მომცველი აბსტრაქტული იდეების, კოსმიური ძალების, მორალური დოქტრინების. ზოგჯერ აღეგორიის თანხვედრა

რეალურ ფაქტებთან ერთი ერთშია (სკრუტონ 2017: 188). მაგალითად: ერთერთი ისტორიული ვერსიით უფლისწული დემნა ჩააბარეს ბიძამისს მეფედ აღსაზრდელად. იგივეს ვხედავთ პოემაში – სარიდანი აბარებს თავის შვილს ტარიელს მეფედ აღსაზრდელად თავის ნათესავს ფარსადანს, რომელიც ამბობს ტარიელზე „ჩვენისავე გვარის არსო“; თამარის გაჩენის შემდეგ დემნას ინტერესები აღმოჩნდება უგულველყოფილი და პოემაში – ნესტანის გაჩენა გვერდზე გადაწევს ტარიელს; ისტორიულად

თამარის გამეფება, პოემაში კი – ნესტანის მზადება სამეფოდ და თინათინის – ნესტანის ანარეკლის – ტახტზე აყვანა როსტევანის მიერ; დიდებულთა აჯანყება საქართველოში და დემნას ბრძოლა ბიძის წინააღმდეგ, პოემაში კი – ტარიელის ჯანყი ფარსადანის წინააღმდეგ, ფრიდონის (დემნას ერთერთი იპოსტასის) სასტიკი ბრძოლა ბიძასთან; ისტორიულად – შეუღლების შეუძლებლობის მიზეზი – ბიძაშვილობა, პოემაში კი – მამიდა სახელად დავარ (და ვარ).

ალბათ ბევრმა იცის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიოს ლიტერატურულ ასპარეზზე გატანას ხელი შეუწყვეს და-ძმა უორდროპებმა, რუსეთში დიდი ბრიტანეთის საელჩოს თანამშრომლებმა; მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ყოფნისას ისინი გაეცნენ ამ ნაწარმოებს და თარგმნეს კიდეც ინგლისურად, თუმცა – პროზაულად. ცხადია, ამაში მათ ბევრი ცნობილი ქართველი დაეხმარა და მათში უპირველესი იყო ილია ჭავჭავაძე. ყურადსალებია, რომ იმ პირველ თარგმანში პოემის პროლოგში ნახსენები სიტყვა „საჭოჭმანები“ ითარგმნა მისი ძველი ქართული მნიშვნელობით – „საქები, სასახე-ლო“, მაგრამ სქოლიოში ჩამოტანილია მისი მეორე მნიშვნელობაც – „ორაზროვანი, საგონებელში ჩამგდები, Equivocal“ (ერისთავი 2010: 7). ბევრი მტკიცება არ არის საჭირო საიმისოდ, რომ მას, ვინც იმ პირველ მთარგმნელებს ეხმარებოდა, კარგად ჰქონდა გააზრებული ნაწარმოების ალეგორიული ხასიათი და მნიშვნელობა.

თ. ერისთავის ზემოთნახსენებ წიგნში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა დემნა უფლისწულმა, თამარ მეფის ბიძაშვილმა, რომელსაც თამარი უყვარდა. ამ ნაწარმოების წაკითხვამ დაგვარწმუნა, რომ პოემა თავიდან ბოლომდე არის ალეგორიული ნაწარმოები. მასში აღნერილი სიყვარული – მიჯნურობა გვესახება ე.ნ. „პლატონურ“ სიყვარულად და ეს იმიტომ, რომ შეყვარებულთა შეუღლება ვერ მოხერხდა – მათ წინ აღუდგა მორალური ზღუდე. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხალხში შემონახულია ლეგენდა, რომ დემნას და თამარს უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ ამის ისტორიული დასაბუთება არსად სჩანს. ერთი ასეთი მოარული აზრი მე თვითონ მოვისმინე ბავშვობაში. მახსოვს ჩემი გაკვირვება სიტყვებზე – „დემნას და თამარს უყვარდათო ერთმანეთი“. ალსანიშნავია, რომ ის საუბარი განაპირობა წიგნმა „ვეფხისტყაოსანი“, რომლისა იმ დროს არაფერი გამეგებოდა. ხალხში აგრეთვე არის გავრცელებული რწმენა, რომ შოთა რუსთაველს უყვარდა თამარი და თავისი პოემა მას მიუძღვნა. ამ ლეგენდების სინთეზი ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში არის აკაკი წერეთლის ლექსი „რამ გამოიწვია „ვეფხისტყაოსანი?““ (წერეთელი 1988: 577).

ამ ლექსში აკაკი თამარ მეფესა და შოთას წარმოსახავს ადამიანებად, რომლებსაც ერთმანეთი უყვართ, მაგრამ ეს მხოლოდ მათ იციან და სხვამ არავინ არ უნდა იცოდეს. თამარი თავის წერილში გამოუთქვამს შოთას სიყვარულს და ეუბნება, რომ მათთვის უმთავრესი მიზანი სამშობლოზე ზრუნვაა და მოუწოდებს სწორედ ასეთი სულისკვეთებით დაწეროს რამე ლექსი. საპასუხოდ შოთა რუსთაველი ქმნის „ვეფხისტყაოსანს“, რომელშიც თამარს წარმოაჩენს წესტან-დარეჯანად, საკუთარ თავს კი – ტარიელად.

აკაკი შოთას თამარის წერილის საპასუხოდ ათქმევინებს: („ალეგორულად, გადაკვრით/ დაგინერ „ვეფხისტყაოსანს“. / განშორებული სასახლის, /ველად გაჭრილი ხელადა/დაგსახავ წესტან-დარეჯანად/და შენს ღირსს – ტარიელადა./ სთქვა და დასწერა კიდევაც, /თამარ შეამკო ხელადა./თავი უმიროსს

(ჰომეროსს) ამსგავსა/და საქართველოს – ელადა“ (წერეთელი 1988: 577). ჩვენ არ ვიცით, მხოლოდ ამით ამოინურებოდა აკაკის ცოდნა ამ პოემის გმირებზე და პოემის შექმნის განმაპირობებელ მიზეზებზე, თუ არა, მაგრამ ვეჭვობთ, რომ მას ამ საკითხზე ბევრი უფიქრია. იგი, თავადიშვილი, გლეხის ოჯახს მიაბარეს გასაზრდელად, იქ კი იგი აუცილებლად გაიგებდა ბევრ რამეს, რაც შემოინახა ხალხის მეხსიერებამ. შოთას და თამარის სიყვარულის მოტივებზეა აგებული ზიჩის ნახატიც – როგორი მოწინებით მიართმევს პოეტი თავის ნაწარმოებს თამარ მეფეს. სავარაუდოდ, ეს ნახატიც არსებულ ლეგენდას ემყარება. ზიჩის ამ ამბავს ვინმე მოუყვებოდა და ეს ვინმე არ იქნებოდა უბრალო ადამიანი. აქვე გარკვევით არის სათქმელი, რომ ხალვათობა მონაცემებისა ამ ასპექტში განპირობებულია იმით, რომ უამრავი ადამიანი საქართველოში ისტორიულმა ქარტეხილებმა „მოსპო როგორც კლასი“. იმ ადამიანებთან ერთად დაიკარგა სულიერება – მათი წერილები, არქივები, ცოდნის დიდი მარაგი. ქ-ნი თ. ერისთავი თვითონ იყო იმ ტრაგიკული თაობის შთამომავალი – რეპრესირებული მამის შვილი, 1921 წელს კოჯორთან დაღუპული მარო მაყაშვილის დისშვილი.

